საერთო გაზეთი

№14 (606)
ოთხშაბათი
21 აპრილი,
2021წ.
ფასი 1.50 ლ.

რობერტ სტურუა: ქალებმა 37 წელი დაიწყეს! რეპრესიები!

არის თუ არა მამაკაცი ადამიანი და ვრცელდება თუ არა მასზე უდანაშაულობის პრეზუმფცია?

ნამოხვანჰესი – მითი და სინამდვილე

გიორგი გახარიას გზა – ზემოდან ქვემოთ და პირიქით

რომელი გახარია იქნება უფრო რეიტინგული – გახარია „ქართულ ოცნებასთან ერთად თუ გახარია „ქართული ოცნების“ გარეშე?

სალომე ზურაბიშვილი: „მეგრულიც და სვანურიც ჩვენი საგანძურია, რომელსაც უნდა ვიცავდეთ“

დისკუსია „საერთო გაზეთის“ ფურცლებზე. მონაწილეობენ: პოეტები, მწერლები, ენათმეცნიერები

ანაკონდას მარყუჟი

დიპლომატია მოკვდა...

თბილისის გუბერნატორობიდან იმპერატორის სასახლემდე

„მოსადი“ – მსოფლიოს ყველაზე ჩაკეტილი დაზვერვის სამსახური



„საერთო გაზეთი“ – გაზეთი მოაზროვნე მკითხველისთვის

რედაქტორის სვეტი

იმდენი იძახა „ნაცმოძრაობამ“ „ყველა, ერთის გარდაო“, რომ თვითონ აღმოჩნდა ის ერთი, რომელიც თამაშგარე მდგომარეობაში აღმოჩნდა.

ყველაზე მნიშვნელოვანი, რაც ამ ექვსთვიანი მოლაპარაკებების შედეგად მივიღეთ, არის ის, რომ დამთავრდა „ნაცმოძრაობის“ დიქტატურა ქართულ ოპოზიციაზე.

მთავარი ის კი არ არის, რომ მელია და რურუა გათავისუფლდებიან, არამედ მთავარია, ოპოზიციურმა პარტიებმა სააკაშვილის ტყვეობიდან რომ დაიხსნეს თავი.

შეურაცხმყოფელი, ღირსების შემლახველი, უკიდურესად დამაკნინებელი იყო ეს ტყვეობა პარტიებისთვის, რომლებიც ბოლოს და ბოლოს, მიხვდნენ, რომ მათ საქმიანობას „ნაცმოძრაობის“ ოკუპაციის პირობებში წინსვლა და წარმატება არ ეწერა.

ალბათ, დროა, ეს ოპოზიციური პარიტები და მათთან ერთად დანარჩენი პოლიტიკური ორგანიზაციები იმას მიხვდნენ, რომ „ქართული ოცნება“ კი არა, სწორედ სააკაშვილი და „ნაცმოძრაობა“ არის ის ძალა, რომელმაც მათი საარსებო სივრცე მიიტაცა და ქართულ პოლიტიკას განვითარების პერსპექტივა დაუკარგა.

მოლაპარაკებათა ამ ექვსთვიანმა მარათონმა ის დადებითი შედეგიც გამოიღო, რომ, როგორც ჩანს, ბოლოს და ბოლოს, დასავლეთიც მიხვდა, რა დესტრუქციულ და ავანტურისტულ ორგანიზაციასთან ჰქონდა საქმე და ვინ არის სინამდვილეში მათი ბელადი.

რატომღაც ისეთი წინათგრძნობა მაქვს, რომ შორს არ არის ის დრო, როცა სწორედ დასავლეთი ჩამოხსნის ნიღაბს სააკაშვილს და მის ცხრაწლიან კრიმინალურ-ფაშისტურ რეჟიმს.

იმდენად დიდია და მასშტაბური სააკაშვილისა და მისი ბანდის მიერ ჩადენილი დანაშაულებები, რომ მისი მიჩქმალვა და მიფუჩეჩება შეუძლებელია.

ქართული ნიურნბერგის პროცესი აუცილებლად უნდა შედგეს და რაც უფრო მალე მოხდება ეს, მით უფრო კარგი საქართველოსთვისაც და ქართულ-დასავლური ურთიერთობების გაღრმავებისა და განმტკიცებისთვის.

რაც შეეხება იმ ფაქტს, რომ „ნაცმოძრაობა“ ყველაზე მრავალრიცხოვანი ოპოზიციური პარტიაა, ეს რეალობა თანდათან იცვლება და სოციალურ კვლევებს თუ დავუჯერებთ, მის მხარდამჭერთა რიცხვი კატასტროფულად კლებულობს.

„ნაცმოძრაობას“ პირწმინდად გაკოტრებული რამდენიმე პარტიის გარდა არც საქართველოში დარჩა პოლიტიკური მოკავშირეები და არც დასავლეთში და ეს ყველაფერი მისი ლიდერის, მიხეილ სააკაშვილის, დამსახურებაა.

„ნაცმოძრაობას“ სააკაშვილთან ერთად მომავალი არ აქვს.

დრო გვანახებს, მიხვდება თუ არა ამას „ნაცმოძრაობის“ საღად მოაზროვნე ნაწილი და იმ ბნელი მხარიდან გადმოვა თუ არა აქეთ, საქართველოსკენ.

ვახტანგ ხარჩილავა

შარლ მიშელი: დღეს მძიმე სამუშაო იწყება, რომელიც საქართველოს ევროატლანტიკურ გზაზე წინ წაიყვანს

ევროპული საბჭოს პრეზიდენტი, შარლ მიშელი საქართველოს პრეზიდენტთან, სალომე ზურაბიშვილთან მიმდინარე შეხვედრას ეხმაურება.

„სალომე ზურაბიშვილთან და ყველა ლიდერთან ერთად ვიმყოფები პოლიტიკური კრიზისიდან გამოსავალზე შეთანხმების მიღწევის შემდეგ. დღეს მძიმე სა-

მუშაო იწყება, რომელიც საქართველოს ევროატლანტიკურ გზაზე წინ წაიყვანს. ეს მიღწევა თქვენია. ახლა გამოწვევა ამის ამოქმედებაა“, – დაწერა შარლ მიშელმა თწიტტერ-ზე.

ვიოლა ფონ კრამონი: ქართველი ამომრჩეველი რომ ვყოფილიყავი, ხმა მიმეცა „ნაციონალური მოძრაობისთვის“, მათ კი გაეგრძელებინათ ბოიკოტი ძალიან კარგი კომპრომისის შემდეგაც, ჩავთვლიდი, რომ მიღალატეს

დიდი ნაბიჯი გადაიდგა. მოხარული ვარ, რომ გუშინ საბოლოოდ პროგრესი იქნა მიღწეული. მოხარული ვიყავი, მეხილა, ხელმოწერის ცერემონია პრეზიდენტის სასახლეში. მას თითქმის ყველა ესწრებოდა, ატმოსფერო კი იყო მეგობრული და არა მტრული, – ამის შესახებ ევროპარლამენტარმა, ვიოლა ფონ კრამონმა საქართველოს პირველ არხთან ინტერვიუში განაცხადა, რითაც შარლ მიშელის ახალ დოკუმენტზე ხელმოწერის გაფორმება შეაფასა.

„ვიმედოვნებ, კრიზისი ნამდვილად დარეგულირდა. თუმცა ჩვენ ვისურვებდით, რომ ახლა გვეხილა ამ შეთანხმების განხორციელება. ხელმოწერა ნამდვილად ძალიან მნიშვნელოვანია, თუმცა ეს მხოლოდ პირველი ნაბიჯია, რომ საბოლოოდ განხორციელდეს ყველა რეფორმა, რომელსაც ეს შეთანხმება მოიცავს. ვულოცავ ყველას, ვისაც წვლილი მიუძღვის ამაში, მათ შორის მმართველ პარტიას,

რომელმაც აიღო ლიდერობა შეთანხმებაში. ჩვენ, ყველანი მოხარულები ვართ ამ დიდი ნაბიჯებით“, – განაცხადა ვიოლა ფონ კრამონმა.

ვიოლა ფონ კრამონი აცხადებს, რომ ქართველი ამომრჩევლის ადგილას, ყველა ოპოზიციონერს სთხოვდა, საბოლოოდ შესულიყვნენ პარლამენტში.

„ვფიქრობ, ეს შეთანხმება ნორმალური, კარგი კომპრომისია. „ქართული ოცნება“ საბოლოოდ ასრულებს ყველაფერს, რაც იყო მოთხოვნილი – პატიმრების გათავისუფლება, 43 პროცენტის დათქმა, მრავალი სხვა მნიშვნელოვანი საკითხი, რომელიც შეთანხმებაშია შესული. მე რომ ქართველი ამომრჩეველი ვყოფილიყავი და ხმა მიმეცა „ერთიანი ნაციონალური მოძრაობისთვის“, მათ კი გაეგრძელებინათ ბოიკოტი მრავალკვირიანი მოლაპარაკებების შედეგად მიღწეული დიდი პროგრესის, ძალიან კარგი კომპრომისის შემდეგაც, ჩავთვლიდი, რომ მიღალატეს. როგორც პოტენციური ქართველი ამომრჩეველი, ვთხოვდი ყველას ოპოზიციაში, რომ საბოლოოდ შესულიყვნენ პარლამენტში, რადგან ეს არის ადგილი, სადაც ახლა მუშაობა გაგრძელდება“, – განაცხადა ვიოლა ფონ კრამონმა.

შარლ მიშელის მიერ წარდგენილ დოკუმენტს ხელი გრიგოლ ვაშაძემაც მოაწერა

შარლ მიშელის მიერ წარდგენილ დოკუმენტს ხელი „ნაციონალური მოძრაობის“ ყოფილმა თავმჯდომარემ, გრიგოლ ვაშაძემაც მოაწერა. ამის შესახებ ინფორმაციას საქართველოში ევროკავშირის წარმომადგენლობა ავრცელებს.

ვაშაძე ევროკავშირის წარემომადგენლობის ოფისში ცოტა ხნის წინ იმყოფებოდა.

ირაკლი კობახიძე: „ნაციონალურმა მოძრაობამ“, „ევროპულმა საქართველომ“ და „ლეიბორისტულმა პარტიამ“ კიდევ ერთხელ აჩვენეს საკუთარი საგარეო პოლიტიკური ორიენტირი

ძალიან მნიშვნელოვანია პოლიტიკურ პარტიებს შორის შეთანხმების მიღწევა. ძალიან მნიშვნელოვანია, რომ დოკუმენტს ოპოზიციის უმრავლესობამ მოაწერა ხელი, – ამის შესახებ პარტია „ქართული ოცნების“ თავმჯდომარემ, ირაკლი კობახიძემ განაცხადა.

მისი თქმით, მმართველმა გუნდმა საზოგადოებისა და საერთაშორისო პარტნიორების წინაშე თავისი პასუხისმგებლობით იმოქმედა.

„რამდენიმე პოლიტიკურმა პარტიამ კიდევ ერთხელ გამოაჩინა თავისი სახე. ეს არის „ნაციონალური მოძრაობა“, „ევროპული საქართველო“ და „ლეიბორისტული პარტია“. ისინი ევროკავშირის მიერ წარმოდგენილ დოკუმენტს არ შეუერთდნენ. ამ ნაბიჯით მათ კიდევ ერთხელ აჩვენეს საკუთარი ორიენტირი და მათ შორის პარტიების საგარეო ორიენტირი.

რაც შეეხება „ქართულ ოცნებას“, მმართველმა გუნდმა საზოგადოებისა და საერთაშორისო პარტნიორების წინაშე იმოქმედა თავისი პასუხისმგებლობით. ამის შედეგია ჩვენი ქვეყნისთვის და ქართული დემოკრატიისთვის უმნიშვნელოვანესი დოკუმენტის გაფორმება“, – განაცხადა ირაკლი კობახიძემ.

მარინა კალიურანდი: ვულოცავ ყველა პასუხისმგებლიან პოლიტიკოსს, რომელმაც ქართველ ხალხს მოუსმინა

ევროპარლამენტარი, მარინა კალიურანდი „ქართული ოცნებისა“ და ოპოზიციური პარტიების მიერ შარლ მიშელის ეგიდის ქვეშ შექმნილი დოკუმენტის ხელმოწერას ეხმაურება.

„ვულოცავ ყველა პასუხისმგებლიან პოლიტიკოსს, რომელმაც ქართველ ხალხს მოუსმინა და ქვეყნის ინტერესები პარტიის ინტერესებზე მაღლა დააყენა. ველოდებით მჭიდრო თანამშრომლობის გაგრძელებას“, – აცხადებს ევროპარლამენტარი.

სახელმწიფო დეპარტამენტი: მივესალმებით საქართველოში 19 აპრილს მიღწეულ შეთანხმებას

აშშ-ის სახელმწიფო დეპარტამენტი 19 აპრილის პოლიტიკური შეთანხმების ხელმოწერასთან დაკავშირებით განცხადებას ავრცელებს.

„მივესალმებით საქართველოში 19 აპრილს მიღწეულ შეთანხმებას. კეთილი ნების ეს ნიშანი მნიშვნელოვანი პროგრესია საქართველოს დემოკრატიული განვითარებისთვის. განხორციელებაც ასევე მნიშვნელოვანი იქნება. მზად ვართ, საქართველოს დავეხმაროთ, რათა ამ შეთანხმებამ მიზანს მიაღწიოს“, – ნათქვამია განცხადებაში.

„საერთო გაზეთი“
გამომცემელი: შპს საგამომცემლო ცენტრი „საერთო სიტყვა“
მის: თბილისი, ტაშკენტის ქ. 18;
ტელ.: 593 44 04 01; 593 56 11 18.
E-mail: saertogazeti@yahoo.com
რეგისტ. №202375349; უაკ (udc) 070.23 (479.22) ს-158

გაზეთი ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპით. შესაძლოა, ავტორის პოზიცია არ ეთანხმებოდეს რედაქციის აზრს. ინფორმაციის სიზუსტეზე პასუხისმგებელია ავტორი. გასაჩივრება შესაძლებელია მასალის გამოქვეყნებიდან ერთი ჯვირის ვადაში. შემოსული მასალები ავტორებს არ უბრუნდება.

იბეჭდება შპს „ასავალ-დასავალის“ სტამბაში; თბილისი, აგლაძის 39

® ამ ნიშნით აღნიშნული სარეკლამო მასალები.

ნამოხვანჰესი - მითი და სინამდვილე

ყველა ქვეყანა თავისი ბუნებრივი რესურსებიდან გამომდინარე, ცხადია, ეკოლოგიის გათვალისწინებით აშენებს ჰიდროელექტროსადგურებს და ელექტროენერგიის სხვა ალტერნატიულ საშუალებებს.

ჰესებს საქართველოში აშენებენ ინდოელები, ჩინელები, იტალიელები, ბერძნები და თურქებიც.

წმინდად რუსულ კომპანიებზე მოსახლეობა, მოგეხსენებათ, უარს ამბობს: რუსეთი ოკუპანტიაო, თუმცა ამ ოკუპანტის აშენებული ენგურჰესი რომ უნახავთ ამას წინათ უცხოელ სპეციალისტებს, უთქვამთ: ასეთი მძლავრი შენობა ენერგობიექტისთვის მსოფლიოში იშვიათიაო.

ახლა რომ „ცოდვის კითხვა“ მიდის ნამოხვანჰესის საკითხებზე, გამახსენდა და აქვე ვიტყვი: ენგურჰესი ჯერ კიდევ პერსპექტივაში არსებულ ნამოხვანჰესზე 50-ჯერ მძლავრი ყოფილა.

თავიდანვე შევთანხმდეთ: ყოველგვარი ტექნიკური ჩარევა და, ზოგადად, ტექნიკური პროგრესი, ცვლის პირველყოფილ ბუნებას, გარემოს და ეკოლოგიას, მაგრამ

ისიც ფაქტია, რომ ტექნიკური პროგრესის გარეშე ცხოვრება შეუძლებელია...

ვიცი, რომ არაფერს ვამბობ ახალს. რაც ვთქვი, ეს, დარწმუნებული ვარ, ჩემზე უკეთ იციან იმ ადამიანებმა, რომლებიც ნამოხვანის ხეობას „იცავენ“ უკვე რამდენი ხანია.

ყველაფერში ეჭვის შეტანა ავადმყოფური გონებისთვის არის დამახასიათებელი, ამიტომ იქ მყოფებს ვერ დავადანაშაულებ, თუმცა პროტესტანტებთან ძმები წულუკიძეების მისვლა და მერე ვახა მაჩალიკაშვილის და დომენიკ მანგოს მცდელობები „ნამოხვანელებისთვის“ სოლიდარობის გამოსახატავად, გარკვეული პოლიტიკური ძალების დაინტერესებას ნიშნავს ამ თემისადმი.

სულაც არ არის გამორიცხული, იმ გულწრფელ ხალხში რამდენიმე პროვოკატორიც იყოს, რომლებსაც იყენებდეს გარკვეული პოლიტიკური ძალა დესტაბილიზაციის, დესტრუქციისა და მუდმივი დაძაბულობისთვის.

ამის დასტურია მიხეილ საკაშვილის სატელევიზიო მიმართვები ნამოხვანჰესის საკითხთან დაკავშირებით. ის მხარს უჭერს მოსახლეობას, თუმცა სხვადასხვა დროს ჰესებთან დაკავშირებით სხვადასხვა მოსაზრებები ჰქონდა.

როგორც ცნობილია, 2009 წელს გაფორმდა მემორანდუმი თურქულ კომპანიასთან ნამოხვანის ჰესის წინასაპროექტო კვლევაზე.

2011 წელს მაშინდელმა მთავრობამ მოიწონა კვლევის შედეგები. შემდეგი ეტაპი უნდა ყოფილიყო მოსახლეობისთვის მიწების რეგისტრაცია. რეგისტრაციას, ცხადია, სახელმწიფო განახორციელებდა.

ელექტროენერგიის შესასყიდი ფასი განისაზღვრა 7,1 პროცენტით.

ნამოხვანზე ჰესის მშენებლობა ჯერ კიდევ საბჭოთა პერიოდის გარიჟრაჟზე დაწყებულა.

1930 წელს იქ ჰიდროლოგიური კვლევები ჩატარდა. კვლევა 1985 წლამდე გრძელდებოდა. ძირითადი საკვლევი თემა იყო სადგურის სიმძლავრეები.

1985 წელს პროექტი დამტკიცდა და სსრკ-ის საკავშირო ბიუჯეტიდან თანხები გამოიყო ჰესის ასაშენებლად.

მშენებლობა 1988 წელს უნდა დაწყებულიყო, თუმცა 1987 წელს ხუდონი ჰესთან დაკავშირებული საპროტესტო გამოსვლები დაიწყო და ეს პროექტიც შეჩერდა.

ნამოხვანი ჰესზე საუბარი, როგორც გითხარით, 2009 წელს დაიწყო და 2011 წელს უკვე ყველაფერი მზად იყო იმისთვის, რომ ჰესის მშენებლობა დაწყებულიყო.

მოსახლეობაში პროტესტი მაშინაც წარმოიშვა, მაგრამ, მოგეხსენებათ, რა პერიოდიც იყო და ხმის ამოღებას დღევანდელივით მაშინ ვერავინ გაბედავდა.

ნამოხვან ჰესის პროექტი საბოლოოდ დამტკიცდა 2009 წლის 23 ივლისს. ნებართვა გაიცა 2009 წლის სექტემბერში.

2014 წელს საქართველომ ლონდონის საარბიტრაჟო სასამართლოში სარჩელი შეიტანა ამ ხელშეკრულებასთან დაკავშირებით, თუმცა სასამართლომ ქართული მხარე გაამტყუნა, რის გამოც „ქართული ოცნების“ ხელისუფლებას ხელშეკრულებაზე საბოლოოდ ხელის მოწერა მოუწია.

მანამდე კი, 2012 წელს „ნაცმოძრაობის“ მმართველობისას გადაწყდა ხუდონი ჰესის აშენება, იმის მიუხედავად, რომ თავად საკაშვილის ხელისუფლებაში მოსვლა ხუდონი ჰესის აშენების საწინააღმდეგო კამპანიაში მისმა ჩართვამ განაპირობა. მიშა სასტიკი წინააღმდეგი იყო ხუდონი ჰესის, თუმცა მერე უკვე მის აშენებას მოაწერა ხელი ისე, როგორც ახლა გამოთქვამს პროტესტს ვითომ პატრიოტული მოსაზრებებით, თუმცა ეს „კბილი გამოვიცვალეთ“ უკვე და მაგ დემაგოგის ბევრს აღარ სჯერა.

ხუდონი ჰესის აშენებისთვის სოფელ ხაიშის მოსახლეობას კომპენსაცია ინდური კომპანიისგან უკვე აღებული ჰქონდა. ბრძანებაც იყო ნაცხელისუფლებისგან, რომელსაც ვერავინ შეეწინააღმდეგებოდა და იქაურები უკვე შეგუებულები იყვნენ, რომ სოფელი უნდა დაეტოვებინათ. ამასობაში დადგა 2012 წლის ოქტომბერი. ხელისუფლება შეიცვალა და მოსახლეობა „ქართული ოცნების“ ხელისუფლებას დაუპირისპირდა — ჰესს აქ არავის ავაშენებინებთო. გაყარეს ობიექტიდან ინდოელები და ჩაკეტეს გზა ხუდონჰესისკენ მიმავალი.

კონტრაქტი დადებული იყო. ხელისუფლების წარმომადგენლები მოსახლეობას შეჰპირდნენ — მეზობელ სოფელში დაგასახლებთ, მთელ მესტიას დენი უფასოდ ექნება, ხოლო მოსახლეობიდან, ვისაც სურს, ყველა ჰესზე დასაქმდებაო...

როგორც გითხარით, ხაიშის მოსახლეობას კომპენსაცია სახელმწიფოსგან უკვე ჰქონდა მიღებული. ის თანხა, ცხადია, არავის დაუბრუნებია, სახელმწიფომ კი ინდურ კომპანიასთან კონტრაქტი შეწყვიტა და ზარალიც თვითონ აანაზღაურა.

ამის შემდეგ დაიწყო საუბრები ნამოხვან-ჰესზე, რადგან, როგორც თითქოს ხუდონის შემთხვევაში, ნამოხვან-ჰესის ფუნქციონირებისას ხეობა არ იტბორებოდა, ეკოლოგიას მტკივნეული ზიანი არ მიადგებოდა და მხოლოდ 270-მდე ოჯახის მიწები მოჰყვებოდა სამშენებლო არეალში. მოსახლეობამ თანხმობა განაცხადა. გამოცხადდა ტენდერი, გაიმარჯვა ნორვეგიულმა კომპანიამ, რომელმაც მშენებლობის უფლება 2017 წელს თურქულ კომპანიას გადასცა.

ხელშეკრულება გაფორმებულა 2019 წელს. იქაური მოსახლეობის 270 ოჯახს გაუყიდია დარეგისტრირებულ მიწებთან ერთად ის მიწებიც, რომლებიც ოფიციალურად მათ სახელზე არ ფიქსირდებოდა, თუმცა სარგებლობაში ჰქონდათ.

2020 წლის ოქტომბერში თურქულმა კომპანია „ენკამ“ ნამოხვანზე მშენებლობები დაიყო.

მშენებლობის სიახლოვეს მაშინვე გაჩნდა კარვებიც. დაიწყო დავა მიწებზე, რომლებშიც კომპენსაცია უკვე აღებული ჰქონდათ. კარვებში ისხდნენ ისეთებიც, რომლებსაც თავად არ ჰქონდათ მიწა გაყიდული, მაგრამ მათი ოჯახის წევრს ფული აღებული ჰქონდა იმ მიწაში.

არავინ იფიქროს, თითქოს იმ პროტესტს, რომელიც ნამოხვანში ახლა მიმდინარეობს, მე ვაძლევდე ასეთ ვიწრო ინტერპრეტაციას. პროტესტი სხვადასხვა მიმართულებისაა — ქართული მიწის გასხვისების თაობაზე, ეკოლოგიის დამახინჯებაზე, კონკრეტულად, თურქების მფლობელობაში ტერიტორიის გადაცემაზე და ა. შ. და ა. შ.

ეს ლეგიტიმური საკითხებია და საკმაოდ მგრძნობიარე ჩვენი ხალხისთვის, ჩვენთვის, მაგრამ ერთერთ ფაქტად ისიც დგას, რომ ამ პროტესტის გამოყენება ჩვენი სახელმწიფოს შინაურ მტრებს ნაციონალებს და, კერძოდ, საკაშვილს კვლავ სურს.

ხუდონჰესზე რაც გააკეთა, ზემოთ გითხარით.

ნაციონალებმა მმართველობის პერიოდში რუსულ კომპანიებს რომ გადასცეს — ენგურჰესი, რიონჰესი, გუმათჰესი, ლაჯანურჰესი, შაორიჰესი, ვარციხეჰესი, ხრამჰესი, გარდაბნის მე-9 ენერგობლოკი, გარდაბნის მე-10 ენერგობლოკი, მაღალი ძაგვის გადამცემი 500-კილოვატიანი ხაზები, ახლა რა მოტივით და რა სინდისით უჭერენ მხარს ნამოხვანელებს. ან თავად ნამოხვანჰესის გამპროტესტებლებს მხოლოდ ნამოხვანი რომ სტკივათ, ზემოთ ჩამოთვლილი ტერიტორიები საქართველოსი აღარაა?!

ან ტერიტორიის თურქებზე ათეული წლებით გასხვისებაზე რომ ვჯავრობთ და სწორია ეს პროტესტი — რუსეთზე მიყიდული კომპანიები თავისი ტერიტორიიანად გაპროტესტებად არ ღირს?

ღირს?-არ ღირს? — სიტყვამ ვაჭრობა და კვლავ ფული გამახსენა, რომელიც, სამწუხაროდ, როგორც ამბობენ, ფიგურირებს ამ პროტესტში.

როგორც გავიგე, იმ 270-მდე ოჯახს საკარმიდამო, არასასოფლო-სამეურნეო და სასოფლო-სამეურნეო მიწებში, საერთო ჯამში, 35 მლნ აუღია, რაც სახელმწიფოს კომპანიისთვის სიმბოლურ ფასად — 1 ლარად გადაუფორმებია.

ახლა ამბობენ, იქ თურქები ჩამოვლენ საცხოვრებლადო, რადგან ჰესს ადმინისტრაცია და მუშახელი სჭირდებაო.

პირადად მე თურქული ოჯახების ნამოხვანში ჩამოსახლების პერქსპექტივა აბსურდი მგონია, რადგან იქედან ადგილობრივი მოსახლეობაა წამოსული, არასახარბიელო საცხოვრებელი პირობების გამო და ჰესის აშენების შემთხვევაში ისეთი რა ინფრასტრუქტურა განვითარდება, ან რა წარმოებადაწესებულებები აშენდება, ვინმე საცხოვრებლად რომ მოიხიბლოს? თანაც ჰესის ადმინისტრაცია დიდიდიდი 100 ადამიანი იყოს, ათასობით თურქული ოჯახი რად უნდა ერთი ჰესის ფუნქციონირებას. თანაც ჰესის ადმინისტრაცია თანამდებობებს არ გულისხმობს. მუშის, დარაჯის, მძღოლის, ოპერატორის, მორიგეების პოზიციები მაღალანაზღაურებადი არ არის და თურქეთიდან ადამიანები ამ თანხის საფასურად ნამოხვანის ხეობაში რომ ჩამოვლენ, მთლად სარწმუნო არ უნდა იყოს.

ნამოხვანში ურანის, გრანიტის, კირქვის, მარმარილოს, ვერცხლის და ოქროს საბადოების არსებობაზე და უმდიდრესი წიაღისეულის საბადოდ იმ ტერიტორიის აღიარებაზე მე ვერ ვილაპარაკებ, რადგან ეს, ჯერ ერთი, არასერიოზულად მიმაჩნია და მეორეც, სანამ გეოლოგები ამას არ აღიარებენ, ტყუილად ლაპარაკს აზრი ეკარგება, რადგან, როგორც ცნობილია, თურქული კომპანიები თურმე საქართველოს ტერიტორიაზე სხვა ბევრ ჰესს აგებენ, კერძოდ, ჭოროხზე 143 ჰესის მშენებლობას გეგმავენო და წიაღისეულზე ვმჯდარვართ და დღემდე არ გვცოდნია.

ხუმრობა არა, მაგრამ გულდასაწყვეტი, იცით, რა არის? — ასე რომ წამოვენთებით და მერე ისევ ჩავიღვენთებით მიმქრალი ღადარივით — ამასწინათ გარეჯზე გვქონდა თავპირისმტვრევა, ცხელ-ცხელი ამბები არ გვაკლდება და სოციალური ქსელიც „იწვის“ და გუგუნებს.

ნამოხვანის თემაზე კამათში ფეისბუკში წერდნენ: რას დარდობთ, ხალხო, 50 წლის მერე თურქები საერთოდ არც იარსებებენო. მე არა ვარ ჰომოფობი, მაგრამ იმ ჩემი თანამემამულის ოპტიმიზმი მომეწონა — ისე ვართ ქართველები ღმერთის იმედად გათამამებულები, რომ გვგონია, ვინც ჩვენ „გვაწყენინებს“, მალე ყველა გაქრება, ხოლო ჩვენ დავრჩებით, ვიდრე მეორედ მოსვლისა უფლისა ჩვენისა იესო ქრისტესი.

რა ვიცი, ალბათ, ასეც იქნება...

ირანდა კალანდაძე
593 56 11 18

რობერტ სტურუა: ქალებმა 37 წელი დაიწყეს! რეპრესიები!

არის თუ არა მამაკაცი ადამიანი და ვრცელდება თუ არა მასზე უდანაშაულობის პრეზუმფცია?

მეტად უცნაური დრო დადგა დალოცვილ დედამიწაზე... მაგალითად, დღეს ნებისმიერ ქალს შეუძლია ხელი დაადოს ნებისმიერ კაცს და განაცხადოს, ეს ტიპი 10, 20, 25 წლის წინათ ჩემზე ძალადობდა, უნდა დაისაჯოსო და დაისჯება კი არა, სარზე გასვამენ, პალოზე ჩამოაცვამენ, სიკვდილს მოანატრებენ, დედას უტირებენ. თქვენ უკვე იცით, რამდენ ცნობილ ადამიანს აუგეს უკვე „ანდერძი“ და ჩამოართვეს ეპოლეტები. ამაზე სხვა დროს დაწვრილებით მოგახსენებთ, ამჯერად იმაზე უნდა გითხრათ, რაც საქართველოში ხდება: მსახიობი და ტელეწამყვანი ნინუცა მაყაშვილი ამბობს, რომ მასზე ყოფილი ქმარი, რუსთაველის თეატრის მსახიობი ბესო ზანგური თანაცხოვრების დროს სისტემატურად ძალადობდა, მაშინაც კი, როდესაც ის ორსულად იყო. ბესო ზანგური ამ ბრალდებას

უარყოფს და ამბობს, რომ კატეგორიულად ემიჯნება ძალადობას. ნინუცა მაყაშვილმა ძალადობის შესახებ „რუსთავი 2“-ის გადაცემის – „ფარული კონვერტის“ დროს ისაუბრა.

როდესაც მსგავს ფაქტებზე ალაპარაკდებიან ხოლმე, საზოგადოებაში ეგრევე ჩნდება შეკითხვა – აქამდე სად იყო? აქამდე რატომ არ იჩივლა? აქამდე რატომ არ განაცხადა? მაყაშვილი ამბობს, რომ მაშინ ძალადობაზე არ უსაუბრია, დრო არ იყო სწორი:

„ახლა დიდი დრო გავიდა, მე გავიზარდე, გადავლახე ეს ყველაფერი და ახლა უფრო მემარტივება ამაზე საუბარი, ვიდრე მაშინ“.

კარგი, დავუშვათ, ესეც დავიჯერეთ... დავუშვათ, ბესო ზანგური მართლაც მოძალადეა, ხომ არსებობს უდანაშაულობის პრეზუმფცია? დიახ, არსებობს, მაგრამ ამ შემთხვევაში არ მუშაობს, ვერ იმუშავა, არ ამუშავდა, არ აამუშავეს და ეგრევე დაიწყო ზანგურის მორალური განადგურება – ჯერ იყო, კულტურის ახალმა მინისტრმა თეა წულუკიანმა განაცხადა, თეატრიდან უნდა წავიდესო, შემდეგ კი ყველა სპექტაკლიდან მოხსნეს, სადაც თამაშობს ან ოდესმე უთამაშია. დიახ, მსახიობი ზანგური გააქრეს, მორჩა, აღარ არსებობს და ეს მაშინ, როცა უდანაშაულობის პრეზუმფცია ისევ არსებობს. რაკი არსებობს, ყველა ვალდებულია, დაელოდოს სასამართლოს გადაწყვეტილებას. როდესაც სასამართლო იტყვის, რომ ზანგური დამნაშავეა, ამის შემდეგ შეიძლება „ჩავქოლოთ“, „დავხვრიტოთ“, „ჩამოვახრჩოთ“ და სულაც სარზე გავსვათ, ან დავაპატიმროთ. თუმცა, ვიმეორებ, ამ შემთხვევაში ეგეთი დემოკრატიულ-პლურალისტული რაღაცები არ მუშაობს.

ავი ენები ამბობენ, რომ ეს სკანდალი რუსთაველის თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელის, რობერტ სტურუას მოსაშორებლად აგორდა. ინტრიგის მოყვარულთა საყურადღებოდ უნდა განვაცხადო, რომ მაგარი მიგნებაა, აშკარად ნიჭიერი „რეჟისორის“ დაგეგმილია. ყველამ იცოდა, რომ რეჟისორი თავის ფავორიტ მსახიობს გამოექომაგებოდა და ასეც მოხდა, სტურუამ სოციალურ ქსელში ერთი ამბავი ატეხა:

„როცა კაცს კლავთ და არ ხართ მის დანაშაულში 100%-ით დარწმუნებული, ყველაფრის ღირსნი ხართ! სასტიკი სასჯელისა!

ვგრძნობდი, რომ ესენი ბოლშევიკები იყვნენ, ნეოკომუნისტები!

და ქალებმა 1937 წელი დაიწყეს! რეპრესიები! წინათ, ქალი, ქმარი რომ მიატოვებდა, ჰომოსექსუალიზმს აბრალებდა, ახლა ველარ ბედავს, ეშინია, დემოკრატად აღარ ჩათვლიან, ამიტომ კივიან: ოცი წლის წინ მცემდაო და ფულსაც პარფუმერიისთვის იჯიბავენ! ვაშა, ახალ დიდებას! ვაშა კომუნიზმს“!

ამას მოჰყვა თავდასხმა სტურუაზე, აზვირთდა და გადმოვიდა რისხვანი არასამთავრობოთა „სამართლიანობისა“ ბაბუცაისა პატარაიას ლოცვა-კურთხევითა. რეჟისორმა იმავე დღეს ასეთი რამ დაწერა:

„მე ისედაც მივდივარ და ვაცხადებ, ახმეტელი ბერიამ დახვრიტა, მე კი გადარეულმა ისტერიჩკებმა, ისედაც ვაპირებ წასვლას, მოდით და მოიწყვეთ ორგიები, არ მაინტერესებს, მორჩა, მივდივარ, გადავიხვეწები, მშვიდად სიკვდილი მინდა“.

დამეთანხმებით, ეს ძალიან ცუდი განცხადებაა. როგორც ჩანს, ბატონ რობერტს შთააგონეს, რომ სწორედ ახლა, სწორედ ამ წუთებში არ უნდა დათმოს და კიდევაც შეცვალა „ჩვენება“, არსად არ მივდივარ, ვერ მოგართვით, ყველაფერი კარგად იქნებაო. თუმცა მაინც მოხდა ერთი ამაზრზენი ფაქტი – დიდ რეჟისორს საკუთარი ხელით მოახსნევინეს ბესო ზანგური ყველა სპექტაკლიდან. თავად ზანგური ამ ყველაფერს ასე ეხმაურება:

„ყველაფერი ისე გაიშიფრა, ხელი არ გამინძრევია! ეს მიზანმიმართული დარტყმაა რუსთაველის თეატრსა და რობერტ სტურუაზე!!! ძალიან ბევრი მოჰყვებით ამ ნანგრევებში თქვენი არასწორი სოლიდარობით!!! დადექით და თქვით, რატომ არ გიყვართ ეს თეატრი და თუ არ გიყვართ, რატომ ხართ ააქ? გამაგებინეთ, რაში დაგჭირდათ ჩემი გარევა ამხელა ვაქხანალიაში? ჩემგან ნურაფერს უცდით, მე არაფერს ვიტყვი ნინუცაზე, ის ჩემი შვილის დედაა!!! მაგრამ ვინც აყევით ამ საზიზღარ პიარკამპანიას და დუჟმორეული ლანძღავთ რობერტ სტურუას და რუსთაველის თეატრს, მესმის ნინუცა მაყაშვილის და მისი ოჯახის წევრების, მაგრამ სოლიდარული ტიპები დამლაიქებლებიანად რატომ ვერ იტანთ რობერტ სტურუას ან რუსთაველის თეატრს? ამიხსენით. არა, მე მკიდია, ახსენით საჯაროდ! ეს ნაციონალური მანქანა ტროლ-ბოტებიანად როდის უნდა დასრულდეს“?!

ბესო ზანგური გამოუვალ მდგომარეობაში ჩააყენეს, თანაც ვადაზე ადრე, ან საერთოდ უსამართლოდ. აქედანაც გამოჩნდა, როგორი დაუნდობელია ჩვენი საზოგადოება, აგრესიული და ზოგ შემთხვევაში მკვლელიც კი. ვუყურებ მიმდინარე მოვლენებს და სრულებით აღარ მიკვირს, რაც მოხდა 1937-იან წლებში. არ ვიცი, ადრე მიკვირდა, ახლა აღარ!

სხვათა შორის, საზოგადოების მოაზროვნე ნაწილმაც დაასკვნა, რომ ეს არის რობერტ სტურუას ჩაქოლვის პროცესი, იურისტები აღნიშნავენ, რომ სტამბულის კონვენციამ და საერთაშორისო კანონმდებლობაში შეტანილმა ცვლილებებმა შესაძლებელი გახადა, ჩივილი დასწრებაზე იყოს, ცილისწამების მსხვერპლი, ყოველგვარი მტკიცებულებების გარეშე მორალურად განადგურდეს და ხანგრძლივი დროით აღმოჩნდეს ციხეში.

გადის დღეები, თეატრიდან „განკვეთილი“ ზანგური დეპრესიაშია, ის მადლობელია, რომ დედა გათიშულია, ანუ კომაშია და ვერაფერს ხედავს:

„მადლობა განგებას, რომ დედა გათიშულია და ვერ ხედავს ყოველივეს“.

სანამ ამ წერილს დავასრულებდი, გავრცელდა ინფორმაცია, რომ შესაძლოა, ძალადობაში მხილებულ მსახიობ ბესო ზანგურის წინააღმდეგ გამოძიება კიდევ ერთ საქმეზე დაიწყოს – ამჯერად, საუბარი არ არის 11 წლის წინ ოჯახში ძალადობის ფაქტზე. „კურიერის“ კამერამ ბესო ზანგურის მხრიდან, არასრულწლოვნის თანდასწრებით, სავარაუდო გარყვნილი ქმედება გადაიღო. დაუკვირდით ამ ინფორმაციის წყობას: „კურიერის“ კამერამ სავარაუდო გარყვნილი ქმედება გადაიღო... შესაძლოა, მის წინააღმდეგ საქმე კიდევ ერთ დანაშაულზე აღიძრას. რა უნდა გადაეღო „კურიერის“ კამერას შემთხვევით? სიუჟეტით დავინტერესდი, ვნახე, გავოგნდი, საერთოდ არაფერი აჩვენეს, არც დაფარული, არც დაუფარავი, არც მინიშნებით, არც მიუნიშნებლად, არც ისე, არც ასე, არც იმნაირად, არც ამნაირად, საინფორმაციოს წამყვანმა გამოაცხადა ის, რაც ზემოთ მოგახსენეთ და ეგ იყო. ისევ უდანაშაულობის პრეზუმფცია, ისევ ჩაფლავებული კანონი. გადაცემის წამყვანი გვეუბნება, ვიდეო ჩვენმა ჟურნალისტმა ნახა, შეიძლება საქმე გარყვნილებასთან გვქონდესო. სხვათა შორის, ამ სკანდალში „რუსთავი 2“ საეჭვოდ ფიგურირებს – ყველაფერი გავარვარებულ „ნაციონალ“ ია ფარულავას გადაცემიდან დაიწყო და შემდეგ ამავე ტელევიზიაში გაგრძელდა. აშკარად ჩანს ვიღაცის ხელი და ინტერესი.

რა უნდათ რობერტ სტურუასგან, ბოლოს და ბოლოს, რამდენჯერ უნდა გააძევონ თეატრიდან? ის 2011 წლის 15 აგვისტოს საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის მინისტრის ბრძანებით, შოთა რუსთაველის სახელობის თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელის თანამდებობიდან გათავისუფლდა. თეატრიდან რობერტ სტურუას გაშვებას წინ უძღოდა რეჟისორის დაძაბული ურთიერთობა ხელისუფლების წარმომადგენლებთან და საჯაროდ გაკეთებული ქსენოფობიური განცხადებები. გაიგონეთ? სტურუა თეატრიდან ქსენოფობიური განცხადებების გამო გაუშვა ნიკა რურუამ. დიახ, ნიკა რურუამ, რომელმაც 1991–1992 წლების გასაყარზე რუსთაველის პროსპექტი გადაბუგა, პარლამენტის შენობა ჩამოანგრია, კანონიერი ხელისუფლება გააძევა და შემდეგ სამეგრელოც დააწიოკა. არა, წესით ეს ამბავი დაუჯერებელი უნდა იყოს მომავალი თაობებისთვის... როგორ შეიძლებოდა ასეთი დამნაშავე კულტურის მინისტრი ყოფილიყო? როგორ შეიძლებოდა, დამნაშავეს გაეთავისუფლებინა რეჟისორი ქსენოფობიის გამო? აი, ეს გახლავთ ცნობიერებისა და ფასეულობების აღრევა, რამაც ქართული საზოგადოების ნაწილი ძალიან მაგრად გამოაშტერა.

როგორც ჩანს, ეს ამბავი ასე მალე და ასე იოლად არ დასრულდება. მე მაინც მჯერა, რომ სამართალმა პური მაინც უნდა ჭამოს. ვნახოთ, იმედია, საკაცეთს აუცილებლად დაიფარავს უფალი ავ დედაკაცთა თავდასხმებისგან. რასაკვირველია, ძალადობა არის ყოვლად მიუღებელი, ყოველი მოძალადე უნდა დაისაჯოს შესაბამისად, მაგრამ ეს არ უნდა გახდეს პოლიტიკური თუ სოციალური ანგარიშსწორების იარაღი.

გელა ზედელაშვილი
555 48 48 61

გიორგი გახარიას გზა - ზემოდან ქვემოთ და პირიქით

რომელი გახარია იქნება უფრო რეიტინგული — გახარია „ქართულ ოცნებასთან ერთად თუ გახარია „ქართული ოცნების“ გარეშე?

14 აპრილს, დედა ენის დღეს, „ქართულ ოცნებას“ ექვსი წევრი გამოეყო და ოფიციალურად განაცხადეს, რომ გიორგი გახარიას ხელმძღვანელობით ახალი პარტიის მშენებლობას იწყებენ.

ჯერ არავინ იცის, როგორი და რანაირი პარტია იქნება ეს ახალი პარტია, რა ახალი იდეები და კონცეფციები დაედება საფუძვლად მის მუშაობას, თუმცა იმის მიხედვით თუ ვიმსჯელებთ, რაც ორიოდე სიტყვით თქვეს გახარიას მომავალი პარტიის წევრებმა, პარტია იქნება ოპოზიციური, ოღონდ კონსტრუქციულად ოპოზიციური.

საინტერესო განაცხადია, თუმცა ამ განაცხადს, ჯერჯერობით, კონკრეტიკა აკლია და, აქედან გამომდინარე, ძნელი სათქმელია, რა საკითხებთან დაკავშირებით იქნება გახარიას პარტია კონსტრუქციული და რა შემთხვევაში დაიკავებს პრინციპულ და განსხვავებულ პოზიციას.

ბრიფინგზე ისიც ითქვა, რომ გახარიას პარტია შეეცდება ქვეყანაში დამთავრდეს პოლიტიკური პარტიების დაპირისპირება და გაუთავებელი კინკლაობა, რაც ქართულ სახელმწიფოს განვითარების და წინსვლის საშუალებას არ აძლევს, თუმცა ძნელი წარმოსადგენია, როგორ მოახერხებს გახარია და მისი პარტია იმის გაკეთებას, რაც ვერ გააკეთა ევროპარლამენტმა, აშშ-მ, ჩვენმა საერთაშორისო პარტნიორებმა?

საქართველოში ცუდ ტრადიციად იქცა ერთი სახელისუფლო პარტიიდან სხვადასხვა პარტიების გამოყოფის ტენდენცია.

თავის დროზე ასე იშვა დედაპარტიიდან, მოქკავშირიდან რამდენიმე ახალი პარტია, მათ შორის, „ნაცმოძრაობა“, რომელიც მოგვიანებით ასევე რამდენიმე სხვადასხვა ორგანიზაციად დაიშალა.

იგივე მოხდა „ქართულ ოცნებაშიც“ — „ოცნებიდან“ წასულმა პოლიტიკოსთა ნაწილმა ახალი პარტიები დააფუძნეს, სულ ბოლოს კი პარტიათა დაბადების ეს პროცესი გიორგი გახარიამ დააგვირგვინა ახალი პარტიის შექმნი თ.

საკითხავია, რამდენად თავისუფალი და დამოუკიდებელი შეიძლება იყო, როცა საიდანღაც მოდიხარ.

ცხადია, ფესვებიანად ვერ ამოიგლიჯები იმ ნიადაგიდან, რომელმაც გშვა, რომელიც გასაზრდოებდა და გზრდიდა წლების განმავლობაში.

ამის გაკეთება თვითმკვლელობის და თვითლიკვიდაციის ტოლფასია, მით უმეტეს, გიორგი გახარიასთვის, რომელიც „ქართული ოცნების“ რიგითი წევრი კი არა, მისი ერთ-ერთი გამორჩეული ლიდერი იყო, რომელიც თავის წილ პასუხისმგებლობას ვერ აიცილებს, თუ „ქართულ ოცნებას“ რაიმე სახის შეცდომები აქვს დაშვებული.

გიორგი გახარია ამ პასუხისმგებლობის ტყვეა და ის იქიდან ვერ გათავისუფლდება, ძალიანაც რომ მოიწადინოს.

გახარია ვერც ოპოზიციას დაუპირისპირდება ბოლომდე, რადგან თავისივე ნებით შეუერთდა ოპოზიციურ ფლანგს და, ცხადია, ოპოზიციის თამაშის წესებს, მის მიერ შემოთავაზებულ დღის წესრიგს, შესაძლებლობის ფარგლებში, ხმა უნდა აუწყოს.

ასე რომ მას სხვა არჩევანი არც აქვს — ის უნდა იყოს კონსტრუქციული, როგორც ხელისუფლების, ასევე ოპოზიციის მიმართ.

კონსტრუქციულობა გიორგი გახარიას ახალი პარტიისთვის იძულებითი განაჩენია, ბედისწერაა, რომელსაც ვერ გაექცევა.

კი, მაგრამ, რამდენად იქნება მისაღები იმ ელექტორატისთვის, რომელიც გახარიასგან რევოლუციურ ნაბიჯებს და რადიკალურ ცვლილებებს ელოდება, კონსტრუქციული, კომპრომისული, ლავირებაზე ორიენტირებული პოლიტიკური ორგანიზაცია?

ხომ არ გამოიწვევს ეს ყველაფერი ელექტორატის განხიბვლას და იმედგაცრუებას, საბოლოო ჯამში კი მკვეთრ ვარდნას იმ მაღალი რეიტინგისა, რომელიც დღეს გახარიას აქვს?

არ არის გამორიცხული, ეს ასეც მოხდეს, თუმცა ყველაფერი იმაზეა დამოკიდებული, რა ტაქტიკას და სტრატეგიას აირჩევს გახარია და ამომრჩეველთა რა კონტინგენტზე გააკეთებს მთავარ აქცენტს.

ბოლო არჩევნებზე ხელისუფლებასა და ოპოზიციას შორის ხმების რაოდენობა თითქმის თანაბრად, 50–50-ზე გადანაწილდა, თუმცა საგულისხმოა ის გარემოება, რომ არჩევნებზე მილიონამდე ამომრჩეველი არ მოვიდა.

ვერც „ქართული ოცნება“ და ვერც ოპოზიცია შექმნილ პოლიტიკურ სიტუაციაში ვერაფერს გააკეთებენ ისეთს, რომ ამ მილიონი ამომრჩევლის გული მოიგონ და თავისკენ გადმოიბირონ.

სწორედ ამ მილიონ ადამიანში უნდა ეძებოს გახარიამ თავისი მხარდამჭერების მთავარი რესურსი, თუმცა ეს სულაც არ იქნება იოლად მოსაგვარებელი საქმე, რადგან ეს კონტინგენტი ის კონტინგენტია, რომელიც ყველაზე კრიტიკულად და მკაცრად აფასებს პოლიტიკური პარტიების საქმიანობას და მათ დაპირებებს და განცხადებებს სკეპტიკურად და უნდობლად უყურებს.

ძნელი სათქმელია, რა უნდა შესთავაზოს „კონსტრუქციულმა“ გახარიამ ამ ადამიანებს, რით უნდა დაარწმუნოს ისინი, რომ სწორედ ის და მისი პარტიაა ის პოლიტიკური ძალა, რომლის გამოც ღირს თავის შეწუხება და საარჩევნო ყუთებთან მისვლა?

ეს ადამიანები არ არიან გახარიას ფანები. ეს რომ ასე ყოფილიყო, მაშინ 31 ოქტომბერს მოვიდოდნენ არჩევნებზე და მხარდაჭერას გამოაცხადებდნენ „ქართული ოცნების“ პირველ ნომერს.

გახარია „ქართულ ოცნებასთან“ ერთად და გახარია „ქართული ოცნების“ გარეშე შეიძლება ამ ადამიანებისთვის ეს სხვადასხვა, ერთმანეთისგან განსხვავებული გახარიაა და გახარია „ქართული ოცნების“ გარეშე უფრო მისაღებია მათთვის, ვიდრე გახარია „ქართულ ოცნებასთან“ ერთად.

რაც შეეხება ოპოზიციას: ოპოზიციას ნაკლებად აინტერესებს გახარია მშვიდობის მტრედის როლში, მას გახარია — შევარდენი სჭირდება, რომელიც ულმობლად დააცხრება თავს ბიძინა ივანიშვილს, „ქართულ ოცნებას“ და შეუბრალებლად დაკორნტის და დაასისხლიანებს მათ. რაც გახარიას მხრიდან, ვფიქრობთ, კატეგორიულად გამორიცხულია, თუმცა სულაც არ არის გამორიცხული, გახარიამ „ქართული ოცნების“ ლიდერშიფიდან მასიური „საარტილერიო“ დარტყმები მიიღოს და იძილებული გახდეს, თავშესაფარი ოპოზიციის „ბომბაუბეჟიშჩეში“ ეძებოს, თუმცა, შეიძლება, პირიქითაც მოხდეს და ოპოზიციის მიერ გახსნილმა ცეცხლმა გახარია იძულებული გახადოს, „ქართული ოცნების“ ტრანშეებს მიაშუროს.

ასეა თუ ისეა, გიორგი გახარიას ია-ვარდებით მოფენილი გზა ნამდვილად არ ელოდება წინ. მას დიდი წინაღობების და დაბრკოლებების გადალახვა მოუწევს.

გიორგი გახარიამ რაღაც ახალი უნდა უთხრას ქართველ ამომრჩეველს, ისეთი რამ უნდა უთხრას, რაც აქამდე არ თქმულა.

ეს ახალი, ეს ჯერ უთქმელი სიტყვა ნამდვილად არსებობს, თუმცა მას რომ მიაგნო, ერთი აუცილებელი პირობაა საჭირო — ძალიან უნდა გიყვარდეს საქართველო და ქართველი ხალხი, მერე კი თავად ეს სიყვარული გაპოვნინებს ნებისმიერი პრობლემის დაძლევის ხერხს და საშუალებას.

დღეს ბატონი გახარია სამსახურებრივი ჩარჩოებისგან თავისუფალი ადამიანია.

ვნახოთ, როგორ გამოიყენებს იგი ამ ფუფუნებას, რასაც თავისუფლება ჰქვია.

გზამ, რომელსაც გახარია ახლა ოპოზიციური ფლანგიდან იწყებს, არჩევნებში წარმატების შემთხვევაში, ისევ იმ კარიერის უმაღლეს საფეხურამდე უნდა აიყვანოს, საიდანაც ის წამოვიდა, უფრო ზუსტად, საიდანაც საკუთარი ნებით ქვემოთ დაეშვა.

ის ერთხელ უკვე იყო პოლიტიკური კარიერის ოლიმპზე, რომელზე მაღლა, რომელზე ზემოთ ვერასოდეს ავა, თუნდაც ყველა არჩევნებში დიდი უპირატესობით გაიმარჯვოს.

რატომ შეუდგა ის ხელახლა ამ ერთხელ უკვე ამოვლილ ციცაბო აღმართს და ამ აღმართის წვერზე ასულმა რა უნდა გააკეთოს ისეთი, რაც პირველი ასვლისას ვერ გააკეთა?

ფაქტია, საქართველოს ძალიან სჭირდება ახალი პოლიტიკური პარტია, ოღონდ ისეთი პარტია, რომელიც ძველი, უკვე მობეზრებული ტრაფარეტებით და ლოზუნგებით სპეკულაციას და კეკლუცობას კი არ დაიწყებს, არამედ საქართველოს დამოუკიდებლობის ოცდაათწლიან მწუხარე ისტორიას ობიექტურად გააანალიზებს და ყველაფერს თავის ნამდვილ სახელს დაარქმევს.

მიმომხილველი

„მეგრულიც და სვანურიც ჩვენი საგანძურია, რომელსაც უნდა ვიცავდეთ“

14 აპრილი დედაენის დღეა. ამ თარიღთან დაკავშირებით, საქართველოს პრეზიდენტმა სალომე ზურაბიშვილმა ენის როლსა და მნიშვნელობაზე ისაუბრა და აღნიშნა: „ჩვენ ვჩაგრავთ ჩვენი ენის ფუძე ენებს — მეგრულსა და სვანურს. რატომღაც, გვეშინია ქართულის უმდიდრეს ლიტერატურულ ენად ჩამოყალიბებაში მათი როლის აღიარება. მეგრულიც და სვანურიც ჩვენი საგანძურია, რომელსაც უნდა ვიცავდეთ და ვანიჭებდეთ სწორ ადგილს. ყველა მსურველს უნდა ჰქონდეს სკოლაში ამ ენების არჩევით შესწავლის საშუალება და არ უნდა ვემორჩილებოდეთ ცრუ შიშებს!“

ამ თემას წლების მანძილზე „საერთო გაზეთმა“ არაერთი პუბლიკაცია მიუძღვნა. ამჯერად, გთავაზობთ, ამონარიდებს სხვადასხვა დროს გამოქვეყნებული ინტერვიუებიდან, ასევე, კომენტარებს პრეზიდენტის განცხადებასთან დაკავშირებით და ინტერვიუს „საერთო გაზეთის“ მთავარ რედაქტორთან ვახტანგ ხარჩილავასთან:

ვახტანგ ხარჩილავა: ჩემი აზრით, რაც ქალბატონმა სალომემ თქვა, ეს, სახელმწიფოებრივად უაღრესად მნიშვნელოვანია, თუნდაც შემდეგი მიზეზის გამო: დამოუკიდებლობის მოპოვებიდან 30 წელი გავიდა, მაგრამ საქართველოს ხელისუფლების უმაღლესი პირებიდან, დღემდე, არავის უთქვამს ის, რაც პრეზიდენტმა ბრძანა. რიგითი მოქალაქეები, მწერლები, მეცნიერები ამ თემაზე, ყოველთვის, ვსაუბრობდით, მაგრამ ხელისუფალნი, ამ მტკივნებულ საკითხთან დაკავშირებით, დუმდნენ. პრეზიდენტის მოსაზრება არამხოლოდ მეგრული და სვანური ენის ამგვარი შეფასებითაა მნიშვნელოვანი, არამედ ქართული სახელმწიფოს მოწყობის, მისი მშენებლობის ახლებური კუთხით დანახვის თვალსაზრისითაც. იმას, რაც ახლა ზურაბიშვილმა ღიად თქვა, პირადად, მე, 30 წელია ვამბობ და ამის გამო სეპარატისტი კი მიწოდეს, არადა განსხვავებული არაფერი მითქვამს. დიახ, ჩემი აზრით: თუ გვინდა ქართული სახელმწიფო როგორც ერთიანი ორგანიზმი შეიკრას, მაშინ საქართველოს მაცხოვრებლებმა მეგრული და სვანური ენები ზედაპირულ დონეზე მაინც უნდა იცოდნენ. რატომ? — იმიტომ, რომ მათთვის მეგრული, სვანური უცხოა, რადგან სკოლაში არავინ ასწავლა და ვინც ამ ენებზე ლაპარაკობს ანუ, მეგრელები და სვანები ქართველები არ არიან. ისინი უცხონი არიან. ჩვენი ქვეყანა, დღემდე, რომ ვერ შედგა როგორც ქართული სახელმწიფო, სწორედ, ასეთი მიდგომის ბრალია. სამეგრელო ხომ ქართული სახელმწიფოს თანადამფუძნებელია. შენ კი, ამ მხარეს, უცხოდ თვლი. ეს გახლავთ მტრის მიერ შემოგდებული გათიშვის, გაუცხოების, ერთმანეთთან დაპირისპირების პოლიტიკა, როცა ქართველ კაცს უნერგავდნენ, რომ მეგრული ენა ქართული არ არისო.ე.ი. მეგრელიც არ არის ქართველი ხომ, ასე გამოდის?! ამ მოსაზრებას ვიღაც-ვიღაცები საკუთარ თავს პატრიოტობად უთვლიდნენ. მინდა, დაბეჯითებით განვაცხადო: ქართველი რომელმაც თუნდაც ზედაპირულად არ იცის მეგრული და სვანური ენები, მან, სინამდვილეში, ქართული არ იცის. მას ჰგონია, რომ ქართული განყენებულად სხვა ენაა. მე, სამწუხაროდ, სვანური არ ვიცი, მაგრამ ინფორმაცია მაქვს და ვიცი, რომ სწორედ იქ, დევს ქართული სიტყვების საწყისი ფუძეები. აი, ზუსტად, ამ თემაზე საუბრობს სალომე ზურაბიშვილი. მინდა, მას ამ დიდი გამბედაობისთვის მადლობა ვუთხრა. დიახ, დღეს, საქართველოში ამის თქმას გამბედაობა სჭირდება.

არ არის გამორიცხული ვაიპატრიოტებმა თქვან: აი, ხედავთ, პრეზიდენტი საქართველოს დაყოფას, დახლეჩას უწყობს ხელს, მეგრულ და სვანურ ენებს ახალისებსო. მათ სინამდვილეში არ იციან, რომ ამით წყალს მტრის წისქვილზე ასხამენ. განა, ის რაზეც ახლა ვსაუბრობ, შორეულ საუკუნეებში ხდებოდა? — არა, ბატონო, აგერ, 30 წლის წინათ არ გადაუარეს ხუთჯერ სამეგრელოს?! მაშინდელ ლოზუნგს გაგახსენებთ: „ქართლკახეთი, იმერეთი, გურია და რაჭა, ყველა ჩვენი სამშობლოა სამეგრელოს გარდა“. მეგრულ ენაზე რატომ ლაპარაკობთო იძახდნენ ეს ვაი-ქართველები და ავტომატებით დარბოდნენ. გესმით, რა ხდებოდა? — ჯერ სამეგრელოს გადაუარეს და მერე, აფხაზეთში შევიდნენ. იქაც, მეგრელებს ჩასდიეს. მეგრელებს, რომლებიც აფხაზეთის ქართველობის ძირითად ნაწილს წარმოადგენდნენ. ვინ იხეირა ამით? — რა თქმა უნდა, მტერმა. გეკითხებით: როდემდე უნდა იცხოვროს სახელმწიფომ ჩვენს შიგნით ჩასახლებული მტრების დირექტივებით? ვერ უნდა მივხვდეთ რა არის მიზეზი იმისა, რომ სახელმწიფო დღემდე ვერ შედგა? შეიძლება სვანს და მეგრელს ეჭვის თვალით შეხედო მაშინ, როცა მას არასდროს საქართველოს დასაცავად უკან არ დაუხევია. ასე, რომ სალომე ზურაბიშვილის ეს რამდენიმე ფრაზა, ფაქტობრივად, სახელმწიფო პოლიტიკის რევოლუციური გადატრიალებაა, რაც ძალიან მნიშვნელოვანია. ამ ყოველივეს, რა თქმა უნდა, კონკრეტული ნაბიჯები უნდა მოჰყვეს.

ვფიქრობ, სკოლებში ქართული ენა ახალი კუთხით უნდა ვასწავლოთ. პრეზიდენტის მოსაზრება ამ საკითხზე ძალიან მნიშვნელოვანია თუნდაც იმიტომ, რომ ეს გახლავთ ქართული სახელმწიფოს მშენებლობის ახალი გზა, ახალი მოდელი.

„საერთო გაზეთი“ შეეცდება ამ მოსაზრებას ხმა აუწყოს, მაგრამ ეს არ არის მხოლოდ მეგრელების და სვანების პრობლემა, არამედ პირველყოვლისა, სრულიად საქართველოს საზრუნავია. დამიჯერეთ, ეს, ასეა. გაუცხოების სინდრომი რომ არა, ჩვენ, აფხაზეთსაც არ დავკარგავდით. იმიტომ, რომ აფხაზეთში ბევრმა აფხაზმა ქართული არ იცოდა, მაგრამ მეგრული ყველამ იცოდა. აი, ეს ვერ გაიგო ქართულმა სახელმწიფომ თუ რა სამსახურს უწევდა მას მეგრული ენა. ასე, რომ ამ მიმართულებით ფიქრი, დისკუსი, დებატები ძალიან საჭირო, დროული და სახელმწიფოებრივად უაღრესად მნიშვნელოვანია. ეს მავნებლური პოლიტიკა დღემდე გრძელდება, რომელიც ხან რუსეთიდან არის შემოგდებული, ხან სხვა სამეზობლოდან. მათ, პირდაპირ, დოქტრინასავით აქვთ ის, რომ სამეგრელო საქართველო არ არის და მეგრელები ქართველები არ არიან მათ შორის, არც სვანები. ოფიციალურად წერენ კიდეც: სამეგრელო და სვანეთი, აჭარა, პანკისის ხეობა ქართველი იმპერიალისტებისგან უნდა გავათავისუფლოთო. ხომ ასეა. ამ დროს, რა ხდება? — ქართველი პოლიტიკოსიც იგივეს აკეთებს, რასაც მტერი კარნახობს. თან, ხელს უწყობს მეგრელის და სვანის კიდევ უფრო მეტად გაუცხოებას, ბიძგს აძლევს, რომ მათ თავისიანად აღარ ჩაგთვალონ. ახლა, არ ვიცი რა ხდება, მაგრამ ადრე, გალიდან ბავშვები ზუგდიდში, წალენჯიხაში გადმოჰყავდათ, რათა მათ ქართულად ესწავლათ. აფხაზები და რუსები ეუბნებოდნენ: ჩვენ, აქ, გაგიხსნით მეგრულ სკოლებს, მიგაღებინებთ განათლებას, თქვენ, ხომ ქართველები არ ხართ და მეგრულად ისწავლეთო. გალელს ეს არ უნდოდა. მეგრული კი იყო მისთვის მშობლიური ენა, მაგრამ ქართული მისი სახელმწიფო ენა გახლდათ. ამიტომ, უამრავი დაბრკოლების ფასად შვილები გალიდან გადმოჰყავდათ, რათა ქართულად ესწავლათ. ეს ვინმემ დაინახა, დააფასა? ილია ამბობდა: ქართველი რომ დაიძახო, შეიძლება, ერთმა ქართლელმა მოაბრუნოს თავისი გრძელი კისერი, თორემ, სხვა არც არავინ მოიხედავსო. ასე იყო, საუბედუროდ და ეს ტენდენცია დღემდე გრძელდება. ძალიან კარგია რომ ბოლოსდაბოლოს, ამის შესახებ, პრეზიდენტისგან ითქვა.

როცა ამ თემაზე ვსაუბრობ, ერთი ცნობილი პოეტის ლექსი მახსენდება, რომელმაც „ვეფხისტყაოსანის“ მეგრულად თარგმნის გამო მეგრელებს უდიდესი შეურაცხყოფა მიაყენა. მკრეხელური ლექსის ავტორს ფილარმონიაში დიდი შეხვედრა მოუწყვეს, სადაც ქვეყნის ხელმძღვანელი პირებიც მონაწილეობდნენ და ეს კაცი აქეს და ადიდეს. მე, ამის შესახებ არ დამიმალავს. დღეს, იგი ცოცხალი აღარ არის, ამიტომ მასზე ბევრ საუბარს აღარ გავაგრძელებ. ამით რისი თქმა მინდა — ის სულისკვეთება რაც ამ კაცმა მეგრელების და მეგრული ენის მისამართით გამოამჟღავნა, აღმოჩნდა, რომ ძალიან მისაღები იყო ქართული ელიტისთვის, ქართული სახელმწიფოს იმდროინდელი მესვეურებისა და ხელმძღვანელებისთვის.

ოთარ ხუფენია, სოციალური ეკონომიკის ექსპერტი: აკაკი წერეთელი ამბობდა: „მეგრული დღეს სალაროა ნამდვილი ქართული სიტყვებისა. აღმოსავლეთ-საქართველოს დაჰკარგვია ნამდვილი ქართული სიტყვები, მათ ნაცვლად თათრულ-სომხურ-სპარსული შემოუღია, რომელიც ქართველის ყურს ცუდად ეჩხირება და გულსაც სწყენს. მეგრულ ენაში კი შემონახულან ობოლ მარგალიტებად ის ძველი სიტყვები. ჩვენ ვურჩევთ ჩვენს მწიგნობრებს მეტი ყურადღება მიაქციონ მეგრულს, რომ იქედან ამოკრეფილი სიტყვებით შეივსონ დღეს მათი შელახული ქართული ლექსიკონი“. აქ, სინამდვილეში მხოლოდ მეგრულ ენაზე არაა საუბარი. ეს, რეალურად, ქართული სახელმწიფოს მოწყობის პროექტია. რა შეაგება ამ პროგრამას ქართულმა სახელმწიფომ? — ასევე, ძალზედ მტრული დამოკიდებულება მეგრული ენისადმი. ახლა, აკაკი ცოცხალი რომ

ყოფილიყო ვიღაც-ვიღაცებს შეიძლება ჩაექოლათ კიდეც, ან სეპარატისტად გამოეცხადებინათ. არადა, როდესაც ქართულ სახელმწიფოზე და აქ მცხოვრებ ადამიანებზე ვსაუბრობთ, კერძოდ, იმავე სვანურ და მეგრულ ენებზე, ზოგიერთს ჰგონია, თუ იტყვის, რომ არც მეგრული და არც სვანური ქართული ენა არაა, არამედ ეს რაღაც დიალექტია, სინამდვილეში ეს სრულ უწიგნურობასა და უმეცრებაზეა აგებული. იმიტომ, რომ ქართული ენა, სინამდვილეში, ამ ენების ნაკრებია. სამწუხაროდ, სვანური არ ვიცი, მაგრამ საბედნიეროდ, ვიცი მეგრული. უამრავი ძირი დევს მეგრულში. ასე მივიღეთ ჩვენ ერთი კულტურა, ტაძარი, რასაც ქართული ენა ჰქვია. მაგრამ როდესაც აქედან მეგრულს და სვანურს გამოაძევებ, ამ ტაძრის ერთ-ერთ ამშენებელს ეტყვი — მეგრულად რომ საუბრობ ქართველი არ ხარო, ამით ქართულ სახელმწიფოს არღვევ. ნაცვლად იმისა, რომ სახელმწიფომ ქართველზე იზრუნოს, რომელმაც მეგრული, სვანური არ იცის და მას ელემენტარული ცოდნა მაინც მისცეს, აბსოლუტურად, საწინააღმდეგო პოლიტიკა ტარდებოდა და დღემდე ტარდება, რამაც ჩემი ღრმა რწმენით, აფხაზეთის დაკარგვამდე მიგვიყვანა. ერთ-ერთი მიზეზთა-მიზეზი ისიცაა, რომ ქართულმა სახელმწიფომ — თბილისმა

ვერ მოუარა 300 ათას კაცს, რომელიც აქვე სახლობდა, აფხაზეთის ქართველობას ანუ მეგრელობას და მას უთხრა: შენ, არ ხარ ქართველი, ვინ ხარ მანდ მეგრულად რომ ჟღურტულებო. ასე გააუცხოვა იგი საქართველოს ცნებასთან. ხელისუფლება ამბობს: ეს ლტოლვილები აქ რომ დაძრწიან, აფხაზეთში ებრძოლათო. მათ წელიწადი და სამი თვე იბრძოლეს და 10–12 ათასი ქართველი დაიხოცა. აქ, კიდევ, ხუთ საათში დამარცხდნენ.

ჩემთვის როგორც კოლხი კაცისთვის, უმნიშვნელოვანესია დიდი ილიას სიტყვები: სამეგრელოში ჩავედი და საქართველო ვნახეო. ბავშვობიდან მაწუხებდა შეკითხვა — აბა, სხვა რა უნდა ენახა-მეთქი. მაგრამ როცა წამოვიზარდე, მივხვდი, რომ ეს ნადიმზე ნათქვამი სიტყვა და სამეგრელოსთვის ქართველობის შენარჩუნების აღტაცებით გამოხატული მოფერებაა. დარწმუნებული ვარ, საკაშვილის ხელისუფლების ყმაწვილებს წაკითხულიც არ აქვთ აკაკის სიტყვები. როცა ამას წაიკითხავენ, ალბათ, დაიწყებენ ფიქრს: მეგრელები სეპარატიზმს ხომ არ იწყებენ მეგრულ ენაზე საუბრითო. მეგრულ ენასთან ერთად უნდა განვიხილოთ სვანური, ჭანური, ლაზური და ა.შ. ვაჟამ კი ენისადმი დამოკიდებულება ასე შეაფასა: „ახალ თაობაში ისეთი მახინჯი შვილებიც გამოერივნენ, რომელნიც თვით საქართველოსაც კლავენ: უარყოფენ ენასა, ეროვნებასა და თვით ტერიტორიასაც კი“. თითქოს დღეს დაიწერა ეს სიტყვები.

ლევან ბრეგაძე, ლიტერატორი: გასული საუკუნის 80-იანი წლების ბოლოს საბჭოთა საქართველოს ხელისუფლებამ ქართული ენისთვის ზრუნვის მორიგი პროგრამის მომზარება მოიწადინა. იქედან მოყოლებული მე და ჩემი რამდენიმე თანამოაზრე პრესიდანაც და ისედაც დაჟინებით განათლების სისტემის მესვეურთ ვთავაზობთ საჯარო სკოლებში ქართველური ენების მეგრულისა და სვანურის საფუძვლების სწავლება შემოვიღოთ. ქართულის მასწავლებლები სათანადო კურსის გავლის შემდეგ შეძლებენ ასეთი საგნის სწავლებას. ბევრს კი არაფერს მოვითხოვთ! ჭითანავა რომ თურმე წითლიძეა, ქობალია რომ თურმე ხორბალაძეა, თოფურია რომ თურმე თაფლაძეა ეს ყველა ქართველმა ბავშვობიდან რატომ არ უნდა იცოდეს?! ამ იდეის წინააღმდეგი თითქოს არავინ არის, მაგრამ რატომღაც დღემდე ვერ მოხერხდა მისი განხორციელება. სამივე ქართველური ენა ყველა ქართველისთვის მშობლიური თუ არ გახდა, ქართული პატრიოტიზმი ლიტონ სიტყვად დარჩება. თუ შეგიმჩნევიათ რა საინტერესოდ იყენებს ჩინებული



პოეტი და ერუდიტი ემზარ კვიტაიშვილი თავის ლექსებში მეგრულ სიტყვებს. ერთ ბოლოდროინდელ ლექსში წერს: „სიკვდილი ვის არ დაუმსხვრევს ჩაჩქანს, არ შეგეშალოს ნაბიჯი — კუჩხი; ყური არ უგდო უბირთა ჭაჭყანს, არ მიიკარო სიბილწე, ჭუჭყი.“ აკაკი წერეთელი ხომ ამბობდა: მეგრული სალაროა ნამდვილი ქართული სიტყვებისაო. ჰოდა, ამ სალაროთი ხშირად სარგებლობს ბატონი ემზარი და ჩემი აზრით, ერთობ საგულისხმო შედეგებს აღწევს — იმდიდრებს მხატვრულ-გამომსახველობითი ხერხების არსენალს. მოდით, კიდევ ორ სტრიქონს წაგიკითხავთ მისი სხვა ლექსიდან. აქაც, მეგრული სიტყვა სარითმო სიტყვად არის გატანილი და ამით საგანგებოდ არის აქცენტირებული: ვიყავი, ვარ და ვიქნები წუხილის შვილი — თური; წუხელის შემხვდა ერლომი, ჩემსავით უბედური. აქ, ის არის საგულისხმო, რომ ეს ლექსები „მეგრულ“ თემატიკაზე არ არის დაწერილი და მაინც მასში მეგრული სიტყვები თავმომწონეობენ.

მერაბ ჩუხუა, კავკასიოლოგი: ცალსახად, რა თქმა უნდა, მეგრულ-ლაზური და სვანური ჩვენი ეროვნული საგანძურია და უნდა დავიცვათ. მთელი ეს ქართველური ენობრივი მრავალფეროვნება ქვეყნის ეროვნული სიმდიდრეა. ამიტომაც, არაფერი გვიშლის ხელს, რომ შემდეგი სახის სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი გადაწყვეტილება მივიღოთ – ქართველური ენა-კილოები ვაღიაროთ არამატერიალური კულტურის ძეგლებად. რატომ აყოვნებს საქართველო ამ ნაბიჯს? რატომ არ ამკვიდრებს

სახელმწიფოებრივ მიდგომას? ვისურვებდი, პრეზიდენტის შემდგომი ნაბიჯი ყოფილიყო ასეთი ინიციატივა: მეგრულ-ლაზური და სვანური, ასევე, ქართული ენის დიალექტები, ოფიციალურად გამოცხადდეს არამატერიალური კულტურის ძეგლებად, ანუ, პირველ ეტაპზე, სტატუსი განესაზღვროს, რაც საქართველოს სახელმწიფოს მფარველობის ქვეშ დაცულობის ხარისხს ამაღლებს. ეს ხომ ლოგიკურია. იცით, ახლა რა ხდება? — ამაზე, მხოლოდდამხოლოდ მსჯელობა მიმდინარეობს, თანაც, კონკრეტული თარიღების დროს, მაგალითად, 14 აპრილს და შემდგომ, როგორც წესი, ეს თემა საპნის ბუშტებივით ქრება. ყველას კარგად გვახსოვს, ქართველოლოგიური ცენტრის დაფუძნების შესახებ იყო შემოთავაზება ორი წლის წინ. ასევე, გაცხოველებით ვსაუბრობდით ქართულ-კავკასიური ურთიერთობათა გაღრმავების შესახებაც. სამწუხაროდ, ამ მიმართულებით, ქვეყანაში სერიოზული არაფერი ხდება. მე, ჩვენი სახელმწიფოს ნამდვილი გულშემატკივარი ვარ; ამიტომ, მინდა საქმე ქმედებაში დავინახო. მხოლოდ საუბრები შედეგს ვერ მოიტანს. ეს ყველაფერი ბიუჯეტში უნდა იყოს გაწერილი ანუ, ქვეყნის ენობრივი განვითარების პოლიტიკა, პრაქტიკულად, არ იგრძნობა, სამოქმედო გეგმა, სტრატეგია, რაზეც მხოლოდ საუბრებს ვისმენთ, ჯერჯერობით, არ ჩანს.

მეგრულ-ლაზური და სვანური სკოლებში უნდა ისწავლებოდეს იმ კონტექსტში, სადაც საუბარია ქართულ კულტურულ მემკვიდრეობაზე და იმ ფესვებზე, რაზეც საქართველო დგას. ბავშვი (მოზარდი) რომელიც სკოლას ამთავრებს, ამ რეალობის შესახებ უნდა ფლობდეს დაზუსტებულ ინფორმაციას. მას არ უნდა უკვირდეს: უი, ეს სვანურია, ეს მეგრული, ის კიდევ ლაზური და ა.შ. იგი სრულყოფილ ცოდნას უნდა ფლობდეს. რას ვასწავლით სკოლაში, ამაზე აპრიორული მსჯელობა არ შეიძლება. დამიჯერეთ, ჯერ პირველი ნაბიჯი უნდა გადავდგათ. ეს გახლავთ აღიარება იმის, რაზეც ზემოთ მოგახსენეთ: მეგრულ-ლაზური და სვანური ჩვენი კულტურული მემკვიდრეობის ფასეული ნაწილი, საერთო ქართული საუნჯე, ქართველთა მონაპოვარია. ეგრევე, მოუმზადებელი საზოგადოებისთვის მსჯელობის დაწყება მეტად მგრძნობიარე თემებზე არ შეიძლება, საზოგადოებას შემზადება სჭირდება. და, რაც მთავარია, ეს არ შეიძლება ხელაღებით მოხდეს, ან რაგინდარა დონის განცხადების საფუძველზე და, მით უმეტეს, საარჩევნო პროცესში, ან თუნდაც, ქართული ენის დღეებში. ჩემი პოზიცია ასეთია: ეს ყველაფერი სახელმწიფოს მხრიდან ყოველდღიური ზრუნვის საგანი უნდა გახდეს. კონცეპტუალურად გაწერილი — რა, როდის და როგორ გაკეთდეს; ამის თაობაზე ჩვენ, საზოგადოება, ხელისუფლებასთან, საქართველოს პოლიტიკურ სპექტრთან და, რა თქმა უნდა, მოსახლეობასთან ერთად დიალოგის მუდმივ რეჟიმში უნდა ჩამოვყალიბდეთ. და კიდევ, ეს ყველაფერი საქართველოს გადასაწყვეტია. არავითარი გარედან ჩარევა. ეს არის ქვეყნის შიდა ენობრივი პოლიტიკა, რომლის კურსსაც ირჩევს და განავითარებს საქართველო, სახელმწიფოს ინტერესებიდან გამომდინარე. მორჩა და დამთავრდა. საქართველოს ქართველურ ენობრივ მრავალფეროვნებაზე ზრუნვა დღევანდელობის პასუხისმგებლობა და არჩევანია, ოღონდ, საქმეში გაცხადებული და უზრუნველყოფილი.

გიორგი გოგოლაშვილი, ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი: პრეზიდენტის მიმართვაში, ჩემთვის, რაღაცები გაუგებარია. მაგალითად, რას ნიშნავს — ჩვენ, ვჩაგრავთ ჩვენი ენის ფუძე ენებს — მეგრულს და სვანურს. რა ჩაგვრაზეა საუბარი? საერთოდ, როცა ასეთ მგრძნობიარე თემას ვეხებით, ცოტა სხვა ტერმინები უნდა შეირჩეს. ვინც საქმის კურსში არ არის ტერმინმა — ვჩაგრავთ, შეიძლება ადამიანი გააღიზიანოს და სულ სხვა განწყობაზე დააყენოს. მეორე, მთავარი და არსებითი არის ის, რომ ჩვენ, 2015 წელს სახელმწიფო

ენის კანონი მივიღეთ. მასში ძალიან გარკვევით წერია: სახელმწიფომ უნდა იზრუნოს ქართველურ ენათა და კილოთა შენარჩუნებასა და შესწავლაზე. ასევე, ეს ქართველური ენები — მეგრული და სვანური არის სახელმწიფო ენის სიცოცხლისუნარიანობის უმნიშვნელოვანესი პირობა. ეს გახლავთ სახელმწიფოს მიერ აღიარება და პატივისცემა იმისა, რასაც ქართველური ენები ჰქვია. იქნებ, ქალბატონ პრეზიდენტს იმაზეც ეფიქრა, რომ სახელმწიფო ენის კანონის არცერთი პუნქტი არ სრულდება. დღემდე, უნდა შექმნილიყო პროგრამა ქართველური ენების — მეგრულისა და სვანურის შესწავლის, მასთან დაკავშირებული პრობლემების შესახებ და ა.შ. იქნებ, ზურაბიშვილმა ყურადღება ამაზე გაამახვილოს და ვისაც ამ კანონზე ზედამხედველობა ევალება, მას ამ კანონის შესრულება მოსთხოვოს. რა თქმა უნდა, არავინ უარყოფს, რომ სვანური და მეგრული ჩვენი საგანძურია და უნდა ვიცავდეთ და სწორ ადგილს ვანიჭებდეთ. მგონი, ამ ენებს ძალიან სწორი ადგილი აქვს მინიჭებული. ჩვენ, სვანური ტექსტების უამრავი გამოცემა გვაქვს — პოეზია, პროზა, მეგრული პოეზია, უნიკალური ლექსიკონები — სვანური, მეგრული. ასე, რომ თუ ამას გავითვალისწინებთ, მაშინ ჩვენ მეგრულ და სვანურ ენებს ძალიან სწორ ადგილს ვანიჭებთ და მისი არსიც კარგად ვიცით. ყველამ ვიცით მისი ფასი და ზედმეტად ნუ გავაღიზიანებთ მას, ვინც არ იცის რა კეთდება და რა — არა. სამეგრელოში იყო შემთხვევები ქართულისადმი არაკეთილგანწყობილი დამოკიდებულების და სხვა და სხვა. საქმე ისაა, რომ რაღაც პრობლემები, საკითხები არასწორად არის გაგებული და გაუგებრობასაც ეს იწვევს. რაც შეეხება მოსაზრებას იმის შესახებ, რომ სკოლებში მეგრული და სვანური ენა შერჩევით უნდა ისწავლებოდესო, ეს ძალიან რთული პრობლემაა. არ ვიცი ქალბატონმა პრეზიდენტმა იცის თუ არა იმის შესახებ, რომ სვანურში ჩვენ ოთხი ძალიან საინტერესო დიალექტი გვაქვს: ბალსზემოური, ბალსქვემოური, ლენტეხური და ლაშხური. რა უნდა ვასწავლოთ? — ბალსზემოთ ბალსზემოური, ბალსქვემოთ — ბალსქვემოური, ლენტეხში — ლენტეხური და ა.შ. სად არის სვანური ენა — ერთიანი და სალიტერატურო? ეს ისეთი რთული პრობლემაა, ასე მარტივად ამ საკითხის დასმა ნაჩქარევიც არის და არასწორიც. ყოველ შემთხვევაში, მთავარი და არსებითი არის შემდეგი: ზუსტად მოხდეს იმის შეფასება, თუ რა დამოკიდებულება არსებობს დღეს მეგრული და სვანური ენების მიმართ ქართულ სამეცნიერო საზოგადოებაში. დიახ, ეს დამოკიდებულება არის საღი და მეგრული და სვანური ენების ფასი ძალიან კარგადაც ვიცით.

ერეკლე საღლიანი, პოეტი: ჩვენთან, ყველაფერი, ძირითადად, სამერთიანობის პრინციპს ემყარება: სამი დამწერლობა გვაქვს, ჩვენი სიმღერა მრავალხმიანი ანუ, ძირითადად, სამხმიანია და ენაც სამი შემოგვრჩა: სალიტერატურო ქართული, მეგრული და სვანური. ჩემი აზრით, ქართული ენის დაწმენდა საკუთარ ენობრივ, ჩვენსავე წიაღში უნდა მოხდეს. მაგალითად, ბევრ სიტყვას, რომელიც ქართულში უცხო ენებიდან არის შემოსული, მეგრული და სვანური უნდა ჩაენაცვლოს. ამ ენებში შემორჩენილი უამრავი სიტყვა ელოდება თავის ადგილს.

ჩემი აზრით, მეგრულ-ლაზური და სვანური, აუცილებლად, უნდა ისწავლებოდეს, ოღონდ, უმაღლეს სასწავლებლებში. რაც შეეხება ამ ენების სკოლებში სწავლებას, ამისთვის ჯერ მზად არ ვართ. ამ კუთხით, უამრავი სამუშაოა ჩასატარებელი. უმაღლეს სასწავლებლებში, საბედნიეროდ, არსებობს სახელმძღვანელოები. დიდმა მა-

მულიშვილმა ვარლამ თოფურიამ სვანური ენის ექვსივე დიალექტი იცოდა. ამ ადამიანმა, ამ მიმართულებით, თავის დროზე, ჯოჯოხეთური შრომა გასწია. მისი დაწერილი წიგნებით სავსებით შესაძლებელია სტუდენტებმა ისწავლონ. სასკოლო სახელმძღვანელოები არც მეგრულ ენაზე გვაქვს და არც სვანურზე, ამიტომ სჯობს, ამ ენების სწავლება, პირველ რიგში, უმაღლეს სასწავლებლებში დაინერგოს და მერე, ნელ-ნელა სკოლებისთვის ვემზადოთ.

აქვე, ერთი რამ მინდა ვთქვა: სალომე ზურაბიშვილი მეგრული და სვანური ენების ჩაგვრაზე საუბრობს. არა, ამას ჩაგვრას, ნამდვილად, ვერ ვუწოდებ, თუმცა, ეს ენები, უდაოდ, მეტ ყურადღებას საჭიროებენ. ჩაგვრა სულ სხვა რამ არის. სხვათა შორის, ერთხელ ასეთი რამ შემემთხვა: ქუჩაში სვანი შემხვდა და სვანურად დავიწყეთ ლაპარაკი. მაშინვე შენიშვნა მივიღეთ — ქართულად ილაპარაკეთო. მე, ვუპასუხე: ჩვენ, ქართულად ვლაპარაკობთ, ოღონდ, იმ ქართულით თქვენ რომ დაგავიწყდათ-მეთქი. თუ ჩვენ, პროტო-ქართული ენის აღდგენა გვინდა, უნდა ვიცოდეთ, რომ ამის გაკეთება მეგრული და სვანური ენების გარეშე შეუძლებელია.

თამარ შველიძე
555 23 28 24

ანაკონდას მარყუჟი

სოსო მანჯავიძე
პოლიტოლოგი

შესავალი

დღესდღეობით ბევრი გეოპოლიტიკოსი კლასიკურ გეოპოლიტიკას მარტივად მიიჩნევს, ისინი თვლიან, რომ გეოპოლიტიკაში არ არსებობს საერთო კანონზომიერებები, რომლებიც იმ სახით მოქმედებენ, როგორც ამას გეოპოლიტიკის ფუძემდებლები მიიჩნევდნენ, რომ არსებობენ მხოლოდ ფენომენალური გამოვლინებები, რომლებიც განსაზღვრავენ ამა თუ იმ გეოპოლიტიკურ ვითარებას, ამასთან, გამოვლინების შესაძლო კომბინაციები ძალზე განსხვავებულია და სპეციფიკური, თუმცა გეოპოლიტიკოსები, რომლებიც უშუალოდ ამუშავებენ სახელმწიფოების სტრატეგიებს და დოქტრინებს, მიიჩნევენ, რომ კლასიკური გეოპოლიტიკის მიერ აღწერილი კანონზომიერებები დღესაც აქტუალურია და იძლევა საშუალებას, რომ მათ საფუძველზე შემუშავდეს შესაბამისი გეოსტრატეგია და პოლიტიკა. როგორც ამერიკელი გეოპოლიტიკოსი ჰ. ბოლდუინი წერს „მაკინდერის და სფიქმენის გეოპოლიტიკური კონცეფცია ძირითადად დარჩება სწორ მიმართულებად მომავალშიც“.

იგივე მოსაზრებას იზიარებს ზბიგნევ ბჟეზინსკი, იზიარებდა რა მაკინდერის ფორმულას, რომ „ის ვინც აკონტროლებს აღმოსავლეთ ევროპას, ბატონობს შუაგულ მიწაზე, ხოლო ის ვინც ბატონობს შუაგულ მიწაზე, ბატონობს მსოფლიო კუნძულზე“, იგი, როგორც სტრატეგი, აშშ-სა და დასავლეთის ძალისხმევას სწორედ ამ მიმართულებით მიმართავდა. ბზეჟინსკი მიიჩნევდა, რომ „გეოპოლიტიკამ წინ წაიწია რეგიონალური აზროვნებიდან გლობალურისკენ... ამასთან უპირატესობა მთელ ევრაზიულ კონტინენტზე ენიჭება ცენტრალურ საფუძველს, გლობალურ მეთაურობას“. კლასიკური გეოპოლიტიკის საფუძვლებს ეყრდნობა თანამედროვე გეოპოლიტიკის მეორე დიდი წარმომადგენელი ჰ. კისინჯერიც, რომელმაც ს.კოენის „დისკონტური სარტყელის“ კონცეფცია გამოიყენა ევრაზიის სანაპირო ზონების შეკვრისათვის და ამის საშუალებით „საბჭოთა ევრაზიაზე“ ატლანტიზმის სრული კონტროლის უზრუნველსაყოფად.

ამ დოქტრინამ „რგოლის“ (The Ring) სახელწოდება მიიღო, რომელიც „ანაკონდას სტრატეგიის“ დაზუსტებულ, დახვეწილ ვარიანტს წარმოადგენდა. ჰ, კისინჯერის აზრით, „გეოპოლიტიკური კანონებით რუსეთს, დამოუკიდებლად იმისა, თუ ვინ მართავს მას, მკაცრად უკავია ის ადგილი, რომელსაც ჰელფორდ მაკინდერი უწოდებდა გეოპოლიტიკურ „შუაგულ მიწას“ — HEARTLAND-ს და წარმოადგენს მსოფლიო ისტორიის ერთ-ერთი ძირითადი იმპერიული ტრადიციის მემკვიდრეს“. შესაბამისად, ანგლო-საქსური გეოპოლიტიკის ძირითადი ტენდენცია, რომლის თეორიული საფუძვლებიც შეიმუშავეს ჰ.მაკინდერმა და ნიკოლას სფიქმენმა და რომლებიც ასახავდნენ საზღვაო და სახმელეთო იმპერიების ბრძოლის რეალიებს, დღესაც აქტუალურნი არიან, ვინაიდან არ შეცვლილა ისტორიის აქტანტები, თუმცა იცვლება მასშტაბები და ტექნოლოგიები. თუ 19-ე საუკუნის ინგლისის საზღვაო იმპერიის მთავარი ამოცანა იყო არ დაეშვა საფრანგეთ-რუსეთის, შემდეგ რუსეთ-გერმანიის უნია, რაც მან წარმატებით მოახერხა, დღეს იგივე მიზნების მიღწევას ემსახურება სამხედრო-პოლიტიკური ბლოკი ნატო, რომლის მთავარი მიზანია არ დაუშვას რუსული და შემდგომ საბჭოთა იმპერიის კვლავ გაძლიერება აღმოსავლეთ ევროპაში და რუსულ-ჩინური ალიანსის ჩამოყალიბება აზიაში. ეს ბრძოლები მიმდინარეობს სხვადასხვა იდეოლოგიური საფარის ქვეშ, რომლებიც უმეტესწილად წარმოადგენენ გლობალური დომინირებისკენ მისწრაფების მიმიკრიას. დღეს სამხრეთ კავკასიის რეგიონი ამ ბრძოლის ეპიცენტრშია, ამიტომაც არის მნიშვნელოვანი, რომ სწორად გავიგოთ გეოპოლიტიკური რეალიები და შევიმუშავოთ ადექვატური მიდგომები.

დიდი თამაში, ანუ

პერმანენტული მტრობა

2019 წელს **RAND Korporation**-მა გამოაქვეყნა 300 გვერდიანი კვლევა „გაფართოებადი რუსეთი-კონკურენციის მომგებიანი პოზიციებიდან“. (**Extending Russia. Competing from Advantageous Ground**) ეს კვლევა გამოცდილი დიპლომატების — ევროპულ საკითხებში სახელმწიფო მდივნის ყოფილი თანაშემწისა და ევროკავშირში აშშ ელჩის ჯეიმს დობინსის, პროფესორის (ბრუკინგის ინსტიტუტი, ამერიკის საწარმოთა ინსტიტუტი, ეროვნული თავდაცვის უნივერსიტეტი) და სამხედრო დაზვერვის ოფიცრის რაფაელ კოენის კოლექტიური ნამუშევარია. პროცესში მონაწილეობდა **RAND**-ის კიდევ შვიდი საერთაშორისო ურთიერთობების, სამხედრო ინდუსტრიის, დაზვერვის, პოლიტიკური და ტექნიკური მეცნიერებების მკვლევარი.

კვლევა წარმოადგენს პრაქტიკულ რეკომენდაციას იმის შესახებ, თუ როგორ შეიძლება შეერთებულმა შტატებმა გამოიყენოს რუსეთის მოწყვლადობა და სისუსტეები მისი პოლიტიკური და ეკონომიკური შესაძლებლობების კიდევ უფრო შეზღუდვის მიზნით.

რას სთავაზობენ ანალიტიკოსები პოლიტიკურ ხელმძღვანელობას?

შესაძლებელი სამოქმედო გეგმა ეკონომიკური, გეოპოლიტიკური, საინფორმაციო -იდეოლოგიური და სამხედრო ბლოკებისგან შედგება.

ექსპერტები ცდილობენ დეტალურად და მეცნიერული სიზუსტით გათვალონ შესაძლებელი მოგება და რისკები აშშ-თვის.

ეკონომიკური ბლოკი ოთხი ოფციისგან შედგება, ესაა ენერგომატარებლების მოპოვება-ექსპორტის გაზრდა რუსეთის ბაზრის წილის შემცირების მიზნით, სანქციების გაძლიერება, დაჭირხლული გაზის გაზრდისკენ მიმართული მოქმედებები და რუსეთიდან კვალიფიციური მუშახელის, ანუ ტვინების გადინების ხელშეწყობა.

ექსპერტების აზრით, ამ ოთხიდან პირველ სამს მეტი ზიანის მოტანა შეუძლია რუსეთისათვის, თუმცა სანქციებს გარკვეული რისკები ახლავს თან.

გეოპოლიტიკურ სექციაში ექვსი სცენარია., რომლებიც მოიცავენ რუსეთის მეზობელ სახელმწიფოებსაც. ყოველ სცენარს თან საკუთარი რისკები, ხარჯები და მოსალოდნელი ეფექტის გათვლა ახლავს.

რუსეთისთვის ყველაზე დიდი ზიანის მიყენება, ექსპერტების აზრით, უკრაინისთვის სამხედრო დახმარებას შეუძლია, რომ რუსეთს არ მიეცეს თავისი სამხედრო უპირატესობის რეალიზაციის საშუალება და მუდმივად უწევდეს ხარჯების ზრდა და სხვა არასასურველი ეფექტების ატანა.

ცხადია ეს სტრატეგია განხორციელების სტადიაშია, უკრაინელი ხალხი კი სცილასა და ქარიბდას შუაა მოქცეული.

მეორე ადგილზე რუსეთისთვის პოტენციური ზიანის მიყენების თვალსაზრისით სირიაა. აქ რეკომენდირებულია ისლამისტი მებრძოლებისთვის დახმარების გაზრდა, თუმცა გათვალისწინებულია ის რისკები და გართულებები, რომლებიც დაკავშირებულია სირიული ოპოზიციის სიჭრელესთან და ანტიამერიკულ განწყობებთან რადიკალ ისლამისტ მებრძოლებში, ისევე როგორც ფინანსური ხარჯების სიდიდე, ტრადიციული მოკავშირეების დაკარგვის საფრთხე ერაყში შეჭრის შემდეგ და ა.შ.

ისლამისტი მებრძოლების მხარდაჭერა ორივე მხრიდან წარმოადგენს სრულიად უპასუხისმგებლო ნაბიჯს, რომლის მართვაც ილუზიას წარმოადგენს.

მესამე ადგილზე ბელორუსში რეჟიმის ცვლილებაა. ავტორები სკეპტიკურად უყურებენ ამ სცენარის წარმატებას, ამასთან საფრთხედ თვლიან რუსეთის მკაცრ პასუხს, რაც მკვეთრად გააუარესებდა ვითარებას ევროპაში და შეასუსტებდა აშშ-ს გავლენას.

ამ სტრატეგიის განხორციელების მცდელობები ყველამ ვიხილეთ, რაც დღესაც გრძელდება.

ავტორებმა მეოთხე ადგილზე სამხრეთ კავკასიაში რუსეთისთვის ეკონომიკური კონკურენციის სტიმულირება მიიჩნიეს, რის ბაზაზეც ამ ქვეყნების ელიტებთან კავშირების გაფართოება უნდა მოხდეს. თუმცა ექსპერტები მიიჩნევენ, რომ ამ ამოცანის შესრულებას ართულებს სპეციფიური გეოგრაფია და ისტორია.

მეხუთე სცენარი-რუსეთის გავლენის შესუსტება ცენტრალურ აზიაში ძალიან ძვირადღირებული და რთული შეიძლება გამოდგეს აშშ-სთვის.

და ბოლოს-მეექვსე გეოპოლიტიკური სცენარი-რუსული ჯარების განდევნა დნესტრისპირეთიდან, რაც მტკივნეულ დარტყმას მიაყენებს რუსეთს, თუმცა ამან შეიძლება საწინააღმდეგო ეფექტი გამოიწვიოს, ვინაიდან მისცემს რუსეთს სახსრების ეკონომიის საშუალებას, მაშინ როდესაც ხარჯები გაეზრდება აშშ-ს და მის მოკავშირეებს..

აშკარაა, რომ ძირითადი ყურადღება სწორედ რუსეთის უახლოეს გარემოცვაზეა გადატანილი. სახეზეა ანაკონდას სტრატეგიის, იგივე კისინჯერის „რგოლის“. ან „დისკონტური სარტყლის’ პოლიტიკა.

საინფორმაციო და იდეოლოგიური ზომების სექცია რუსეთის შიდა პოლიტიკისკენ არის მიმართული. აქ ოთხი სცენარია: 1. საარჩევნო სისტემის დისკრედიტაცია; 2. მმართველი ელიტის მიმართ აგრესიული განწყობის შექმნა; 3. პროტესტის და ძალადობის სტიმულირება; რუსეთის დემონიზირება საზღვარგარეთ.

განსაკუთრებით შემაშფოთებელია, რომ საგარაუდო სამხედრო ზომებს ყველაზე მეტი ოფციები აქვთ და სამივე მიმართულებას მოიცავს, კერძოდ, საზღვაოს, საჰაეროსა და სახმელეთოს.

ექსპერტები თვლიან, რომ ბომბდამშენების გადასროლა ლოკაციაზე.რომლიდანაც რუსეთის სტრატეგიული ობიექტები მოწყვლადია, ეფექტური იქნება და გამოიწვევს მოსკოვის შეშფოთებას. ავტორები მიიჩნევენ, რომ რისკები და ხარჯები ამ შემთხვევაში მინიმალურია, ვინაიდან ბომდამშენები რუსული

ბალისტიკური რაკეტების უმრავლესობისთვის მიუწვდომელნი არიან.

გამანადგურებლების გადასროლა, რათა ისინი თავიანთ სამიზნეებთან უფრო ახლოს იყვნენ, შეიძლება უფრო აშფოთებდეს მოსკოვს, თვლიან **RAND**-ის ექსპერტები, თუმცა წარმატების ალბათობა დაბალია, ხოლო რისკები-მაღალი. ამის მიზეზი ისაა, რომ ყოველი თვითმფრინავი იძულებული იქნება განახორციელოს რამდენიმე საბრძოლო გაფრენა მცირე სასარგებლო დატვირთვის გამო, რაც ზრდის მათი ბაზირების ადგილების განადგურების საფრთხეს კონფლიქტის ადრეულ ეტაპზე.

დამატებითი ტაქტიკური ბირთვული შეიარაღების განლაგება ევროპის და აზიის რეგიონებში შეაშფოთებდა რუსეთს, რაც მას დამატებთი ხარჯების გაწევას აიძულებდა ჰაერსაწინააღმდეგო სისტემებზე. ეს ვარიანტი, „ბომბდამშენების“ ოფციასთან ერთად ავტორებს განსაკუთრებით მიმზიდველად მიაჩნიათ, თუმცა დიდი რაოდენობით ასეთი იარაღის განთავსებამ შეიძლება გამოიწვიოს რუსეთის უმართავი პასუხი, რაც დააზიანებს აშშ-ს და მოკავშირეებს. ამერიკელთა და მოკავშირეების ჰაერსაწინააღმდეგო სისტემების განლაგება რუსული ბალისტიკური რაკეტების შესაჩერებლად ასევე შეაშფოთებს და გააღიზიანებს რუსეთს, მაგრამ დიდი ალბათობით ყველაზე ნაკლებად ეფექტური ვარიანტი იქნება, ვინაიდან რუსეთს ბალისტიკური რაკეტების დიდი რაოდენობა აქვს, რომლებსაც ამასთან მოდერნიზაციის პოტენციალი გააჩნია, რაც აშშ-ს და მოკავშირეებს გარდაუვალი დარტყმის საფრთხის ქვეშ აყენებს.

ექსპერტები რეკომენდაციას აძლევენ აშშ-ს მთავრობას დააფინანსონ უხილავი მცირეგაბარიტიანი და შორი მოქმედების თვითმფრინავების მასიური წარმოება, ისევე, როგორც დისტანციურად მართვადი დამრტყმელი თვითმფრინავებისა, რაც მოსკოვის განსაკუთრებულ ნერვიულობას იწვევს..

როგორც ექსპერტები წერენ, ამ ვარიანტების მთავარი რისკი მდგომარეობს შეიარაღებათა ახალ შეჯიბრში, სადაც შეერთებულ შტატებს მოუწევს დიდი სახსრების ხარჯვა, მაშინ როდესაც რუსეთმა შეიძლება გამონახოს იაფი ასიმეტრიული პასუხი.

საზღვაო კონფრონტაციის ხაზით ექსპერტები რუსეთისთვის პოტენციურად საშიშ ზონებში დიდი საზღვაო ძალების კონცენტრაციის რეკომენდაციას იძლევიან ეს ზონებია -ბალტიის ზღვა, არქტიკა, შავი და ხმელთაშუა ზღვების აუზი. საუბარია ახალი ტიპის იარაღის წარმოებაზე, რომლებმაც უნდა გაანადგუროს რუსული ატომური წყალქვეშა ნავები., ამასთან, თვლიან ექსპერტები, კარგი იქნებოდა, თუ შტატები გაზრდიდა წყალქვეშა გემების რაოდენობას, ხოლო ნატო განალაგებდა შორი მოქმედების საზღვაო რაკეტებს, რაც აიძულებდა მოსკოვს ხარჯები გაეზარდა ყირიმის დასაცავად.

ხმელეთზე სასურველად მიიჩნევა ნატოს ევროპული კონტინგენტის რიცხოვნების გაზრდა, მისი უშუალოდ რუსეთის საზღვრებთან განლაგება, ამასთან მიუთითებენ ნატოს სწავლებათა რაოდენობისა და ხარისხის ზრდის მნიშვნელობაზე, რომლებიც მოსკოვისთვის მკაცრი სიგნალი უნდა გახდეს. ასევე უნდა გაიზარდოს საშუალო სიშორის რაკეტების რაოდენობა და ხარისხი, რაც აიძულებს რუსეთს, გაზარდოს ხარჯები ადექვატური პასუხის გასაცემად. და ბოლოს, არატრადიციული იარაღის (მაგალითად, ლაზერული) იარაღის წარმოება, რაც გაანეიტრალებდა რუსულ ჰაერსაწინააღმდეგო სისტემებს.

რუსეთის პასუხი

გეოპოლიტიკურ დაპირისპირებაში არ არსებობენ კარგი და ცუდი ბიჭები, ისევე, როგორც ტერიტორიული დომინირებისთვის ბრძოლაში არ შეიძლება ვისაუბროთ, მაგალითად, კეთილ და ბოროტ ვეფხვზე ან გორილაზე, იმპერიებიც მოქმედებენ მკაცრად საკუთარი ინტერესების შესაბამისად და თუ ისინი შიდა პრობლემების გამო ამას ვერ ახერხებენ, იწყება მათი დეგრადაციის პროცესი. ცხადია აქ არც რუსეთია გამონაკლისი და ზემოთმოყვანილ სტრატეგიებზე მას აქვს საკუთარი პასუხები, რომელიც ასიმეტრიული ხასიათისაა რუსეთის ეკონომიკური და პოლიტიკური სისუსტის გამო. რუსეთი აცნობიერებს, რომ აშშ-ს და მოკავშირეების ჯამურ სიძლიერეს ფრონტალურად ვერ დაუპირისპირდება და ამიტომ მთავარ აქცენტებს ჰიბრიდული ომის, მოკავშირეთა გათიშვის, სპეციალური ოპერაციების, ჩინური კარტის გათამაშების და, უკიდურეს შემთხვევაში, მოდერნიზებული ბირთვული იარაღის გამოყენებაზე აკეთებს, რასაც ადასტურებს მისი ახალი დოქტრინა. ამავე დროს რუსეთი აქტიურად ცდილობს არ ჩამორჩეს, ახალი, „ქსელური“ ტექნოლოგიების შემუშავებასა და დანერგვას თანამედროვე ომის წარმოებისთვის. რუსეთი ასევე ცდილობს შეიმუშაოს ახალი „დიდი იდეა“ პოსტ-საბჭოთა სივრცეში გავლენის აღსადგენად, რაც ჩვენი განსაკუთრებული ყურადღების საგანი უნდა იყოს.

როცა რეალობა სურვილებს არ შეესაბამება

ჩვენი აზრით, **RAND**-ის მკვლევარები სამყაროს კვლავ ერთპოლუსიანი სამყაროს პარადიგმაში აღიქვამენ, როდესაც აშშ-ს ჰქონდა ამბიცია ყოფილიყო არბიტრი და ბენეფიციარი ევრაზიაში მიმდინარე ყველა პროცესისა. დღეს, ჩინეთის არნახული აღმასვლის პირობებში, რუსეთთან კონფრონტაცია ამ უკანასკნელს ჩინეთის პოლიტიკური, ფინანსური და ეკონომიკური გავლენის სფეროში მოქცევისკენ

მიაქანებს, რაც აშშ-ს ინტერესებს ნამდვილად არ შეესაბამება. ჩინური სტრატეგია, რომელიც დიდის სიფრთხილით და მეტატექნოლოგიების გამოყენებით ხორციელდება, მათ შორის, აშშ-ს ელიტაში საკუთარი გავლენის აგენტურის მეშვეობით, სწორედ აქეთკენ არის მიმართული.

აშშ-ს პოლიტიკური სისტემა და უმძიმესი პოლიტიკური კრიზისი, რომელმაც ეს ქვეყანა მოიცვა ზემოთქმულის უამრავი მიმართულების განვრცობის საშუალებას იძლევა.კერძოდ, აშშ-ს პოლიტიკური სისტემა არათუ ვეღარ აკონტროლებს, არამედ თვითონ მოექცა ახალი არატრადიციული გლობალური აქტორების გავლენის ქვეშ, რომლებისთვისაც აშშ არაა პრიორიტეტული და საკუთარ ინტერესებს საერთოდ არ განიხილავენ აშშ-ს სახელმწიფოს კონტექსტში, ლობირებენ რა მათ კორუფციით მძიმედ დაავადებული და მოწყვლადი აშშ-ს პოლიტიკური სისტემის გამოყენებით. ცხადია, ჩინეთის კომუნისტური პარტიის დიქტატურის პირობებში ჩინური პოლიტიკური სისტემა ნაკლებად მოწყვლადია, რაც მას კონსოლიდირებული გეოპოლიტიკური და გეოეკონომიკური მოქმედებების საშუალებას აძლევს.

დასკვნა

როგორც ვხედავთ, **RAND**-ის კვლევაში ოთხივე მოდული ერთმანეთს ავსებს. ამავე დროს, კვლევაში ნაკლებადაა გამახვილებული ყურადღება ე.წ ქსელური ომების ტექნოლოგიებზე, რაც. ვფიქრობ. შეგნებულად არის გაკეთებული. სხვა დოკუმენტებთან ერთად, რომლებიც სარეკომენდაციო ხასიათს ატარებენ

გადაწყვეტილების მიმღებთათვის, რჩება შთაბეჭდილება, რომ აშშ სერიოზულად განიხილავს ომის შესაძლებლობას რუსეთის ფედერაციასთან. სრულიად საქმიანად და მშვიდად არის განხილული ისეთი საკითხები, როგორიცაა უკრაინის გამოყენება რუსეთის წინააღმდეგ ხმელეთზე და შავი ზღვის აუზში, რა მნიშვნელობა აქვს სამხრეთ კავკასიას, როგორ გაანადგურონ რუსული წყალქვეშა ნავები და ა.შ. ცხადია, **RAND**-ის ეს კვლევა აშშ-ს გადაწყვეტილებათა მიღების ცენტრს გაცილებით ადრე გადაეცა, ხოლო გამოქვეყნებული კვლევის აქცენტები კორექტირებულია პოლიტიკური ინტერესების შესაბამისად. დღევანდელი გადასახედიდან მეტად საინტერესოა ამ დოკუმენტში მოცემული რეკომენდაციიების იმპლემენტაციის პროცესი ბელორუსში, ყირგიზეთში, უკრაინაში და სამხრეთ კავკასიაში, ისევე როგორც რუსეთის მოქმედებები ამ მიმართულებებზე. ამავე დროს, როგორც აშშ-ს ისევე რუსეთის მოქმედებები ნათლად ადასტურებს, რომ ტრადიციული გეოპოლიტიკური მიდგომები კვლავ ძალაშია და აქტორები ახალი ტექნოლოგიების პირობებში კიდევ უფრო აგრესიულად ცდილობენ საკუთარი ინტერესების განხორციელებას გლობალური განადგურების აშკარა საფრთხის მიუხედავად.

აკლდამა

პოლიტიკური ნოველა

აკლდამაში იმ დღესაც ჩვეულებრივად გათენდა, შეინიშნებოდა რაღაც არაჩვეულებრივიც. ქართველ პოლიტიკურ გვამთა პალატებიდან ჩამი-ჩუმი არ ისმოდა, ირგვლივ სრული დუმილი სუფევდა. ვიწრო, სამკუთხედი ფანჯრებიდან მონაცრისფრო შუქი შემოდიოდა. ჯერ ადრე იყო, ყველას ეძინა, წუხელ გრძნეული ღამე გამოვიდა, მიხარაბ საკაშვილის ლექციამ წაიღო ბევრი დრო. შემდეგ თიმურ ალასანიამ მოინდომა სიბრძნეთა ფრქვევა, ქურუმთ ქურუმმა. წუხელ საკადრო ცვლილებებიც განახორციელა, მთავარ ქურუმ თიმურის მრჩევლად კოტე კემულარია დაინიშნა. ბატონ კოტეს უთხრეს, ამიერიდან აკლდამის ახალ წევრთა მოზიდვა გევალებაო, ასევე გააკონტროლებ, ვინ გადის აქედან და ვინ შემოდის იქიდანო, ანუ რა დროს იღება და იხურება სარკოფაგებიო. კოტემ თავიდან იუარა, დავბერდი, ძვლები გამიცვდა, ხორცი გამიმყიფდა, სული დამიმძიმდა, ამდენი სად შემიძლიაო? თუმცა, გაიგო რა, ამ საქმეში ქურუმ თიმური კაი მაყუთს იძლევაო, ეგრევე დასთანხმდა.

დღის 12 საათი წამოსულიყო. აკლდამაში მავნებმა ფუთფუთი დაიწყეს. ბოლო სარკოფაგიდან თენგიზ კიტოვანის ხვნეშა გაისმა: ამის დედის პროჭიცაო, ერთი სურათის ხატვა დავიწყე, 80 წელიწადია ვხატამ და ჯერაც ვერ დავამთავრეო.

— მაიცა, რა, თენგოჯან, რა გეჩქარება? — გაისმა ნაცნობი ხმა.

— ვა, ბუბაჯან, აქ საიდან გაჩნდი, შე ჩემა, ეხლა შენა პარლიამენტში არ უნდა იჯდე? — ჩაიხითხითა თენგომ.

— ჩუუუ!

— რა ჩუუუ?

— ქურუმ თემურმა არ გაგვიგოს, თორემ ეგრევე დაგვსჯის, მაგ თემაზე ღადავს ვერ იტანს, ვერან.

— ეეეჰ, რა დრო დადგა? აქეთ გორას რო წიხლსა ვკრამდი, იქით გორას კიდენა ძვრას ვუზამდი ხოლმე, რკონში რო გავვარდი, გახსომს?

— მახსომს, თენგოჯან, მაგას რა დამავიწყებს? ისე, ქურუმ თემურმა კოტე რო დანიშნა მთავარ მრჩევლად, შენ რა, არ გეკუთვნოდა ეგ თანამდებობა? ვერ გავიგე, გამოცდილება გაკლია თუ ჭკუა და გონება?

— რავი, მაგაზე ველაპარაკე და ეგრევე დამახალა, სანდო არა ხარ, რკონში ან სადმე რო გავარდე, მერე სადა გდიოვო? მართალია გავარდნის ტრაკი აღარ გაქვს, მაგრამ მაინც ვერ გენდობი, შე ჩათლახოვო, მე და შენ ერთნაირი ჩათლახები ვართო.

— ჰოოო, ეგ კი მართალი უთქვამს, აი! — გადაიხაჩხაჩა ბუბამ.

პირველს რომ პრაწი-პრუწი აკლდა, ზარი დარეკეს. კიდევ გავიდა ცოტაოდენი პრაწი-პრუწი და კოტე კემულარიამ საგანგებო ტონით, გრძნეულებმა რომ იციან ხოლმე, გამოაცხადა:

— ძვირფასო ამხანაგებო, ქურუმთ ქურუმ თიმურის, დიდი მიხარაბის ძიის სურვილია, სიმაღლის მიხედვით დარბაზში მოეწყოთ, რათა ამოვიკითხოთ გრძელი სია ჩვენი არსობისა!

— აუუუ, თქვენ თუ შიგ არა გქონდეთ, რااა! — აკვნესდა გორისრაიონელი ჰირაკლა.

— ხმა ჩაიკმინდე, რუსეთის მონავ! — წაისისინა მაია ნადირაძემ.

— შენა, გოგო, თავი ხო არაფერ მიარტყი?! — იუკადრისა ჰირაკლამ.

— არა, ბიჭო, მე მოვხრიგინობდი რუსეთიდან „ზილით“, არა? შე სპორტულებიანო პეპელავ! — ისევ წაისისინა ნადირაძემ.

ორ საათს რამდენიმე პრაწი-პრუწიღა აკლდა, დარბაზი კარამდე გავსებულიყო. აკლდამის წევრნი მთლად სიმაღლის მიხედვით ვერ დამდგარიყვნენ, მაგრამ წესრიგიანობა მაინც იგრძნობოდა. დარბაზში ბუზის გაფრენის ხმას გაიგონებდით.



— სმენა იყოს და გაგონება! — დასჭყივლა კოტე კემულარიამ, — ვკითხულობ სიასა: მერაბიშვილი ივანე!

— აქა ვარ, თუ ამას ყოფნა ჰქვია, — ჩაიბუტბუტა ივანემ.

— რა პრეტენზია გაქვს ამ ცხოვრებასთან, მერაბ? — გაისმა მოულოდნელად კულისებიდან ნაცნობი ხმა. ის იყო, ქურუმთ ქურუმი თიმური.

— არა, არაფერი... თუმცა...

— რა თუმცა?!

— სახელის გადაკეთება მინდა.

— რათა?

— ის ივანიშვილია, მე კიდე ივანე, ნერვები მეშლება.

— ჰოოო... ნამდვილად მოსაშლელია, შენი სახელი იმის გვარს ემთხვევა... კარგია, რომ ეს საკითხი წამოჭერი, მე და მიხარაბი რამეს მოვიფიქრებთ, — მბრძანებლური ტონით დაასრულა ქურუმთ ქურუმმა.

— ბურჯანაძე ნინო! — განაგრძო კოტემ.

— არ არი, პუტინს ხვდება მოსკოვის ერთ-ერთ მნიშვნელოვან ორღობეში, გაერთიანებული ოპოზიციისთვის ისრები უნდა ჩამოიტანოს,— „გააპრავასავით“ ხათქუნა გოგორიშვილმა.

— ისრები რა ფეხებად გვინდა? — გადმოკარკლა თვალები ჰირაკლამ.

— ჯერ სათითაოდ უნდა დავამტვრიოთ, შემდეგ შევკრათ და ვერ უნდა გადავამტვრიოთ, — მიუგო ხათქუნამ.

— ჰო, მერე?

— ქურუმთ ქურუმო, ჩემი გაგებით, ჰირაკლა უნდა ჩავსვათ ნაუბახტში და ვაიძულოთ, წაიკითხოს სულხან-საბას იგავები და არაკები, — მიმართა უმფროსს კოტემ.

— მე არ ვარ ასეთი მკაცრი სასჯელის მომხრე! — გადმოდგა ერთი ნაბიჯი გრიგოლ ვაშა-ვაუშაძემ.

— არადა, აშკარად დასასჯელია ეს სამგლე, ესა! — გამოსძახა თიმურმა.

— მაშინ ჯერ „ნაცარქექია“ გაიზეპიროს... სხვათა შორის, თავის დროზე მეც ეგრე დამსაჯეს, — ჩაეღიმა ვაშა-ვაუშაძეს.

— კარგი, დაე გაიზეპიროს „ნაცარქექია“ ჰირაკლამ, წაათრიეთ გამკაცრებულ სარკოფაგში, თუ ვერ გაიზეპიროს, სპორტულები ჩააცვით, წიხლი ჩაახილეთ და მარჯვენა ყურში ჩააფსით!

— ეეეჰ, ეს უფრო მკაცრი გამოდის, — ჩაიბუტბუტა ივანემ.

— რა ბრეტენზია გაქვს ამ ცხოვრებასთან, მერაბ? — გაისმა მოულოდნელად კულისებიდან ნაცნობი ხმა. ის იყო, ქურუმთ ქურუმი თიმური.

— არა, არაფერი... თუმცა...

— რა თუმცა?!

— სახელის გადაკეთება მინდა.

— რათა?

— ის ივანიშვილია, მე კიდე ივანე, ნერვები მეშლება.

— ჰოოო... ნამდვილად მოსაშლელია, შენი სახელი იმის გვარს ემთხვევა... კარგია, რომ ეს საკითხი წამოჭერი, მე და მიხარაბი რამეს მოვიფიქრებთ, — მბრძანებლური ტონით დაასრულა ქურუმთ ქურუმმა.

— ბურჯანაძე ნინო! — განაგრძო კოტემ.

— არ არი, პუტინს ხვდება მოსკოვის ერთ-ერთ მნიშვნელოვან ორღობეში, გაერთიანებული ოპოზიციისთვის ისრები უნდა ჩამოიტანოს,— „გააპრავასავით“ ხათქუნა გოგორიშვილმა.

— ისრები რა ფეხებად გვინდა? — გადმოკარკლა თვალები ჰირაკლამ.

— ჯერ სათითაოდ უნდა დავამტვრიოთ, შემდეგ შევკრათ და ვერ უნდა გადავამტვრიოთ, — მიუგო ხათქუნამ.

— ჰო, მერე?

— ქურუმთ ქურუმო, ჩემი გაგებით, ჰირაკლა უნდა ჩავსვათ ნაუბახტში და ვაიძულოთ, წაიკითხოს სულხან-საბას იგავები და არაკები, — მიმართა უმფროსს კოტემ.

— მე არ ვარ ასეთი მკაცრი სასჯელის მომხრე! — გადმოდგა ერთი ნაბიჯი გრიგოლ ვაშა-ვაუშაძემ.

— არადა, აშკარად დასასჯელია ეს სამგლე, ესა! — გამოსძახა თიმურმა.

— მაშინ ჯერ „ნაცარქექია“ გაიზეპიროს... სხვათა შორის, თავის დროზე მეც ეგრე დამსაჯეს, — ჩაეღიმა ვაშა-ვაუშაძეს.

— კარგი, დაე გაიზეპიროს „ნაცარქექია“ ჰირაკლამ, წაათრიეთ გამკაცრებულ სარკოფაგში, თუ ვერ გაიზეპიროს, სპორტულები ჩააცვით, წიხლი ჩაახილეთ და მარჯვენა ყურში ჩააფსით!

— ეეეჰ, ეს უფრო მკაცრი გამოდის, — ჩაიბუტბუტა ივანემ.

— ეეეჰ, ეს უფრო მკაცრი გამოდის, — ჩაიდუდუნა ვაშა-ვაუშაძემ, მაგრამ მეტად აღარ გაუპროტესტებია, გულში გაიფიქრა, ერთი თქვენი კეთილებიცო.

— ხაბაზი კობა!

— ქობულეთშია წასული, ფუტკრის ნახირი უნდა გეიყვანოს მინდვრის ყვავილნარში! — დაიძახა გიგილო უგულავამ.

— ჰოოო... კარგია, გაზაფხულის თაფლი გვექნებაა, — ჩაიღიღინა ქურუმის გვერდით მჯდომმა მიხარაბმა.

— ბარამიძე გია!

— აქა ვდგავარ და სხვანაირად არ ძალმიძს! — დაიღრიჯა წინა რიგში მდგომი ბარამიძე.

ქურუმთ ქურუმი დარბაზის ცენტრში გამოვიდა, კვერთხი ზე აღმართა, შემდეგ „პოლზე“ დაუშვა, დააბაკუნა და დაიწყო:

— აღარ აქვს ჰაზრი სიის ამოკითხვას... ვისაც როგორ და ვისაც სად უნდა, იმნაირად დაბოდიალობს, ზოგი საფუტკრეშია, ზოგი მოსკოვის მიდამოებში, ზოგი იქა, ზოგი აქა... ამ დროს ჩვენი საერთო საქმე რჩება გაუკეთებელი. რევოლუცია, ამხანაგებო, რევოლუცია და დამხობა, რაც თავისთავად უკავშირდება წუმწუმას. დიახ, როდესაც რევოლუცია მოხდება, დასაწყისში მართლაც იქნება წუმწუმა, მაგრამ შემდეგ, რამდენიმე წელიწადში ყველაფერი დალაგდება და ამავდროულად გამოიდარებს!

— ყველანი ციხეში! — წამოხტა მიხარაბი.

— მაიცა, დიშვილო! — დაადო ხელი მხარზე ქურუმთ ქურუმმა.

— რაღა მაიცა? შავღონდი, ამი დედა კი ვატირე!

— მაიცა-მეთქი... ქართველ ხალხს ზედ თუ არ დააკუკნე, სხვანაირად არაფერი გამოა!

— ჰო, ჰო. სწორედაც რო ეგრეა... აი, მე რო პრეზიდენტი ვიყავი...

— დამაცა! — ჩაჰყვირა ყურში ძიამ დიშვილს, — არავითარი დათმობა, მისტერ აკუ, ხვალვე გახვალ აქედან, მიხვალ მოლაპარაკებების მაგიდასთან და ევროპიელებს განუცხადებ, რომ ჩვენ მაგათგან არცა რაი გვინდებლარიან და არცა რაი მაგათ უნდა უნდებლარიან მომავალში ჩვენგან, გასაგებია?!

— დიახ, გასაგებია, მზად ვარ, ევროპიელებს სათითაოდ გამოვეცხადო და თითო ალიყური ვაჭამო! — გადმოდგა ერთი ნაბიჯი აკუ მინაშვილმა.

— მაიცა, არ გინდა, ჯერ ადრეა, — მიუგო თიმურმა.

— ჰო, რავი, მე მზად ვარ.

— მაგას შალო ნათელჰასშვილი გააკეთებს, მაგან იცის, როგო უნდა ეჩხუბოს ევროპიელებსა და ამერიკელებს.

— დიახ, ამხანაგებო, მე მინდა, ვიდგე აქ და ჩემი ქვეყნისა მედგას უღელი! — დაიბუბუნა შალომ.

— მე მჯერა შენი! — დასჭექა მიხარაბმა.

— დაუნდე დიქტეიტე, დაუნდე დიქტეიტე და ტაში, კუკური! — გამოაცხადა შალომ.

— მე რა გავაკეთო? ამ ბოლო დროს უსაქმოდ გახლავართ, — თქვა პაატა ბურჭულაძემ და ნუგზარ წინკლაურს გადახედა.

— შენ და წინკლაური ორ დღეში ერთხელ გახვალთ გლდანში, დაეხდავთ იქაურობას და მომახსენებთ, არის თუ არა რევოლუციური განწყობა ბაზრობებში, — გადაჭრა საკითხი თიმურმა.

— მეც მინდა გლდანში, — თქვა გიგი წერეთელმა და გაწითლდა.

— შენ ნახალოვკაში გახვალ კვირაში ერთხელ, კარგად დააკვირდები სიტუაციას, შეისწავლი და ევროსტრუქტურებს აცნობებ. თუმცა სანამ იმათ აცნობებ, მეც ჩამაბარებ ანგარიშსა, — უთხრა თიმურმა.

— ვენეციის კომისიასაცა? — ჩაეკითხა წერეთელი.

— რავი, მაგასაცა...

— ჯანი ბუკიკიოსაცა?

— ჰო-მეთქი, ჰო! — ამოუვიდა ყელში ქურუმთ ქურუმს.

— დადგა დრო, ახალი წევრები ჩემოვიმატოთ... განცხადებები შემოტანილი აქვთ ბაქრაძე დავითს, ბოკუჩავა თინას, ბობოხიძე კაკოიეს, კაპანაძე სერგის და მათნაირებს, სია გრძელია, — გამოაცხადა კოტე კემულარიამ.

— ქურუმთ ქურუმო, მე ხალხის პულსზე ხელი მიდევს და მედოს? — იკითხა აკუმ.

— რა თქმა უნდა, უნდა გედოს, აბა, ეხლა აშვება შეიძლება?

— კარგი, ეგრეც ვიზამ.

— და შენ დარწმუნებული ხარ, რომ ხელი პულსზე გიდევს?

— დიახ, მიხევს კი არა, ხელში მიჭირავს.

— რაც გიჭირავს, ნამდვილად პულსია?

— დიახ, რავი, ადრე პულსი მეჭირა და...

კრება დასრულდა. ქურუმთ ქურუმმა და აკლდამის წევრებმა დაადგინეს, რომ როგორც კი გამოიდარებს, სარკოფაგები გაიხსნება, გარეთ გამოვლენ... უფრო სწორად, ამოვლენ და რევოლუციას მოახდენენ. ეს იქნება 15 მაისს. ვნახოთ, შეიძლება სარკოფაგები არც გაიხსნას და ვერც ამოვიდნენ.

ჭირი იქა, ლხინი აქა, ყველაფერი კარგად იქნება.

გელა ზედელაშვილი
555 48 48 61

„დიპლომატია მოკვდა, უკეთეს შემთხვევაში, სიკვდილის პირას არის მისული“

ამერიკელმა პოლიტოლოგმა არიელ კოენმა ორი კვირის წინათ განაცხადა: „...დიპლომატია, თავისი კლასიკური გაგებით, მსოფლიოში მოკვდა ან, უკეთეს შემთხვევაში, სიკვდილის პირას არის მისული“. კოლეგების ნაწილი, მათ შორის, ევროპელები, ამ გამონათქვამს დაეთანხმნენ. მათი შეფასებით, დიპლომატიასთან ერთად, შესაძლოა, მოკვდეს საგარეო პოლიტიკაც, მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მოლაპარაკებას, შეთანხმებას აზრი დაეკარგება. პოლიტოლოგების მეორე ნაწილი არ ეთანხმება კოენის შეფასებას. მათი თქმით, დიპლომატიის სიკვდილი ფართომასშტაბიან ბირთვულ ომებს გამოიწვევს, რაც პლანეტისთვის დამღუპველი იქნება. გერმანელი პოლიტოლოგის ალექსანდრ სასნოვსკის შეფასებით, ბოლო ერთ თვეში განვითარებულმა მოვლენებმა ყოველგვარ მოლოდინს გადააჭარბა.

პოლიტოლოგების პესიმიზმი გასულ კვირას მოკრძალებული ოპტიმიზმით შეიცვალა. ფართო საზოგადოებისთვის მოულოდნელი აღმოჩნდა გავრცელებული ინფორმაცია — ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტის ჯო ბაიდენის ინიციატივით შედგა მისი სატელეფონო საუბარი რუს კოლეგასთან, ვლადიმირ პუტინთან. ერთი შეხედვით, გასაოცარი არ უნდა იყოს ორი დიდი სახელმწიფოს პირველი პირების სატელეფონო საუბარი, შეხვედრები, მაგრამ არსებობს რამდენიმე მიზეზი, რომელთა გათვალისწინებით ძნელი წარმოსადგენი იყო, რომ ჯო ბაიდენი თავად დაურეკავდა პუტინს. პოლიტოლოგებმა გაიხსენეს ბაიდენის მიერ ერთი თვის წინათ პუტინის მკვლელად მოხსენიება. ასევე შარშან წინასაარჩევნო საპრეზიდენტო დებატებში ჯო ბაიდენმა თავის კონკურენტსა და წინამორბედს დონალდ ტრამპს „პუტინის ლეკვი“ რომ უწოდა. მოკლედ, გაკვირვების საფუძველი განხორციელებული სატელეფონო საუბრის გამო საკმარისზე მეტი ჰქონდა საზოგადოებას.

პრეზიდენტების საუბრის დეტალები, თავისთავად, უცნობია. თეთრი სახლის ადმინისტრაციის ინფორმაციით, ჯო ბაიდენმა გამოთქვა ვლადიმირ პუტინთან პირადად შეხვედრის სურვილი თუნდაც ნეიტრალურ, მესამე ქვეყნის ტერიტორიაზე. ასევე ცნობილი გახდა, რომ საუბრის დროს ბაიდენმა შეშფოთება გამოთქვა უკრაინის საზღვართან რუსეთის ჯარების კონცენტრაციის გამო. ჯო ბაიდენი მომხრეა ორ ქვეყანას შორის არსებული ვითარების დეესკალაციისა და აუცილებელ პირობად მიიჩნევს დიალოგის უმაღლეს დონეზე გაგრძელებას.

შეთავაზებულ წინადადებას პრეზიდენტების პირისპირ შეხვედრის თაობაზე, მოსკოვში თავშეკავებულად შეხვდნენ. პრეზიდენტ ვლადიმირ პუტინს კომენტარი დღემდე არ გაუკეთებია. რუსეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს განცხადებით, შეხვედრაზე თანახმა იქნებიან, თუ სამიტი თანაბარ პირობებში გაიმართება. ამის გარდა, ამერიკელ კოლეგებს რიტორიკას უწუნებენ. პრეზიდენტების საუბრის შემდეგ უწყებაში მიიწვიეს აშშ-ის ელჩი რუსეთში ჯონ სალივანი და განუცხადეს, რომ მისი ქვეყნის ადმინისტრაციის მხრიდან განხორციელებული არამეგობრული ნაბიჯებისა და სანქციების გაგრძელების შემთხვევაში, რუსეთის მხარე ადეკვატურად უპასუხებს.

სატელეფონო საუბრიდან და შეხვედრის შეთავაზებიდან ორი დღეც არ იყო გასული, ჯო ბაიდენმა კვლავ გააოცა სამყარო — რუსეთს ახალი სანქციები დაუწესა. ასევე ათმა რუსმა დიპლომატმა უნდა დატოვოს აშშ-ის ტერიტორია. თავისთავად, ამ ფაქტებმა რუსეთის მხარე გააღიზიანა. მართალია, მკვეთრი განცადებები არ გაუკეთებიათ, მაგრამ საგარეო საქმეთა სამინისტროს ოფიციალურმა წარმომადგენელმა მარია ზახაროვამ მოსალოდნელ შედეგებზე სრული პასუხისმგებლობა აშშ-ს დააკისრა. პრეზიდენტის ადმინისტრაციის განცხადებით, რუსეთი მზად არის, მოვლენების ნებისმიერი განვითარებისთვის, სანქციებსა და შეზღუდვებზე პასუხი სარკისებური იქნება, მაგრამ საკუთარ ინტერესებს არ დააზიანებენ. საგარეო საქმეთა მინისტრმა სერგეი ლავროვმა აშშ-ის ელჩს ჯონ სალივანს შესთავაზა, დეტალურად გაიაროს კონსულტაციები თავის ხელმძღვანელებთან. რა შედეგები მოჰყვება დაწესებულ სანქციებს, გაუგებარია თეთრი სახლის პრესსამსახურის უფროსის ჯენ ფსაკისთვისაც.

ვითარების განმუხტვა თავად ჯო ბაიდენმა სცადა. მის სატელევიზიო გამოსვლაში რუსეთზე საუბარი არ ყოფილა დაგეგმილი, მაგრამ პრეზიდენტმა ვრცლად ისაუბრა პუტინთან დიალოგზე. „...კარგი საუბარი გვქონდა. ურთიერთპატივისცემით ვილაპარაკეთ... აშშ-სა და რუსეთში ამაყი და ღირსეული ხალხი ცხოვრობს. სწორედ ჩვენს ქვეყნებზეა დამოკიდებული მსოფლიოს უსაფრთხოება... მე მივანიშნე პუტინს, რომ შეგვეძლო უფრო ფართო სანქციების დაწესება, მაგრამ ამ გზით ჩვენ არ წავედით, რადგან აუცილებელია დიალოგის გაგრძელება“, — განაცხადა ჯო ბაიდენმა თავის სატელევიზიო გამოსვლაში. მისივე თქმით: „... მე და პუტინი პასუხისმგებელი ვართ ჩვენი ორი ქვეყნის ურთიერთობის დარეგულირებაზე“.

შეთავაზებას პირისპირ შეხვედრაზე რუსეთის ხელისუფლება ეჭვის თვალით უყურებს. კრემლის პრესსამსახურის ხელმძღვანელის და პრეზიდენტის ადმინისტრაციის უფროსის მოადგილე დმიტრი პესკოვი მიიჩნევს, რომ ჯერ ადრეა იმაზე საუბარი, შედგება თუ არა საერთოდ ეს შეხვედრა.

აშშ-ის სახელმწიფო დეპარტამენტის მდივნის ენტონი ბლინკენის განცხადებით, მათ სურთ რუსეთთან ურთიერთობის დარეგულირება. მისივე თქმით, აუცილებელია, უახლოეს კვირეებში გაიმართოს პრეზიდენტების შეხვედრა. რუსეთის მხარეს მიაჩნია, რომ სამიტის მოსამზადებლად 2–3 თვეა საჭირო. თავდაცვისა და უსაფრთხოების საკითხებში ბაიდენის თანაშემწის ჯეკ სალივანის განცხადებით, ორ ქვეყანას შორის დაძაბული ვითარება 80-იან წლებშიც იყო, მაგრამ პრეზიდენტი რონალდ რეიგანი უარს არ ამბობდა საბჭოელ პოლიტიკოსებთან შეხვედრაზე, ამიტომ ახლაც უნდა შედგეს ორი ქვეყნის პრეზიდენტების სამიტი.

ექსპერტებმა ყურადღება გამახვილეს იმ გარემოებაზე, რომ ჯო ბაიდენმა ვლადიმირ პუტინს მას შემდეგ დაურეკა, როდესაც ნატოს გენერალურმა მდივანმა იენს სტოლტენბერგმა უკრაინას სამხედრო მხარდაჭერა გამოუცხადა. უკრაინის სამხრეთში, დონბასის რეგიონში ვითარება კვლავ უკიდურესად არის დაძაბული. ანალიტიკოსები შიშობენ, რომ ადვილი შესაძლებელია, დონბასის პრობლემა გახდეს რუსეთ-უკრაინის ფართომასშტაბიანი ომის დაწყების მიზეზი. ექსპერტების გარდა, პოლიტიკოსები ურჩევენ უკრაინელებს პრობლემის დიპლომატიური გზით მოგვარებას. ვეტერანი ამერიკელი პოლიტიკოსის პოლ რობერტსის (რომელიც ჯერ კიდევ რონალდ რეიგანის ადმინისტრაციაში მუშაობდა) თქმით, თუ უკრაინა იარაღით დაუპირისპირდება რუსეთს, აშშ მათ არ დაეხმარება, ქვეყანა დაკარგავს სახელმწიფოებრიობას, როგორც ქვეყანა საერთოდ გაქრება და რუსეთის ნაწილი გახდება. გაიხსენეს 2014 წლის მარტში ბარაკ ობამას მიერ გაკეთებული განცხადება, რომ ყირიმის გამო რუსეთთან ომს არ აპირებს და არც უკრაინელებს ურჩევს ამას.

„...ჩემი აზრით, უკვე დროა, დავამთავროთ ყველაზე ხანგრძლივი ომი, რომელიც აშშ-ს უწარმოებია“, — განაცხადა გასულ კვირას ჯო ბაიდენმა. მისივე თქმით, ავღანეთიდან ჯარების გაყვანა მაისში დაიწყება და 11 სექტემბრამდე დამთავრდება. შეგახსენებთ, რომ სახმედრო ოპერაცია ავღანეთში აშშ-მ 2001 წლის 7 ოქტომბერს დაიწყო იმავე წლის 11 სექტემბერს განხორციელებული ტერაქტის გამო. თუმცა ავღანეთის ხელისუფლება დღემდე ამტკიცებს, რომ მათ ქვეყანას ტერაქტში ბრალი არ მიუძღვის. თალიბები უკმაყოფილებას გამოთქვამენ ჯარების გაყვანის ვადის გადაწევის გამო. დონალდ ტრამპის გეგმით, ჯარების გაყვანა მაისში უნდა დასრულებულიყო. ენტონი ბლინკენის განცხადებით, „...ჯარების გაყვანის შემდეგაც აშშ ავღანეთის ერთგული პარტნიორი იქნება... ჩვენ ხელს შევუწყობთ ქვეყანაში სამოქალაქო საზოგადოების ჩამოყალიბებას და ქალთა უფლებების დაცვას“. ვნახოთ, როგორ განვითარდება მოვლენები აზიის ამ მნიშვნელოვან ქვეყანაში. ანალიტიკოსების ვარაუდით, აშშ-ის ჯარების გასვლით ავღანეთში მშვიდობა არ დაისადგურებს, პირიქითაც შეიძლება მოხდეს და სამოქალაქო ომი ხელახლა დაიწყოს.

საგანგაშო ინფორმაცია გავრცელდა ორიოდე დღის წინათ ბელარუსიდან. როგორც ირკვევა, ქვეყანაში მზადდებოდა შეიარაღებული სახელმწიფო გადატრიალება. პრეზიდენტ ალეკსანდრ ლუკაშენკოს ინფორმაციით, იგეგმებოდა მისი და მისი ოჯახის წევრების, მათ შორის ბავშვების ლიკვიდაცია, ხელისუფლების დამხობა. ლუკაშენკომ დახმარებისთვის რუსეთს მიმართა. ერთობლივად ჩატარებული ოპერაციის შედეგად მოსკოვში დააკავეს შეთქმულების ორი ორგანიზატორი, ერთიც ბელარუსის ტერიტორიაზე. აღმოჩენილია იარაღის სამალავები. დაკავებულმა შემსრულებლებმა უკვე მისცეს გამოძიებას აღიარებითი ჩვენებები. ორგანიზატორებს შორის საუბრის ფარულ ჩანაწერში კარგად ისმის მათი სამოქმედო გეგმები. შარშან ზაფხულში ფერადი რევოლუცია ჩაუფლავდა ოპოზიციას და ახლა, ფაქტობრივად, ტერორისტული აქტით ცდილობდნენ ძალაუფლების ხელში აღებას. სწორედ ეს გარემოება გახლავთ საგანგაშო, როდესაც მავანთ ძალისმიერი მეთოდებით სურთ მოსვლა ხელისუფლებაში. ვფიქრობთ, ჩვენი, საქართველოს ხელისუფლება და ძალოვანი სტრუქტურებიც უნდა დაინტერესდნენ მომხდარით, რადგან იარაღი და მებრძოლები უკრაინის მხრიდან იყვნენ ბელარუსში გადასროლილი.

გია ბურდული
551 71 27 07

გახარიას წყურგილე

რა ხდება მაშინ, როცა იმ ჭაში აფურთხებ, საიდანაც ცოტა ხნის წინათ წყალს სვამდი?

„ქართული ოცნების“ წყალობით გადეპუტატებულმა ხუთმა ადამიანმა პარტია დატოვა.

ესენი არიან: გიორგი ხოჯევანიშვილი, ბექა ლილუაშვილი, ანა ბუჩუკური, ალექსანდრე მოწერელია, მიხეილ დაუშვილი, შალვა კერესელიძე.

ამბობენ, ამ დღეებში კიდევ ერთი შემოგვემატებაო.

კი, ბატონო... სამწუხაროდ, ჩვენი კანონმდებლობა იმის საშუალებას იძლევა, რომ საკანონმდებლო ორგანოში იმნაირი შეხვალ და ამნაირად გადაკეთდები. უფრო გასაგებად ავხსნი: პარლამენტში „ქართულ ოცნებაზე“ დამოკიდებული რომ შეხვალ, მეორე დღესვე შეგიძლია, დამოუკიდებელი გახდე და იგივე „ოცნება“ საერთოდ დაიკიდო.

მოკლედ, ეგრეა, ამ ეტაპზე ვერაფერს ვიზამთ... აქ საინტერესოა, რა შეცდომა დაუშვეს წასულებმა?

მაგალითად, ალ. მოწერელიამ განაცხადა: „დღეს ჩვენს ქვეყანას სჭირდება სახელმწიფოს მშენებლობაში ახალ ეტაპზე გადასვლა. ჩვენ უნდა მოვუსმინოთ ჩვენი მოქალაქეების მოთხოვნებს, მათთან აქტიური კომუნიკაცია უნდა გვქონდეს და უნდა გადავდგათ შესაბამისი ქმედითი ნაბიჯები“.

ბექა ლილუაშვილი უფრო შორს წავიდა: „ქართული ოცნების» დღის წესრიგი აღარ შეესაბამება ხალხის საჭიროებებსა და მიზნებს, ამიტომ გადავწყვიტე, დავტოვო პარტია. პასუხისმგებლიანი პოლიტიკური ძალის ენერგია უნდა იყოს მიმართული მოქალაქეებისა და მათი ოჯახების ყოველდღიურ სოციალურ გამოწვევებზე“.

ბიჭებო, წუხელაც ასე ფიქრობდით თუ ეგეთი „ბრძნული“ ჰაზრები დღეს დაგებადათ?

რა საჭიროა „კამსამოლური“ გამოხტომები? რა საჭიროა „რიჟა ბაზარი“? რა საჭიროა გაუგებარი ე.წ. პოლიტიკური „კრიმანჭული“?!

ცოტა ფითილს დაუწიეთ, თორემ საბა ბუაძეობამდე, სერგო ჩიხლაძეობამდე და აზორიკო ბიწაძეობამდე ერთი ნაბიჯია!

მეტიც, ნიკოლოზ მაჭუტაძეობამდე, პაატა ბურჭულაძეობამდე, შალვა ნეთელაშვილობამდე, გია ბარამიძეობამდე, ნუგზარ წიკლაურობამდე, კაკოიე ბობოხიძეობამდე და სხვა ამნაირეობამდე უფრო ახლოა.

ამათნაირობას კიდევ არაუჭირს რა, ვიცით, რა ნაგავთანაც გვაქვს საქმე, მთავარია, ეკა ბესელიას, დავით ჭიჭინაძეს და ის როა, ცოტა უცნაური ტიპი როა, სულ მავიწყდება მაგისი გვარ-სახელი... ჰო, გედეონ ფოფხაძეზე ვამბობ, ამნაირებს არ დაემსგავსოთ, ამნაირებად არ გადაკეთდეთ, თორემ წასულია თქვენი საქმე, ბიჭებო და... გოგოებო.

ძვირფასო მკითხველებო, ალბათ დამეთანხმებით, ყველაზე მძიმე და საშინელი დაავადება უმადურობაა რომ არის. აგერ, შეხედეთ ბესელიებსა და ჭიჭინაძეებს, რას გვანან... წლების განმავლობაში „ქართული ოცნების“ რიგებში ირიცხებოდნენ, ყველა სიკეთით სარგებლობდნენ და როგორც კი „ორგკრუგიანი“ ვადა ამოეწურათ, როგორც კი დასამშვიდობებლად ხელი გაუწოდეს, ეგრევე ბიძინა ივანიშვილისა და ოდესღაც მშობლიური პარტიის ლანძღვა დაიწყეს. ჩვენზე ჭკვიანებს უთქვამთ, იმ ჭაში ნუ ჩააფურთხებთ, საიდანაც ცოტა ხნის წინ წყალს სვამდითო. ეს გახლავთ სრული ჭეშმარიტება.

გიორგი ხოჯევანიშვილის თქმით, ისინი გიორგი გახარიას გუნდის წევრები იქნებიან და საქმიანობას დამოუკიდებელ დეპუტატებად განაგრძობენ:

„თითოეულმა თქვენგანმა იცის, რომ ჩვენ გიორგი გახარიას გუნდის წევრები ვართ. ვართ თანამოაზრეები და ჩვენ გვაერთიანებს საერთო ღირებულებები და ფასეულობები. ჩვენ გიორგი გახარიასთან ერთობლივი გადაწყვეტილებით პარტიის მშენებლობის ახალ ეტაპსა და ფაზაზე გადავდივართ“.

აქ სამი წინადადება და ამდენივე შეცდომაა, შეიძლება უწყინარი, მაგრამ პოლიტიკური თვალსაზრისით მაინც წამგებიანი შეცდომა. ხოჯევანიშვილი გვეუბნება, თითოეულმა თქვენგანმა იცის, რომ ჩვენ გიორგი გახარიას გუნდის წევრები ვართო. თითოეულმა ჩვენგანმა? შემიძლია, ხატზე დავიფიცო, მე მართლა არ ვიცოდი, ესენი თუ გიორგი გახარიას გუნდის წევრები იყვნენ... ვაღიარებ, შეიძლება ჩემი გაუნათლებლობის ბრალია, ამათი გვარ-სახელებიც კი ვერ დავიმახსოვრე ხეირიანად. არა, ოთხ წელიწადში რაღაცას მოვახერხებ, ვისწავლი, შეიძლება ყველას ბიოგრაფია გავიზუთხო კიდევაც, მაგრამ ამ ეტაპზე ეგრეა, ამ ეტაპზე „ქართული ოცნებიდან“ წასულებმა ჯერ „ქართულ ოცნებაში“ ყოფნით ვერ დაგვამახსოვრეს თავები, შემდეგ კი „ქართული ოცნებიდან“ წასვლით ვერ გვითხრეს ვერაფერი ახალი. მე იმას არ ვამბობ, რომელიმე მათგანი ან ცუდია, ან უნიჭოა, ან ბოროტია, ან ასეთია, ან ისეთია, უბრალოდ საკუთარ თავზე არ უნდა გქონდეს ისეთი წარმოდგენა, ასეთი განცხადებები აკეთო... რათ მატყუებ, შვილო, რა დაგიშავე, თქვენ ხომ აქამდე ბიძინა ივანიშვილის პარტიაში იყავით შეყუჟულები და მისი წყალობით გერგოთ სადეპუტატო მანდატები?

ვერ დაგიმალავთ, მე მომწონს ისეთი ოპოზიციური პარტიის შექმნა-ჩამოყალიბება, რომელიც იქნებოდა (თანმედროვე ტერმინოლოგიით რომ ვთქვა) კონსტრუქციული. უკაცრავად, აქ ერთი წუთით უნდა გადავუხვიო... 14 აპრილი „დედა ენის“ დღე გახლდათ, ვიზეიმეთსავით, ვიტრაბახეთსავით, გულის ფიცარზე მჯიღებიც ვირტყით... ო, ენავ, ჩემო, დედაო ენავ, შენ ჩვენო ნიჭო, სრბოლავ და ფრენავ... სამშობლო, დედის ძუძუი, არ გაიცვლების სხვაზედა... დაუკარით, რომ ძველ ხანჯალს ელდა ეცეს... და საღამოს, რაღა საღამოს, მთელი დღე, მთელი ღამე ტელევიზორიდან გვესმის დამახინჯებული ქართული... დამახინჯებული ქართული კი არა, საერთოდ არაქართული ჭყლოპინი... ისაო, ბატონო იმანო, თქვენ ხელისუფლების რომელიმე წევრთან კომუნიკაციაში თუ შეხვედითო? იმანო „ბრძნულ“ გამომეტყველებას იღებს, კარგი შეკითხვაა, ჩემმა მზემანო... მე მქონდა კომუნიკაციის მცდელობა, მაგრამ ხელისუფლება კონსენსუსის უნარს მოკლებულიაო, ამათთან კომუნიკაციაში შესვლა შეუძლებელიაო, ალბათ ფასილიტატორები ისევ ჩამოვლენ, ჩვენ იგივე მოთხოვნები გვექნება, სხვანაირად პლურალიზმი წარმოუდგენელიაო. მე ყოველთვის ვამბობ და ვამტკიცებ, რომ როგორც „ახალი თაობის“ ქართველები ლაპარაკობენ, ანუ ჭყლოპინებენ, ასე ლაპარაკი და ჭყლოპინი გაცილებით რთულია, ვიდრე მე, მიხო და შაქრო რომ ვლაპარაკობთ. აა... მივხვდი, ასეთი მანქურთული ლაპარაკით ისინი ცდილობენ, თავიანთი ცოდნა, განათლება და წიგნიერული „მდგმოიარობა“ წარმოაჩინონ. ჰმ... წიგნიერული არა, ჩემი ფეხები!

ქართული ენის თემა ჩემი წერილის თემასთან იმდენად არის ახლოს, რამდენადაც ამ ახალგაზრდა პოლიტიკოსებსაც აშკარად აქვთ ტრაფარეტული სტილი, რომელიც უშინაარსო სადღეგრძელოს ფორმაში გადადის. ჩვენ, მეგობრებო, ვინც „ქართული ოცნებიდან“ წამოვედით, თანამოაზრეები ვართ, საერთო ღირებულებები და ფასეულობები გვაერთიანებსო. წესით, ასეთი სადღეგრძელოს დოლ-გარმონ-კლარნეტიანი „ტუში“ უნდა მოჰყოლოდა, მაგრამ ვაი, რომ პანდემიაა და ასეთი გამოსვლა მეტად სასირცხვო იქნებოდა.

ჩემი აზრით, მიუხედავად ჩემებური ბწკენა-ბწკენისა, ამ ახალგაზრდებს და გიორგი გახარიასაც წარმატებებს ვუსურვებ წამოწყებულ პოლიტიკურ საქმიანობაში, თუკი ისინი მართლა ჩაანაცვლებენ იმ ე.წ. პოლიტნაგავს, რაც დღეს არსებობს საქართველოში. ჩვენ 2012 წლის შემდეგ ვიძახით, რომ ეს არ არის ოპოზიცია, ეს არის ვადაგასული საქონელი, რომელიც დიდიხანია ჩამოიწერა, მაგრამ რატომღაც არ გააქვთ. რატომ არ გაქვთ? მოდით, ყველა დამხრჩვალ კატას „ქართულ ოცნებას“ ნუ ჩამოკიდებთ კისერზე, ამაში ჩვენ, ქართულ საზოგადოებასაც მიგვიძღვის ბრალი — იმის ნაცვლად, რომ დამნაშავეებისთვის მორალური თვალსაზრისით პასუხი მოგვეთხოვა, სეირის მაყურებლებად ვიქეცით.

შეძლებს გიორგი გახარია თავის გუნდთან ერთად დამპალი ოპოზიციური სივრცის გასუფთავებას, განიავებას და გაჯანსაღებას? მე მინდა, რომ შეძლოს. მეტიც, ძალიან მინდა, დამყაყებულ ოპოფლანგებზე სხვებიც გამოჩნდნენ, რომლებიც ბობოხიძეებსა და უგულავებს ფერფლს წააყრიან. თუმცა არ მინდა, ძალიან არ მინდა, ახლად გამომცხვარი ოპოზიციონრები დავით ჭიჭინაძეებსა და ეკა ბესელიებს დაემსგავსონ, მით უფრო იმას, გვარ-სახელი ხშირად რომ მავიწყდება ხოლმე... ჰო, იმას, გედეონ ფოფხაძეს. მინდა, მიხვდნენ, გაიგონ, რომ უშინაარსო, ჯიგარგამოცლილი სადღეგრძელოები წამგებიანია, უაზრო ლაყბობის დრო დამთავრდა...

ძალიან გთხოვთ, ახალგაზრდებო, მეგობრებო, მით უფრო, პოლიტიკაში რაღაც პრეტენზიები რომ გაგჩენიათ, იმავე ენით ნუ დაგველაპარაკებით, 18 წელიწადია „ნაცები“ და მათთან გათანაბრებულები რომ გველაპარაკებიან, ეგ კინო ნანახი გვაქვს, გავიზეპირეთ, ყელში ამოგვივიდა.

როგორც პარლამენტის თავმჯდომარემ, არჩილ თალაკვაძემ ჟურნალისტებს განუცხადა, გიორგი გახარიასთან კონკურენცია დამოკიდებული იქნება იმაზე, რა პარტიას შექმნის, ვინ იქნება მის გუნდში და რა პოლიტიკურ პლატფორმას აირჩევენ ისინი. ამაში ვეთანხმები პარლამენტის თავმჯდომარეს, შეიძლება დღეს გახარია ყველაზე რეიტინგული ფიგურა იყოს ქართულ სინამდვილეში, მაგრამ ეს რეიტინგი ერთი დაუფიქრებელი ნაბიჯით ერთ დღეში გააფარჩაკოს. ჩემი აზრით, მან ეს ნაწილობრივ მოახერხა კიდევაც, მელიას ვერ დავიჭერო, რომ განაცხადა და გადადგა. ვაღიაროთ, მისი ასეთი ნაბიჯი თავგადაკლულ „გახარისტებსაც“ კი არ მოეწონათ.

ჩვენ ვიცნობთ ჩინოვნიკ გახარიას, არ ვიცნობთ წმინდა წყლის პოლიტიკოს გახარიას, მით უფრო ოპოზიციონერს. არც ის ვიცით, როგორ გუნდს ჩამოაყალიბებს და როგორ წაუვა პოლიტიკური საქმიანობა. მოგეხსენებათ, პარტია 6 კაცი არ არის, თუნდაც ექვსივე დეპუტატი იყოს. ამჯერად არ ვეხები „ოცნებიდან“ წასულთა ბიოგრაფიებს, ამბობენ და მჯერა, რომ ასეა, ზოგიერთს „ნაცმაცუნური“ წარსული აქვსო. კაი, გავანებოთ ამ „ცუდ წარსულებს“ თავი, იქნებ გამოსწორდნენ?

სხვათა შორის, იმასაც ამბობენ, ეს ყველაფერი „ქართული ოცნების“ პროექტიაო, ანუ ბიძინა ივანიშვილის გეგმააო. დანამდვილებით ვერაფერს ვიტყვით, მაგრამ თუ ასეა, ეგეც მაგარია.

გელა ზედელაშვილი
555 48 48 61

აკაშა ქრონიკა

„აკაშა ქრონიკა“ მისტიკური ბიბლიოთეკაა, რომელიც მოიცავს მთელი სამყაროს გამოცდილებასა და მდებარეობს ზეგრძნობად, უნივერსუმის სფეროს მიღმა. იქ ინახება ცოდნა და იდეები, მარადიული მეტაფიზიკური ჭეშმარიტებები, ცხოვრების სცენარები და მათი ალტერნატივები. ესაა თავისებური ბანკი, სადაც ინახება მონაცემები სამყაროზე. მას „ცხოვრების წიგნსაც“ უწოდებენ. არსებობს აზრი, რომ აკაშა ბიბლიოთეკა დახურულია და საჭიროა გასაღები, რადგან უნივერსუმის ზეგრძნობადში ჩარევას მოჰყვება გლობალური შედეგები. ამაში არის გარკვეული სიმართლე. მეორე მხრივ, ბიბლიოთეკა ყველასთვის ხელმისაწვდომია, მაგრამ წვდომის წინასწარ



განსაზღვრული სიღრმით. რაც უფრო შორს მიდის ინდივიდუალური ცნობიერება საკუთარ ეზოთერულ და სულიერ ძიებაში, მით უფრო ხელმისაწვდომი ხდება მისთვის ზეგრძნობადი და უნივერსალური კავშირები. დედამიწაზე მომხდარი ყველა მოვლენა სამუდამოდ ინახება სამყაროს ენერგოინფორმაციულ ველში. მეცნიერებს ჯერჯერობით არ შეუძლიათ ახსნან სხვადასხვა პარანორმალური მოვლენა. ვერც ნათელმხილველები გვაწვდიან ზუსტ ინფორმაციას რა გზას გადიან წინასწარმეტყველების მოსაპოვებლად. ჯინ დიქსონი, ცნობილი ამერიკელი ნათელმხილველი იყო. მან შეუცდომლად იწინასწარმეტყველა საპრეზიდენტო არჩევნების შედეგები შტატებში, მერლინ მონროს სიკვდილი, პირველი საბჭოთა თანამგზავრის გაშვება, ბერლინის კედლის დანგრევა და სხვა უამრავი რამ. დიქსონი ამბობდა „ჩემი წინასწარმეტყველებების მთავარი წყარო ხილვებია. ხილვები ყოველთვის აბსოლუტურად დასრულებული სახითაა, თვით უმცირეს დეტალებამდეც კი. მას ბიძგი არ სჭირდება, ის თვალწინ მაშინვე და სრული სახით მეხსნება და ამიტომაც ჩემი მხრიდან არანაირ ძალდატანებას და ძალისხმევას არ საჭიროებს. „მაგრამ ყველა ნათელმხილველი იმით იწყებს, რომ დაძაბული ფიქრობს იმაზე, რისი გაგებაც უნდათ ანუ აზრობრივ შეკითხვას აგზავნიან, თუმცა კონკრეტული მისამართის გარეშე. ეს შესაძლოა შევადაროთ შეკითხვის გაგზავნას ინტერნეტის რომელიმე საძიებო სისტემაში ოღონდ საქმე ისაა რომ თავად ექსტრასენსებმაც არ იციან სად და ვის მიმართავენ ამ დროს.

მეორე ცნობილი ამერიკელი ექსტრასენსი ედგარ კეისი თავის პასუხებს „საკითხავს“ ეძახდა. ის ამბობდა, რომ ინფორმაციას „აკაშას ქრონიკებიდან“ იღებს. „აკაშას“ ცნება ჯერ კიდევ ძველმა ინდოელმა მოაზროვნეებმა შემოიღეს. ის აღნიშნავს უფაქიზეს ეთერულ არსს, რომელიც მთელი სამყაროს სივრცეს ავსებს. მის სივრცეში ბუნებრივად იკრიბება და იწერება ყველაფერი, რაც კი სამყაროში ხდება. ეს თითოეული იმ სიტყვისა და მოქმედების კვალია, მსოფლიო ეთერში რომ აღიბეჭდება. ამ ჩანაწერების წაკითხვა „განდობილ“ მოძღვრებს შეუძლიათ. მეოცე საუკუნეში „აკაშის ქრონიკების“ კითხვა შეძლო ელენა რერიხმა. მისი გადმოცემით, „ხილვათა დიდი უმეტესობა ახლანდელ, ანდა უახლოეს მომავალს ეკუთვნის. იშვიათად – წარსულს, უფრო იშვიათად – შორეულ მომავალს. ჩვენს წარსულ ცხოვრებებთან დაკავშირებული ხილვებიც საკმაოდ იშვიათია.“ სამყაროს მონაცემთა ბაზა დღესდღეობით ცნება „აკაშას ქრონიკების“ ნაცვლად გაჩნდა ახალი სახელწოდება გლობალური საინფორმაციო ველის შესახებ.

ამ ჰიპოთეზის თანახმად ველში ყოველივე ამქვეყნად მომხდარი ფიქსირდება – საუბარია როგორც ერთი უმცირესი ვირუსისა და ბაქტერიის დაღუპვაზე ან წარმოქმნაზე, ყოველი უჯრედის ციტოპლაზმაში მომნელებელი ვაკუოლების ფეთქვაზე, ასევე ადამიანების და სხვა ცხოველების საქციელზე, ფიქრზე, გულის ცემის სიხშირეზე და სიძლიერეზე, ვულკანის ამოფრქვევაზე, ქარის ქროლაზე და ყოველი ფოთლის ჩამოვარდნაზე, ვარსკვლავებში მომხდარ ყოველ ბირთვულ აფეთქებაზე, 200 მილიარდამდე ადამიანზე, რომელსაც დღემდე უარსებია და გარდაცვლილა, ტრილიონობით აფეთქებულ და წარმოქმნილ ვარსკვლავზე და პლანეტაზე რაც დიდი აფეთქების შემდგომ 14 მილიარდი წლის განმავლობაში წარმოქმნილა ან განადგურებულა, იმ ტრილიონობით ტრილიონი ცოცხალი არსების სიცოცხლეზე რომელსაც კი ოდესმე უარსებია დედამიწაზე (და არა მხოლოდ დედამიწაზე). ამ მოსაზრებას მრავალი მეცნიერი იზიარებს. ჩვენს პლანეტაზე არსებულ ყველა მატერიალურ ობიექტს, სულ მცირე დროის განმავლობაში არსებულსაც კი თავისი ენერგეტიკული ველი და შესაბამისი გამოსხივება გააჩნია. ესაა გარემოს გეომაგნიტური ველი, საგნების მაგნიტური ველი, ადამიანისა და სხვა ცოცხალი არსებების ბიოველი, და სხვათა შორის მათი გამოსხივებებიც შეიცავენ ინფორმაციას, როგორც გამომსხივებელი ობიექტების თვისებებზე, ასევე მათი „თავგადასავლების“ შესახებ.

პროფესორი დუბროვსკი თვლის, რომ გლობალური ველიდან ამ იმპულსების გადამუშავებას ხუთ, ექვსჯერ უფრო მეტი ენერგია სჭირდება ჩვენთვის, ვიდრე მთელი ჩვენი გრძნობათა ორგანოებიდან მიღებული ყველა ინფორმაციის ანალიზს. ადამიანის ტვინმა შესაძლოა ვერ გაუძლოს ამ ელექტრომაგნიტური ზვავის ნაკადის მოწოლას.. და შესაძლოა მოხდეს ისე, რომ იგი შემთხვევით ამ გლობალურ საინფორმაციო ველში „ჩაერთოს“. ამიტომ ევოლუციის განმავლობაში ტვინმა, რომელიც პირველად ჭიაყელასებრ არსებებში დაახლოებით 550 მილიონი წლის წინ წარმოიქმნა თავიდანვე გამოიმუშავა დამცავი საშუალება – ესაა ჰორმონი სეროტონინი, რომელსაც თავის ტვინი ნეირონების სხვადასხვა უბნებს შორის შინაგანი კავშირებისათვის იყენებს. ეს ის ნეირონებია, რომლებმაც ერთმანეთს შორის რაღაც საინფორმაციო სიგნალები უნდა გაცვალონ. სხვაგვარად რომ ვთქვათ ისინი გამოიყენებიან ჩვენს ფიქრებს შორის კავშირებისთვის. სწორედ ამაშია ჩვენი ტვინის უსაფრთხოების უზრუნველყოფის საიდუმლო. მკვლევარმა, რადიოტექნიკისა და ელექტრონიკის ინსტიტუტის თანამშრომელმა ილია როდშტატმა აღმოაჩინა, რომ ნეირონების უჯრედებში სეროტონინის გამომუშავების დროს ძლიერი ელექტრომაგნიტური „ხმაური“ წარმოიქმნება, რომელშიც გლობალური ველიდან მომდინარე შედარებით სუსტი სიგნალები იკარგებიან. ჩამხშობის მიუხედავად ექსტრასენსები და ბიოლოკაციის სპეციალისტები მაინც ახერხებენ გლობალურ საინფორმაციო ველთან კონტაქტის დამყარებას და იქიდან მათთვის საჭირო ინფორმაციის მიღებას. პრინციპში ასეთი კონტაქტები შესაძლებელია მხოლოდ მაშინ, როცა სეროტონინური ჩამხშობი თავის მოვალეობას ვეღარ ასრულებს. მაგალითად ასეთი უნარი ხშირად უჩნდებათ იმ ადამიანებს, ვისაც დენმა ძლიერი ძაბვით დაარტყა და მაინც გადარჩნენ. ყველას გვსმენია ტრანსის შესახებ. ეს ის მდგომარეობაა, როცა ცნობიერება განსაკუთრებულ, შეცვლილ მდგომარეობაშია. ჩვეულებრივ, ფხიზელ მდგომარეობაში ჩვენი ცნობიერი მბრძანებლობს ქვეცნობიერზე და მეტწილად იქიდან წამოსულ ინფორმაციას ყურადღებას არ აქცევს. ტრანსის დროს კი ცნობიერება გარკვეული დროით გამოირთვება. მეორე პლანზე გადადის და ძალაუფლებას ხელთ იგდებს ქვეცნობიერი.

ამერიკელმა სოციოლოგმა ჯეიმს სტაუნტონმა საინტერესო კვლევა ჩაატარა – შეისწავლა ორასი სარკინიგზო და ორმოცდაათი საავიაციო კატასტროფის ისტორია. მონაცემები მან სპეციალურ კომპიუტერულ პროგრამაში შეიყვანა და შემდეგი ფაქტორების მიხედვით დააჯგუფა – კატასტროფაში ჩათრეული ადამიანები, დაღუპულთა რიცხვი და სხვა. ექსპერიმენტის სისუფთავისთვის კი გამოთვალა იმ მგზავრების რაოდენობაც, რომლებმაც იმავე სიტუაციებში, ჩვეულებრივ დღეებში იმგზავრეს. აღმოჩნდა, რომ ტრანსპორტი ჩვეულებრივ სიტუაციებში სრული რაოდენობის სამოცდათხუთმეტი პროცენტით იყო დატვირთული, ხოლო ტრაგიკულ დღეებში მხოლოდ სამოცდაერთი პროცენტით. განსხვავება მთელ თხუთმეტ პროცენტს შეადგენდა. შეიძლება ითქვას, რომ ამ მართლაც „ბედნიერ ვარსკვლავზე“ დაბადებულ თხუთმეტ პროცენტ მოსახლეობას გლობალურ საინფორმაციო ველთან ქვეცნობიერი კონტაქტის შედარებით მაღალი დონე გააჩნიათ. გლობალურ საინფორმაციო ველთან კონტაქტის ყველაზე გავრცელებული ვარიანტი ახდენილი სიზმრებია წინასწარმეტყველური სიზმრები. საქმე იმაშია, რომ სეროტონინს ძირითადად ნეირონები გამოიმუშავებს, რომლებიც ინფორმაციას თვალიდან მზედველობის ცენტრებს გადასცემენ. ღამით მათი დატვირთვა პრაქტიკულად ნულს უტოლდება. ასევე ძალიან მცირდება გრძნობათა სხვა ორგანოებიდან სიგნალების გადამუშავებისთვის საჭირო ენერგიის რაოდენობაც. შესაბამისად ჩამცხრალია სეროტონინის „ხმაურიც“. ჩნდება ზედმეტი ენერგია – ასე რომ ჩვენი ტვინის ანალიტიკურ ცენტრს გლობალური ველიდან მომავალი „შეტყობინების“ მისაღებად და გადასამუშავებლად შესაბამისი პირობები ექმნება. სწორედ მათი ანალიზის შედეგად ჩნდება წინასწარმეტყველური სიზმრები. მათ ძალიან ხშირად ნახულობენ ადამიანები, მაგრამ უმეტესობა მათ შესახებ მაშინვე ივიწყებს ან არ ანიჭებს მნიშვნელობას. გარდა ამისა კიდევ ერთი ვარიანტია შესაძლებელი, მონაცემთა გლობალური ბანკიდან მიღებული ინფორმაციის დახარისხებისას (მათ შორის წინასწარმეტყველურის), ანალიტიკურ ცენტრს ეს ინფორმაცია ცნობიერებამდე სიზმრების სახით დაჰყავს. იგი უბრალოდ მათ მეხსიერების სიღრმეებში აგზავნის. აქ იგი დიდი ხნის განმავლობაში ინახება. თუკი ადამიანი ტვინის ამ ცენტრს შესაბამის ბრძანებას მისცემს, მას სულ უფრო და უფრო ხშირად დაესიზმრება წინასწარმეტყველური სიზმრები, რომლებიც საინფორმაციო ველისგან იქნება მოწოდებული. არის კიდევ სხვა პარანორმალური ფენომენები, რომლებიც შესაძლოა საინფორმაციო ველთან არის დაკავშირებული. ასეთია მაგალითად სხეულგარეშე მდგომარეობაში გადასვლა და ასტრალში მოგზაურობა. მეცნიერებმა ანდრა სმიტმა და კლოდ მესიერვეარმა ოტავას უნივერსიტეტიდან ჩაატარეს კვლევა სხეულგარეშე მდგომერეობის შესახებ. მათ აინტერესებდათ იყო თუ არა ეს რეალურად ასტრალში გადასვლის ფენომენი. მათ ჩაატარეს ექსპერიმენტი ადამიანზე, რომელიც ამტკიცებდა რომ ეს შეეძლო და ამ დროს სკანერზე გააშუქეს მისი ტვინი. საბოლოო ჯამში ამ ექსპერიმენტით დადგინდა ძალიან საინტერესო რამ. ამ ადამიანს რეალურად შეეძლო დაენახა თავისი თავი გარედან.

ცნობილ ფსიქოლოგს – სტანისლავ გროფს, ადამიანის ცნობიერება მკურნალობის მიზნით სპეციალურად გადაჰყავდა შეცვლილ მდგომარეობაში. ერთხელაც მუშამ, რომელსაც არასოდეს აინტერესებდა ისტორია, საკუთარი თავი უძველეს ეგვიპტეში მებალზამედ დაინახა. სეანსის შემდეგ მან დაწვრილებით აღწერა მუმიფიცირების ტექნოლოგია და პროცესი. მისგან მოწოდებული ინფორმაციის სისწორე გადამოწმდა სპეციალისტებთან – ეგვიპტოლოგებმა ეს ინფორმაცია არათუ დაადასტურეს, არამედ პაციენტის მონათხრობში ისეთი დეტალებიც იყო, რომლებზეც ისტორიკოსები მანამდე მხოლოდ ეჭვის დონეზე ვარაუდობდნენ. ცნობილი აკადემიკოსის კაზნაჩეევის აზრით უკიდეგანო კოსმოსს აქვს თავისი ველოვანი რეალობა და ზოგიერთი ადამიანი ზოგიერთ სიტუაციაში ახერხებს ამ რეალობაში „ჩაძირვას“. ამ შემთხვევაში ადამიანის თვალწინ მისთვის სრულიად უჩვეულო და უცხო განზომილებების სხვადასხვა გზით შეგრძნება ხელმისაწვდომი ხდება. ინგლისელი ფილოსოფოსი, სახელმწიფო მოღვაწე, მეცნიერი, ორატორი, კომპოზიტორი და მწერალი ფრენსის ბეკონი ამბობდა: „კანონს მსჯელობით ვერ იპოვი, რადგან იგი გონების საზღვრებს მიღმაა. ცნობილია, რომ მას, ისევე როგორც შემდგომში ნიკოლა ტესლას პირადად ჰქონდა კოსმიურ გონთან ჩართვის გამოცდილება – ეს მოხდა 1590 წელს. ზოგიერთი მკვლევარის აზრით მის კალამს ეკუთვნის შექსპირის გენიალური ნაწარმოებები. აი რას ამბობს მის შესახებ მისი თანამედროვე ერთ-ერთი მწერალი: „ჩემი აზრით, თუკი ოდესმე ღვთისგან გამომავალი ცოდნის სხივი ჩვენს დროში ვინმეს დასშუქებია, ეს პირველ რიგში ბეკონის სახეა. მიუხედავად იმისა, რომ იგი ძალიან ნაკითხი ადამიანი იყო, მისი ცოდნა ნამდვილად არ გახლდათ წიგნიერი – იგი თავად ბეკონში არსებული რაღაც წყაროდან მოედინებოდა. თავის ცოდნასა და მოსაზრებებს ბეკონი ძალიან წინდახედულად და ფრთხილად გამოთქვამდა“.

ქეთევან ზარნაძე
599 52 60 30

თბილისის გუბერნატორობიდან იმპერიის სასახლემდე

გიორგი შერვაშიძე

XIX საუკუნის ბოლოსა და XX საუკუნის დასაწყისში აფხაზეთის მთავართა, შერვაშიძეების საგვარეულოდან ორ უდიდეს პიროვნებას — გიორგი მიხეილის-ძეს და გიორგი დიმიტრის-ძე შერვაშიძეებს იცნობს ისტორია.

გიორგი მიხეილის-ძე აფხაზეთის უკანასკნელი მთავრის, მიხეილ (ჰამით-ბეი) შერვაშიძის შთამომავალი გახლდათ. უაღრესად განათლებული პიროვნება — პოეტი, პუბლიცისტი, კრიტიკოსი, აქტიურად იყო ჩართული საზოგადოებრივ ცხოვრებაში.

გიორგი დიმიტრის-ძე — დინჯი და მოქნილი დიპლომატი, რომელიც კონფლიქტური ვითარებიდან ყოველთვის მშვიდობიან გამოსავალს ეძებდა და ხშირად აგნებდა კიდეც.

გიორგი დიმიტრის-ძისა და გიორგი მიხეილის-ძის ბაბუები ძმები იყვნენ. ამ ორი, ხასიათისა და ცხოვრების წესით სრულიად განსხვავებულ პიროვნებათა ცხოვრების გზები ბავშვობიდან გაიყო, თუმც დარჩა საერთო მიზანი — დაუღალავი, თავდადებული ღვაწლი სამშობლოსათვის.

გიორგი დიმიტრის-ძე შერვაშიძე 1848 წლის 6 იანვარს კელასურში, საგვარეულო მამულში დაიბადა. დედის, სამეგრელოს მთავრის, ლევან მეხუთის ქალიშვილის, ეკატერინე-პუპის გარდაცვალების შემდეგ მამამ, დიმიტრი ჰასან ბეგ შერვაშიძემ პატარა გიორგი აღსაზრდელად გენერალ-ლეიტენანტ ნიკოლოზ კოლუბიაკინს მიაბარა. მალე დიმიტრი ჰასანბეის — ძეც გარდაიცვალა და აღმზრდელმა ბავშვი პეტერბურგში წაიყვანა, სადაც გიორგი შერვაშიძემ ბრწყინვალე განათლება მიიღო.

გიმნაზიის დამთავრების შემდეგ ახალგაზრდა თავადი მოსკოვს გაემგზავრა, სადაც უნივერსიტეტის იურიდიულ ფაკულტეტზე ჩაირიცხა და იურისტის პროფესიას ბრწყინვალედ დაეუფლა. უნივერსიტეტში სწავლის პერიოდში გიორგი შერვაშიძემ შექმნა საინტერესო ნაშრომი: «მაკიაველი, მისი ცხოვრება და თხზულებები». წარმატებული სტუდენტს მაკიაველი აღორძინების ეპოქის უდიდეს პოლიტიკურ მოღვაწედ მიაჩნდა.

აღსანიშნავია, რომ 1865 წელს, აფხაზეთში, 17 წლის ასაკში გიორგი შერვაშიძემ ავჯანყებაში მიიღო მონაწილეობა, რის გამოც იგი აფხაზეთს ჩამოაშორეს. რუსეთის ხელისუფლება მიესალმა ამ გადაწყვეტილებას, რადგან მიაჩნდა, რომ აღნიშნული ფაქტით მთელ ამ მხარეს სიმშვიდე დაეუფლებოდა. მიუხედავად სიშორისა, გიორგი შერვაშიძე, კარგა ხანს, ტონს აძლევდა ქართულ-აფხაზურ ურთიერთობას და ეროვნულად მოაზროვნე მამულიშვილი, საზოგადოებრივ განწყობას აყალიბებდა.

თბილისში ჩამოსვლის შემდეგ გიორგი შერვაშიძე ქართულ არისტოკრატიას დაუახლოვდა. სწორედ აქ გაიცნო მან პოეტ ალექსანდრე ჭავჭავაძის შვილიშვილი, ბარონ ნიკოლაის ასული სოფიო. მალე ახალგაზრდები დაქორწინდნენ და ვაჟი შეეძინათ, რომელსაც სახელად დიმიტრი დაარქვეს. გიორგი შერვაშიძის გუბერნატორობის პერიოდში სოფიო ნიკოლაი ქალთა უფლებების დაცვის საკითხებითა და ქველმოქმედებით იყო დაკავებული.

გიორგი შერვაშიძე ილია ჭავჭავაძესთან და ნიკო ნიკოლაძესთან მეგობრობდა. იგი ბევრ მწერალსა და საზოგადო მოღვაწეს მფარველობდა და ხშირად თავად იყო მრავალი ეროვნული წამოწყების სულის ჩამდგმელი. გიორგი შერვაშიძე განსაკუთრებით ბავშვთა სასკოლო განათლების საკითხებს აქცევდა ყურადღებას, დაკავებული იყო ახალგაზრდების კულტურული აღზრდისა და მეცნიერული განვითარების პრობლემებით.

მისი ცხოვრების თუნდაც ეს ერთი ეპიზოდი, ნათლად მეტყველებს აფხაზი თავადის სამშობლოს სიყვარულზე და სათუთ ადამიანურ ბუნებაზე. შალვა ნუცუბიძის მოგონებებიდან ირკვევა, რომ 1917 წელს იგი პეტერბურგში, თბილისის უნივერსიტეტის გასახსნელად მოსამზადებელი სამუშაოების ჩასატარებლად მიავლინეს. იმ დროს იმპერიის დედაქალაქში უკვე იმყოფებოდა გიორგი შერვაშიძე. იმხანად პეტერბურგში დიდი არეულობა იყო. შალვა ნუცუბიძე ქალაქში შემთხვევით გადააწყდა გიორგი შერვაშიძეს, თბილისის ყოფილ გუბერნატორს, ისარგებლა მომენტით და გიორგის თავის ჩასვლის მიზანზე ესაუბრა. იმხანად სამეფო კარის ობერჰოფმაისტერი ამ ამბავმა უზომოდ გაახარა, მომავალ უნივერსიტეტს თავისი უნიკალური ბიბლიოთეკა შესთავაზა და სამივე წიგნთსაცავი თბილისში გამოგზავნა.

1877–1878 წლებში გიორგი რუსეთ-თურქეთის ომში მონაწილეობდა. 1889–1897 წლებში ის თბილისის გუბერნატორი გახლდათ. ამ წლებში დედაქალაქისა და მთელი ქვეყნისთვის უამრავი სასიკეთო საქმე გაკეთდა — მოეწყო კავკასიის სასოფლო-სამეურნეო გამოფენა, სადაც, მისი ინიციატივით, პირველად იქნა გატანილი ქართული ღვინო; ხელი შეუწყო საგანმანათლებლო რეფორმის გატარებას; დაასრულა თბილისის ოპერის თეატრის მშენებლობა: მისი გუბერნატორობის პერიოდში აშენდა სკოლები, გაკეთდა გზები და ხიდები, გაყვანილ იქნა რკინიგზა, მოწესრიგდა ქალაქის წყალგაყვანილობა, მისი საზრიანი, უნარიანი ხელმძღვანელობით, აღმოსავლეთ საქართველოში დაძლეულ იქნა შავი ჭირისა და ქოლერის ეპიდემიები. უშუალოდ მისი მონაწილეობით მნიშვნელოვანი რეფორმები გატარდა, მიღებულ იქნა კანონები, რამაც ქართველ გლეხს ამოსუნთქვის საშუალება მისცა. ერთი სიტყვით, სახელმწიფო სამსახური გიორგი შერვაშიძისთვის, უწინარესად, ხალხის მსახურებას ნიშნავდა.

კოპენჰაგენის სამეფო სასახლეში, დანიის დიდებულთა ორდენის, «დანებროგის» კავალერთა დარბაზის კედლებზე, სხვადასხვა ქვეყნების გვირგვინოსანთა და რჩეულ გვარიშვილთა გერბებს შორის გამოირჩევა თვად გიორგი დიმიტრის-ძე შერვაშიძის გერბი. სხვათა მსგავსად, ისიც სპეციალურ ყავისფერ ხის ჩარჩოში, კარტუშშია მოთავსებული, მაგრამ მნახველი მყისვე მიხვდება, რომ ჩრდილოეთის სახელმწიფოების დიდებულ საგვარეულოთა გერბი კი არა, ის რომელიღაც სხვა მხარისა უნდა იყოს. როგორ მოხვდა თავად გიორგი შერვაშიძის გერბი დანიის სამეფო სასახლის «დანებროგის»კავალერთა დარბაზის კედელზე?

იმპერატრიცა მარია ფიოდოროვნა

პასუხს ამ კითხვაზეXIX საუკუნის რუსეთის იმპერიის სამეფო კართან მივყავართ.

დანიის მეფის, ქრისტიან IX-სა და დედოფალ ლუიზას ქალიშვილი პრინცესა ლუიზა — სოფია დაგმარა 1881 წელს რუსეთის მეფის, იმპერატორ ალექსანდრე III-ის მეუღლე გახდა. რუსეთის სამეფო კარზე ლუიზა-სოფია დაგმარამ მართლმადიდებლობა მიიღო, ჯვარი დაიწერა და სამეფო კარს დიდი მთავრის, მარია ფიოდოროვნას სახელით მოევლინა.

1894 წელს ალექსანდრე III მძიმე ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა. მაშინ მარია ფიოდოროვნა 47 წლის იყო. დაქვრივებულმა ქალმა მძიმედ განიცადა მეუღლის დაკარგვა. დაიწყო დედოფლის ცხოვრების მძიმე წლები. შვილებზე ზრუნვასთან ერთად, მან ქველმოქმედის მისიაც იტვირთა და ნიკოლოზ მეორეს, თავის ვაჟს რჩევებს აძლევდა, თუმც ამის შესახებ ყველა დუმდა. მარია ფიოდოროვნას ცხოვრებაში ეს სიახლე იყო, რადგან იმპერატორი ალექსანდრე III სასტიკად უკრძალავდა დედოფალს სახელმწიფო საქმეებში ყოველგვარ ჩარევას.

მარია ფიოდოროვნას რუსეთის იმპერიის ერთ-ერთ ყველაზე ტრაგიკულ პერიოდში მოუხდა დედოფლის გვირგვინის ტარება. რუსეთის უკანასკნელი იმპერატორის, ნიკოლოზ II-ის დედამ ვერ იხსნა ქვეყანა იმ ტრაგედიისგან, აგორებული ნგრევისა და აღვირახსნილი სისასტიკისგან, რაც მეოცე საუკუნის დასაწყისში რუსეთის თავზე დატრიალდა, ოქტომბრის რევოლუციით დასრულდა და რომლის შედეგებსაც დღემდე იმკის არაერთი ქვეყანა...

გონიერმა, განათლებულმა, მართვის უნარით დაჯილდოებულმა, ქველმოქმედმა დედოფალმა პირველ მსოფლიო ომში წითელი ჯვრის საზოგადოება დაარსა, ვრცლად გა-

დგანან, მარცხნიდან: გიორგი შერვაშიძე, ალექსანდრე შერვაშიძე; სხედან, მარცხნიდან: სოფიო, ასმათ და თამარ შერვაშიძეები

ასმათ და გიორგი შერვაშიძეები

შალა მუშაობა და ქვეშევრდომთა მეშვეობით წარმატებით არეგულირებდა დაჭრილების მოვლა-პატრონობისა და ფრონტის წინა ხაზიდან უსაფრთხო გარემოში გადაყვანას. სასახლის კარზე, ცხადია, მას თანამოაზრეები და მხარდამჭერები ჰყავდა, რომლებიც ზრუნავდნენ, რომ ალექსანდრა ფიოდოროვნასთან, ნიკოლოზ მეორის მეუღლესთან, დედა-დედოფალს რომ არ მოსწონდა და ერთმანეთს ვერ გაუგეს, მარია ფიოდოროვნას ურთიერთობა არ გაფუჭებოდა და ნიკოლოზ მეორის სიყვარული და კრძალვა დედასა და მეუღლეზე თანაბრად გადანაწილებულიყო.

თამამად შეიძლება ითქვას, რომ მარია ფიოდოროვნას გარემოცვიდან, აფხაზეთის უგანათლებულესი თავადი გიორგი დიმიტრის-ძე შერვაშიძე პატივისა და ღირსების თვალშისაცემ, მაღალ პიედესტალზე იდგა.

ახლობელი ადამიანების კერძო საუბრებიდან მახსოვს, რომ პრინცესა მარიამ და გიორგი შერვაშიძემ ახალ ათონში გაიცნეს ერთმანეთი. რუსეთის იმპერატორი ალექსანდრე IIIთავის მეუღლესთან, დედოფალ მარიასთან ერთად, ათონის მონასტრის მოსანახულებლად, შესაძლოა, მოსალოცად ჩავიდნენ, სადაც მათ მასპინძლობას უწევდა თბილისის იმდროინდელი გუბერნატორი გიორგი დიმიტრის-ძე შერვაშიძე.

მარია ფიოდოროვნა გულგრილი არ დარჩენილა დახვეწილი მანერების მქონე, მომხიბლავი გარეგნობის, განათლებული, დიდებული პიროვნების მიმართ. 1900 წელს, როდესაც მეუღლის გარდაცვალების შემდეგ, მგლოვიარე, ძაძებით შემოსილი დედოფალი დარდის გასაქარვებლად სამშობლოში, კოპენჰაგენში გაემგზავრა, მას თან ახლდა რუსეთის იმპერიის სასახლის კარის ობერ-ჰოფმაისტერი გიორგი დიმიტრის-ძე შერვაშიძე.

არსებოს ცნობა, რომ 1907 წელს, იმპერატრიცა მარია ფიოდოროვნამ და გიორგი შერვაშიძემ იქორწინეს და მარგინატიკული ქორწინება ნიკოლოზ მეორემაც აღიარა. თუმც უნდა ვაღიაროთ, რომ რუსეთის ხელისუფლება და ისტორიოგრაფია ამ ფაქტს საგულდაგულოდ მალავს, მიუხედავად იმისა, რომ მარია ფიოდოროვნას დღიურებსა და კორესპონდენციებში ამ ფაქტზე არაერთი მინიშნება გვხვდება.

რუსეთ-ოსმალეთის ომის დროს (1877–1878) აფხაზები ავჯანყდნენ და თურქეთის მხარე დაიჭირეს, რის გამოც რუსეთის იმპერატორმა შერისხა ისინი, «დამნაშავე ხალხის» სტატუსი მიანიჭა და აუკრძალა შავ ზღვასთან 30 კმ-ზე მიახლოება. ეს მათი აყრისა და გადასახლების ტოლფასი იყო, რადგან, ფაქტობრივად, მშობლიური ადგილებიდან 30 კილომეტრის დაშორებით უნდა ეცხოვრათ. ეს ძალზე ვრცელი და მტკივნეული თემაა რუსეთ-საქართველოს ისტორიაში. გაბრიელ ქი-

ქოძის, აფხაზეთისა (1869–1886) და სამეგრელო-სვანეთის (1873–1886) ეპარქიების ეპისკოპოსისა და, განსაკუთრებით, გიორგი შერვაშიძის ვაჟკაცური შემართებისა და დაუღალავი მცდელობის შედეგად აფხაზი ხალხი შეიწყნარეს და ნიკოლოზ მეორემ მათ «დამნაშავის» სტატუსი მოუხსნა.

გავიხსენებ კიდევ ერთ ამბავს ჩვენი ნათესავის, ხელოვნებათმცოდნე ლეონიდე შერვაშიძის მოგონებიდან.

ლეონიდე შერვაშიძე დაიბადა პარიზში. მამამისი სორბონის უნივერსიტეტში სწავლობდა, მაგრამ როგორც კი პირველი მსოფლიო ომი დაიწყო, ქვეყნის წინაშე სამხედრო ვალის მოსახდელად, ცოლშვილთან ერთად სამშობლოში დაბრუნდა. მას ცოლად ჰყავდა ტერეზა მურზაყანის-ას ლაკერბაია. ალექსი კიევთან ახლოს, ერთ-ერთ სამხედრო ნაწილში გაამწესეს. ომში მას აღმზრდელიც გაჰყვა, გვარად თარბა, რომელიც გერმანული წარმოშობის ერთ-ერთ ოფიცერს, გვარად შტრომბერგს თვალში არ მოუვიდა და ერთ-ერთი კონფლიქტის დროს მას მათრახი გადაუჭირა. ალექსიმ ოფიცრის ეს ქმედება პირად შეურაცხყოფად მიიღო, ამიტომ ის დუელში გამოიწვია და სიცოცხლეს გამოასალმა. ამ ამბავს დიდი აურზაური მოჰყვა. ლეონიდე იხსენებდა: ჩვენთან მოირბინა აღელვებულმა მარი ფიოდოროვნამ და შეგვპირდა, რომ ყველაფერს გააკეთებდა ალექსის დასახსნელად. იმხანად დუელი სასტიკად იკრძალებოდა და ალექსის საქციელით გიორგი შერვაშიძე ისე აღშფოთებულა, განრისხებულს უთქვამს, ეს რა ჩაიდინა, დაუყოვნებლივ ფრონტის წინა ხაზზე გავაგზავნიო. ბოლოს ეს საქმე მარია ფიოდოროვნას დახმარებით ჩაუფარცხავთ.

ოქტომბრის რევოლუციამ ყველაფერი თავდაყირა დააყენა. მარია ფიოდოროვნა იალტაში გაემგზავრა. გიორგი შერვაშიძე პეტერბურგში დარჩა სახელმწიფო საქმეების მისახედად. მალე მარია ფიოდოროვნა შინა პატიმრობაში აიყვანეს. ნოემბერში მას გიორგი შერვაშიძემაც ჩააკითხა და მანაც მეუღლის ბედი გაიზიარა. ის აღარ იყო ახალგაზრდა და ჯანმრთელობაც ხშირად ღალატობდა, გაცივდა და გარდაიცვალა. აფხაზეთის თავადი იქვე მიაბარეს მიწას. დაკრძალულია აიტოდორის ციხესიმაგრის საგვარეულო სამარხში, სადაც ვორონცოვ-დაშკოვები განისვენებენ. ხელახლა დაქვრივებული და დამწუხრებული მარია ფიოდოროვნა ბრიტანული სამხედრო გემის გემბანზე ავიდა და რუსეთი სამუდამოდ დატოვა.

1918 წლის 26 მარტს რუსეთის მიწამ კიდევ ერთი სახელოვანი ქართველი თავადი, გიორგი დიმიტრის-ძე შერვაშიძე მიიბარა, რომლის სახელი და საქმენი არასოდეს მიეცემა დავიწყებას.

ასმათ შერვაშიძე
599 23 83 85

„საერთო გაზეთის“ იურიდიული კონსულტაცია

„საერთო გაზეთის“ მკითხველთა შეკითხვებს პასუხობს გაზეთის იურიდიული კონსულტანტი, ადვოკატი

მთვარისა კევლიშვილი.

ტელ.: 2 79 63 91; 0 790 60 64 69; 5 93 78 64 69

– რა შემთხვევაში შეიძლება შეჩერდეს სოციალური დახმარება?

– სოციალური დახმარების გაცემა შეიძლება შეჩერდეს იმ შემთხვევაში, თუ:

• ოჯახი მუდმივად არ ცხოვრობს მონაცემთა ბაზაში მითითებულ მისამართზე;

• ოჯახი ხელოვნურად არის გაყოფილი;

• ოჯახი ხელოვნურად არის გაერთიანებული;

• შეიცვალა ოჯახის შემადგენლობა;

• ოჯახს დაემატა სრულწლოვანი წევრი;

• ოჯახში ბავშვის დაბადებიდან (შვილად აყვანიდან) და ბოლო შეფასებიდან გასულია 2 წელზე მეტი;

• ოჯახი უარს აცხადებს საარსებო შემწეობის დანიშვნაზე;

• ოჯახი ახლად გამოვლენილ გარემოებათა გამო საჭიროებს დამატებით შესწავლა-შემოწმებას.

საარსებო შემწეობის მიღება, შეჩერება ან შეცვლა დამოკიდებულია შემდეგ ფაქტობრივ გარემოებებზე:

• ოჯახის წევრთა რაოდენობის ცვლილება (დაბადება, გარდაცვალება, ქორწინება და სხვ.);

• ოჯახის წევრისათვის შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირის სტატუსის მინიჭება ან დაკარგვა;

• დასაქმება, ლეგალური შემოსავალი;

• ასევე, კანონით დადგენილი სხვა შემთხვევები.

დევნილები, რომლებიც იღებენ დევნილის ყოველთვიურ შემწეობას, იმავდროულად ვერ მიიღებენ საარსებო შემწეობასაც, მათ უნდა აირჩიონ ერთ-ერთი შემწეობის მიღება

საარსებო შემწეობის მიმღებ ოჯახს შეუძლია:

• მიიღოს საარსებო შემწეობა;

• მოითხოვოს საარსებო შემწეობის ადგილზე მიტანა, თუ ოჯახის ყველა წევრს შეზღუდული აქვს გადაადგილების უნარი;

• საარსებო შემწეობასთან ერთად მიიღოს სოციალური პაკეტი, სახელმწიფო პენსია/კომპენსაცია, სხვა ინდივიდუალური სოციალური დახმარება ან/და სხვა სახელმწიფო გასაცემელი, თუ კანონმდებლობით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული;

• გაეცნოს მონაცემთა ბაზაში მის შესახებ არსებულ ინფორმაციას;

• მოითხოვოს მის შესახებ არსებულ მონაცემებში ცვლილებების შეტანა;

• მოითხოვოს ამონაწერი სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიანი ბაზიდან;

• ისარგებლოს კანონმდებლობით გათვალისწინებული სხვა უფლებებით.

საარსებო შემწეობის მიმღები ოჯახი ვალდებულია:

• აცნობოს მომსახურების სააგენტოს ოჯახის წევრთა შემადგენლობაში მომხდარი ცვლილებების (წევრის გარდაცვალება, დაბადება, ქორწინება, საზღვარგარეთ 3 თვეზე მეტი ვადით წასვლა და სხვ.) და/ან ოჯახის სოციალური მდგომარეობის გაუმჯობესების შესახებ;

• აცნობოს აღნიშნული სააგენტოს შესაბამის ტერიტორიულ ორგანოს არაუგვიანეს 1 თვისა.

• ოჯახს, რომელიც მინიჭებულ ქულას არ ეთანხმება, შეუძლია განმეორებით მიმართოს სოციალური მომსახურების სააგენტოს ტერიტორიულ სამსახურს საცხოვრებელი ადგილის მიხედვით და მოითხოვოს ოჯახის ხელახალი გადამოწმება. ოჯახმა ხელახალი გადამოწმება შემწეობის მისაღებად შეიძლება მოითხოვოს ბოლო შემოწმებიდან ერთი წლის გასვლის შემდეგ.

• ხელახალი გადამოწმების დროს გამოიყენება პირველადი შემოწმების წესები, პროცედურები და ვადები.

• ოჯახის ხელახლა გადამოწმებაზე უარის ან ხელახლა გადამოწმების დროს მინიჭებულ ქულაზე კვლავ არ დათანხმების შემთხვევაში, ოჯახს შეუძლია ეს გადაწყვეტილება გაასაჩივროს სოციალური მომსახურების სააგენტოში (ცენტრალურ ოფისში). ადმინისტრაციული ორგანოს საბოლოო გადაწყვეტილება შესაძლებელია გასაჩივრდეს სასამართლოში.

* * *

– მსხვერპლის მოძალადისგან განრიდების რა საშუალებები არსებობს?

– ქალთა მიმართ ან/და ოჯახში ძალადობის მხვერპლთათვის სახელმწიფოს მიერ უზრუნველყოფილია სახელმწიფო თავშესაფარი, სადაც ხდება მსხვერპლის ფსიქოლოგიურ-სოციალური რეაბილიტაცია, იურიდიული და სამედიცინო დახმარება.

არსებობს კრიზისული ცენტრი — ოჯახში ძალადობის სავარაუდო მსხვერპლთა და მსხვერპლთა დროებითი განთავსების ადგილი, რომელიც ემსახურება ფსიქოლოგიურ-სოციალურ რეაბილიტაციას, პირველად და გადაუდებელ სამედიცინო მომსახურებასა და სამართლებრივ დახმარებას.

ასევე, შესაძლებელია მსხვერპლის საცხოვრებელ ადგილზე დროებით დარჩენა და მოძალადის განრიდება ამ საცხოვრებლისგან იმ შემთხვევაშიც, როდესაცეს საცხოვრებელი მოძალადის საკუთრებაა.

თუ თქვენ გახდით ქალთა მიმართ ან/და ოჯახში ძალადობის მსხვერპლი ან ფლობთ ინფორმაციას ძალადობის თაობაზე, გთხოვთ, 24 საათის განმავლობაში დარეკოთ სსიპ ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლთა, დაზარალებულთა დაცვისა და დახმარების სახელმწიფო ფონდის ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა საკონსულტაციო ცხელი ხაზის ნომერზე: +995 32 116 006 ან 112.

„მოსადი“ - მსოფლიოს ყველაზე ჩაკეტილი დაზვერვის სამსახური

„მოსადის“ წარსული და აწმყო იდუმალებით არის მოცული. იმის წარმოდგენაზეც კი, როგორ უსწორდებოდნენ ისრაელის მტრებს, შიში გიპყრობს, ხოლო ამ ორგანიზაციის მოღვაწეობის მასშტაბები შეიძლება მხოლოდ ივარაუდო.

ორგანიზაცია დევიდ ბენ ჰურიონის პრემიერ-მინისტრობის დროს შეიქმნა.

ამ სპეცსამსახურის დაარდებიდან — 1951 წლის 1 აპრილიდან ბევრი რამ შეიცვალა. „მოსადს“ ადანაშაულებენ იმაში, რომ სახელმწიფო ინტერესების ნაცვლად ის უფრო ცალკეული პოლიტიკოსების ინტერესებს იცავს, თანამედროვე ტექნოლოგიები კი ყოველწლიურად ურთულებენ ცხოვრებას საიდუმლო აგენტებს და მათი უჩინარობის იმიჯს ანგრევენ.

„მოსადი“ სათავეს XX ს-ის დასაწყისში საიონისტური სამხედრო ორგანიზაცია „ხაგანადან“ იღებს. თავიდან მისი მებრძოლები არაბებს უსწორდებოდნენ, რომლებიც ევროპიდან ებრაელების ჩამოსვლას ეწინააღმდეგებოდნენ. თავდასხმის შემთხვევებზე არაბული პოლიცია თვალს ხუჭავდა და ებრაელები იძულებულნი იყვნენ, საკუთარ უსაფრთხოებაზე თავად ეზრუნათ. „ხაგანა“ დევნიდა მათაც, ვინც დამოუკიდებელი ებრაული სახელმწიფოს შექმნის წინააღმდეგი იყო, თუნდაც ებრაელი ყოფილიყო.

1929 წლის ანტიებრაული არეულობების შემდეგ, „ხაგანა“ შურისმაძიებელთა დაჯგუფებიდან სრულფასოვან სახალხო ლაშქრად გადაიქცა. მისი ერთ-ერთი დაჯგუფება „შაი“ თანამედროვე ისრაელის დაზვერვის წინარე ორგანიზაციად იქცა — მისი წევრები აგროვებდნენ მონაცემებს და აწარმოებდნენ აგენტებისა და ინფორმატორების გადაბირებას.

1948 წელს ებრაული დამოუკიდებელი სახელმწიფოს ისრაელის შექმნის შემდეგ გასამხედროებული სიონისტური ფორმირებების წევრებმა ახალგაზრდა ქვეყნის უსაფრთხოების სამსახურებში საკვანძო პოსტები დაიკავეს. სწორედ მათ ჩამოაყალიბეს მომავალი სპეცსამსახურის მუშაობის მთავარი პრინციპები და საფუძვლად ბრძოლის პარტიზანული მეთოდები და წერტილოვანი განადგურების ტექნიკა აირჩიეს.

„მოსადმა“ საბოლოო სახე რამდენიმე ტრანსფორმაციის შემდეგ მიიღო. ის პირდაპირ პრემიერ-მინისტრის დაქვემდებარებაში იმყოფებოდა.

მასმედიაში გაჟონილი ინფორმაცია და ყოფილი მზვერავების მიერ გამხელილი დეტალები — მოწამლული კბილის პასტა და შხამიანი შოკოლადი, ფეთქებადი მობილური ტელეფონები და დანაღმული შინები, ბირთვული რეაქტორის დეტალების შეცვლა და ტერორისტების საყვარლების გადაბირება — ადამიანის წარმოსახვაზე წარუშლელ შთაბეჭდილებას ახდენს.

„მოსადის“ სტრუქტურაც განსხვავებულია. მისი თანამშრომლების ზუსტი რაოდენობა გადაისუმლოებულია. სხვადასხვა შეფასებებით, „მოსადის“ შტატიანი თანამშრომლების რაოდენობა 1200-დან 7000-მდეა. ამასთან, მზვერავი-ოპერატიული მუშაკი მათ შორის მხოლოდ 30–35 ადამიანია. ისინი ხელმძღვანელობენ დიდ აგენტურულ ქსელს, რომელშიც მსოფლიო მასშტაბით ათობითათასი ადამიანი შედის — სირიის საავადმყოფოს ექიმებიდან დაწყებული ეგვიპტელი დიპლომატებით დამთავრებული. „მოსადს“ ოპერაციების განხორციელებაში ეხმარებიან მოხალისეებიც ებრაული დიასპორიდან.

მოწინააღმდეგის ქვეყნის შიგნით „არალეგალები“ არიან დაკავებული — რეზიდენტები, რომლებსაც იდეალური „ლეგენდა“ აქვთ. ზოგიერთმა მათგანმა იმდენად კარგად მოახერხა ჩანერგვა, რომ მათი გამოაშკარავება მსოფლიო მასშტაბის სენსაციად იქცა. ასე მოხდა ელი კოენის შემთხვევაში. ის 1960-იან წლებში ნდობაში შევიდა სირიის უმაღლეს ჩინებთან და პრეზიდენტის პოსტზე კანდიდატებს შორის მესამე იყო. ის გამოააშკარავეს და სიკვდილით დასაჯეს, მაგრამ საიდუმლო ინფორმაცია გადასცა, რამაც ისრაელს ექვსდღიან ომში გამარჯვება მოუტანა.

„მოსადის“ მუშაობის ერთ-ერთი ძირითადი მიმართულება ისრაელის სახელმწიფოს მტრების ფიზიკური განადგურებაა. ამ ქვეგანყოფილების წევრები — პროფესიონალი მკვლელები — არმიის ელიტური ქვედანაყოფების ჯარისკაცებისგან არიან შერჩეული.

ათწლეულების განმავლობაში „მოსადის“ აგენტები მეთოდურად ეძებდნენ ებრაული სახელმწიფოს მტრებს, რომელთა შორის იყვნენ ნაცისტი სამხედრო დამნაშავეები ადოლფ ეიხმანის ჩათვლით.

„მოსადი“ უპირატესობას წერტილოვან ლიკვიდაციას ანიჭებს — ზედმეტი მსხვერპლის გარეშე. ადრე ასეთი ოპერაციების მომზადებას დიდი დრო სჭირდებოდა — ინფორმაციის შესაგროველად მსოფლიოში ასობით აგენტის ჩართვა იყო საჭირო და ოპერაციის დეტალები მხოლოდ რამდენიმე ადამიანისთვის იყო ცნობილი.

ტექნოლოგიურმა პროგრესმა ოპერაციების მოსაზადებელი პერიოდი შეამცირა. ახლა ებრაულ სახელმწიფოს ძალიან სწრაფად შეუძლია ოპერაციის დაგეგმვა და განხორციელება. „მოსადის“ მზვერავებს ეთიკასა და მორალზე ფიქრს სამსახურის დასაწყისშივე უკრძალავენ და ასწავლიან, რომ არ უნდა იფიქრონ შემთხვევით ადამიანებზე, რომლებიც შეიძლება სროლის დროს დაიღუპონ.

„მთავარი შენი გადარჩენაა! უნდა გადარჩე! შენ ვალდებული ხარ, გადაარჩინო „მოსადის“ საკუთრება — ეს შენ ხარ!“ — ეს „მოსადის“ მთავარი მოწოდებაა.



ისრაელის სადაზვერვო სამსახურის წარმომადგენლები ამ ცივსისხლიანობას და დაუნდობლობას იმით ამართლებენ, რომ მთავარი სამშობლოს უსაფრთხოებაა.

უფრო მეტიც, „მოსადში“ სჯერათ, რომ წერტილოვან ლიკვიდაციას მნიშვნელოვანი ფსიქოლოგიური ეფექტიც გააჩნია. მთელი თავისი არსებობის მანძილზე ისრაელი გარშემორტყმულია ათობით მუსულმანური ქვეყნით, რომლებიც მის მიმართ მტრულად არის განწყობილი. როგორ შეეძლო 10 მილიონ ადამიანს 500 მილიონს გამკლავებოდა? მხოლოდ ეშმაკობითა და დაუნდობლობით. მოწინააღმდეგეს უნდა სჯეროდეს, რომ „მოსადის“ ჯაშუშები ყველგან არიან და მათ მსახვრალ ხელს ვერსად დაემალებიან.

„მოსადი“ ჩრდილში დარჩენას ამჯობინებს: სპეცსამსახურის წარმატებები არ ხმაურდება, ჩავარდნები კი საზოგადოების ყურადღებას იპყრობს.

2000-იანი წლების დასაწყისში „მოსადი“ პოლიტიკური შპიონაჟიდან ორი მთავარი მოწინააღმდეგის — ირანისა და პალესტინის წინააღმდეგ მიზანმიმართულ აქციებზე გადავიდა. მისი შეტევის ობიექტები მარტო სამხედრო მეთაურები კი არ არიან, არამედ მეცნიერებიც — სწორედ „მოსადს“ მიაწერენ ირანელი მეცნიერის მუხსინ ფახრიზადეს ხმაურიან მკვლელობას, რომელსაც „ირანის ბირთვული ბომბის მამად“ მიიჩნევენ.

კოვიდ-19-ის პანდემიის დასაწყისშივე მოსადმა მთელი ძალა მიმართა ამ ახალ საფრთხესთან საბრძოლველად რეაგენტების, მოწყობილობებისა და სამრეწველო ტექნოლოგიების მოძიებისკენ. დაზვერვის ერთ-ერთი მაღალჩინოსნის თქმით, ისრაელმა ის აპარატურაც კი მიიღო, სხვა ქვეყნებმა რომ შეუკვეთეს.

2021 წლის თებერვალში პოსტი დატოვა „მოსადის“ ხელმძღვანელის მოადგილემ, რომელმაც ირანის წინააღმდეგ ბევრი წარმატებული ოპერაცია განახორციელა. ალეფმა განაცხადა, ნეთანიაჰუს „ცუდი ხელმძღვანელობაა“ იმის მიზეზი, რომ ირანთან დაპირისპირებისას წარმატებებს ვერ ვაღწევთო; ასევე, ირანს დიდი რაოდენობით ურანი გააჩნია და მისი გავლენა რეგიონში იზრდება და სპეცსამსახური დამოუკიდებლობის დაკარგვის საფრთხის წინაშე დგას.

მარტის შუა რიცხვებში ცნობილი გახდა, რომ დაზვერვის ამჟამინდელმა ხელმძღვანელმა იოსი კოენმა ერთგულება ნეთანიაჰუს ოჯახს შეჰფიცა ამ საოცნებო თანამდებობის გამო. ისრაელში შიშობენ, რომ ის პრემიერის ერთგული გოშია იქნება და ნეთანიაჰუს ინტერესებს ქვეყნის ინტერესებს ანაცვალებს.

ახალი კადრების მოზიდვის მიზნით ისრაელის დაზვერვა სერიალებს იყენებს, რომლებსაც მის შესახებ იღებენ.

მიუხედავად ამგვარი პოპულარიზაციისა, „მოსადი“ მსოფლიოში ლიდერ პოზიციებს კარგავს.

გაუმკლავდება თუ არა „მოსადი“ ახალ გამოწვევებს თუ ისრაელის მაღალჩინოსნების მარიონეტად იქცევა, ამას დრო გვიჩვენებს.

ბელა გველესიანი
568 90 81 22

ასკურავას მეთოდი

ასკურავას მეთოდით, ქირურგიული ჩარევის გარეშე, სწრაფად, ეფექტურად და უმტკივნეულოდ რჩება სხვადასხვა სახის მოტეხილობა, ნაღრძობი, მენისკი, პერტესი, პოდაგრა და ძვლების სხვა დაავადებები.

საგვარეულო საიდუმლო დღემდე რჩება საიდუმლოდ და მისი ანალოგი არ მოიპოვება მსოფლიოში.

დღეს ფირმას ხელმძღვანელობს ჩინეთ-ისრაელ-ამერიკის სახალხო მედიცინის აკადემიის წევრის

ბიჭიკო ასკურავას შვილიშვილი, ეძიმი დავით ასკურავა.

მას შეგიძლიათ დაუკავშირდეთ ტელეფონებზე:
მობ.: 593 55 00 30; 577 41 19 11.
ტელ.: 2 99 96 94; 2 98 86 84.

„საერთო გაზეთის“ მხარდასაჭერი ფონდი
ს/ნ 202375349. სს „საქართველოს ბანკი“. კოდი BAGAGE22. ა/ნ GE19BG0000000182763600.

საერთო გაზეთი
მთავარი რედაქტორი: ვახტანგ ხარჩილავა

გაზეთის გამოწერა შეგიძლიათ შპს „ელვა-ჯგ“-ს მეშვეობით +995 32 238 26 73; +995 32 238 26 74

გაზეთის გავრცელების სამსახური: 599 58-72-50. ბესო ცარციძე (მენეჯერი).

იბეჭდება შპს „ასავალ-დასავალის“ სტამბაში. აგლაძის 39. ტელ: 234-39-99

ISSN 2233-3983
ISBN 977-22333-9800-1

2 008311 231562